პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით:

წლიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული.
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 13—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს პირველგვერდზე—ტექსტის უკან—80 კ. ხონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებული გაიღებს განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია დღეს სტოვებს ლონდონს.
- შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის ვარშავაში.
- ამხ. ოსინსკი ჟენევის კონფერენციის შედეგების შესახებ.
- ახალი სამხედრო კანონპროექტის განხილვა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში.
- კუკი მოღალატე ხოჯესის გადადგომის შესახებ.
- დიდი გრიგალი გერმანიაში.

პარასკევი, 3 ივნისი 1927 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 124 (1869)

საკუთარი საშუალებებით

ჩვენს სამეურნეო მშენებლობაში ჩვენ ყოველთვის ვემყარებოდით შინაურ, საკუთარ რესურსებს. ჩვენ არასოდეს არ გვქონია იმედი, რომ კაპიტალისტური მსოფლიო, რომლითაც გარშემორტყმული ვართ, დაგვეხმარებოდა სოციალიზმის შენებაში. ეს დებულება ერთხელ კიდევ უნდა გავიხსენოთ დღეს, როცა ინგლისის იმპერიალისტებმა საბჭოთა კავშირთან ურთიერთობა გაწყვიტეს. ჩემბერლენის ამ ნაბიჯის უახლოესი მიზანია, კაპიტალის ქვეყნების ეკონომიურ - ფინანსიურ ბლოკადის განხორციელება საბჭოთა სახელმწიფოს მიმართ და ამ გზით ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ჩაშლა. ინგლისის შუბლმაგართა პრესა წერდა, რომ საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების გაწყვეტის შემდეგ ის კრედიტებს ვერ მიიღებს არამც თუ ინგლისიდან, არამედ დანარჩენ ევროპიდანაც, რომელიც ფინანსიურად ლონდონზეა დამოკიდებული.

ჩვენ საბუთი გვაქვს ესეთი განცხადება გადაჭარბებულ ტრაბახობად ჩავსთვალოთ. ჩვენ ვიცით, რომ თვით კონსერვატორთა რიგებში საკმაოდ მნიშვნელოვან უთანხმოებას აქვს ადგილი ჩვენთან ურთიერთობის საკითხში. კერძოდ ხაზგასასმელია, რომ ინგლისის საექსპორტო მრეწველობა და მასთან დაკავშირებული ბანკები ცხოვლად არიან დაინტერესებული საბჭოთა კავშირთან სავაჭრო დამოკიდებულების შენარჩუნებაში და იძულებული არიან საბჭოთა შეკვეთების რეალიზაციისათვის პრაქტიკულად დასვან კრედიტის გახსნის საკითხი. ამას მოწმობს შეთანხმება ბიტლენ-ბანკთან 100 მილიონი კრედიტის გახსნის შესახებ ჩვენი სავაჭრო ოპერაციების საწარმოებლად, შეთანხმება, რომელიც კონსერვატორების მთავრობის კარნახით გაუქმებულ იქნა ჩვენს წარმომადგენლობაზე თავდასხმის შემდეგ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის სამრეწველო - საბანკო წრეები ინგლისის მთავრობის მიერ ჩვენთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგაც შეეცდებიან ჩემბერლენების ნებისყოფისათვის გვერდის ავლას და საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციებთან საქმიან დამოკიდებულების დამყარებას უკანასკნელთათვის საჭირო კრედიტების მიწოდების ნიადაგზე ამას მოითხოვს ამ წარმოების სასიცოცხლო ინტერესები.

რაც შეეხება დანარჩენ ევროპის ქვეყნებს, საეჭვოა, რომ კონსერვატიულმა ინგლისმა, მიუხედავად თავისი შედარებით ფინანსიური სიძლიერისა, შესძლოს აქ გადაულახავი დაბრკოლებების შექმნა ჩვენთვის კრედიტების მიწოდების საქმეში. ევროპის მრავალი ქვეყანა გარკვეულად აცხადებს, რომ ინარჩუნებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ, არ გაყვებიან ჩემბერლენის გზას და კერძოდ მზად არიან კრედიტები გაგვიხსნან ალებ-მიცემობის განსავითარებლად. მით უმეტეს, ითქმის ეს ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომელიც, რა თქმა უნდა, არამც თუ არ არის სიტის ტყვეობაში, არამედ, პირიქით, ბატონობს მთელი კაპიტალისტურ ქვეყნიერების ფულის ბირჟაზე. ამერიკა, როგორც ბევრჯერ ყოფილა აღნიშნული, ბოლო დროს დაინტერესებას იჩენს საბჭოთა კავშირის ბაზრით, და ნიადაგი იქმნება მის მიერ ჩვენთვის მსხვილი და ხანგრძლივი კრედიტების გახსნისათვის. ინგლის - ამერიკას შორის არსებული წინააღმდეგობაც უფრო დააჩქარებს უკანასკნელის საბჭოთა კავშირთან სამეურნეო დაახლოებას.

მიუხედავად ყველა ამისა, ინგლისს მაინც შეუძლია ერთგვარი ფინანსიური გართულებები შეგვიქმნას. ამიტომ, ჩვენ უფრო მტკიცედ უნდა ავიღოთ კურსი იქითკენ, რომ ქვეყნის შინაური საშუალებები მაქსიმალურად გამოვიყენოთ სოციალისტურ მშენებლობისათვის. ინგლისის მთავრობის ცდას, რომელიც გამოიხატება საბჭოთა კავშირის ფინანსიურ ბლოკადის მიღწევაში, უნდა ვუპასუხოთ საკუთარი რესურსების მობილიზაციით.

შესაძლებლობა ამ მხრივ მრავალნაირია. პირველ ყოვლისა ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველი ზომა, რათა სახელმწიფო ბიუჯეტის სშემოსავლო ნაწილი შემოვიდეს მთელი ასი პროცენტით. როგორც საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახკომისარი ამხ. ბრიუხანოვი აცხადებს (იხ. დღევანდელი გაზეთი), გასული 7 თვის განმავლობაში შემოსულა 1926—27 წ. ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხის 58,7 პროც. აქედან სჩანს, რომ სავსებით მოსახერხებელია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მთლიანად და თავის დროზე აკრება, თუ, რა თქმა უნდა, ამ საქმეში საჭირო სიმტკიცეს და ენერგიას გამოვიჩენთ.

ჩვენი ფინანსიური სიძლიერის მეორე წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო სესხები. ეს სესხები სულ უფრო პოპულიარული ხდება მშრომელთა ფართე მასებში და მათი ჯამიც თანდათან საგრძნობლად იზრდება. თუ 1925—26 წ. ბიუჯეტში სესხებიდან შემოსავალი უდრიდა 120 მილიონ მანეთს, 1926—27 წ. ბიუჯეტში მისი გადიდება ნავარაუდევია 220 მილ. მანეთამდე. აქედან 7 თვის განმავლობაში შემოსულა 70 პროც. გვაქვს სრული საფუძველი, რომ დანარჩენი 30 პროცენტიც შემოვა წლის ბოლომდე.

შემდეგ, საბჭოთა საკრედიტო სისტემაში მეტად დიდი როლი აქვთ დაკისრებული შემნახველ სალაროებს, რომლებიც აგრეთვე მტკიცდება. 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის შემნახველ სალაროებში არსებულ ანაბარების ნაშთი შეადგენდა 11 მილ. მან., ხოლო 1927 წ. 1 მაისისათვის ის ავიდა 143 მილიონამდე.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობა. მას გაცილებით უფრო მეტი თავისუფალი საშუალებები მოეპოვება, ვინემ სახელმწიფო სესხებში და შემნახველ სალაროებში დაბანდებული თანხებია. ჩვენი ამოცანაა ეს გაბნეული წვრილ-წვრილი საშუალებები, რომლებიც ხშირად უმოძრაოდ და უსარგებლოდ აწყვია ზანდუკებში, მოვაქციოთ სახელმწიფო სალაროში. ამით მშრომელი მოსახლეობა დიდ სარგებლობას ნახავს და ამასთან ის შეასრულებს თავის მოვალეობას მუშურ გლეხურ სახელმწიფოს წინაშე, რომელიც ამ თანხებს დროებით გამოიყენებს ქვეყნის სამეურნეო - კულტურულ განვითარებისათვის, ე. ი. მშრომელთა სასარგებლოდ და მათი წყობილების განსამტკიცებლად.

ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომჭირნეობის რეჟიმის სასტიკად დაცვას. ეს ეხება არა მარტო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, არამედ თვითეულ მშრომელ მოქალაქესაც. არც ერთი კაპეიკი უქმად არ უნდა დაიკარგოს, არამედ გამოყენებულ იქნას სოციალისტურ მშენებლობის საქმისათვის.

ქვეყნის შინაური რესურსების მობილიზაციის ამოცანა ყოველთვის იდგა ჩვენს წინაშე. დღეს ის უფრო აქტიური ხდება, რამდენადაც ინგლისის იმპერიალიზმი განსაკუთრებით ცდილობს საბჭოთა კავშირის ფინანსიურ ბლოკადის განხორციელებას. თუ ჩვენ სამეურნეო ნგრევას თავი დავახწიეთ, მეურნეობა აღვადგინეთ და ფართე სოციალისტურ მშენებლობას მოვკიდეთ ხელი გარეშე ძალის დაუხმარებლად, კიდევ მეტი—კაპიტალისტურ მსოფლიოს მხრით ყოველმხრივ ხელის შეშლის პირობებში,—მით უფრო დღეს, რაც ასე მოვღონიერდით, ვერ შესძლებენ იმპერიალისტები თავის შავი ზრახვების განხორციელებას. ჩვენ მათ დაუმტკიცებთ, რომ შევვწევს ძალა საკუთარი საშუალებებით მივაღწიოთ დასახულ მიზანს.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა

ამხ. რიკოვის მოხსენება მოსკოვის საბჭოს პლენუმზე

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა—დიდი ხანია ემზადებოდა ურთიერთობის გაწყვეტისათვის.—ჩემბერლენის „გაფრთხილების“ ნოტა თებერვალში—მხოლოდ თვალთმაქცობა იყო.—ბოლდუინის მთავრობა, რომელიც ბრალს გვდებს ანტი-ინგლისურ ინტრიგებში, თავისი დიპლომატიური წარმომადგენლების საშუალებით ჯაშუშურ მუშაობას აწარმოებდა ჩვენში.—სავაჭრო ურთიერთობას ინგლისთან არ განვაახლებთ, სანამ ინგლისში რადიკალურად არ შესცვლიან დამოკიდებულებას ჩვენს მიმართ.—საბჭ. კავშირის მშრომელი მასები მზად არიან ყოველგვარი შემთხვევისათვის.—ჩვენ საკმაოდ ძლიერი ვართ იმისათვის, რომ მიუხედავად ჩემბერლენ--ხიკსების პროვოკაციისა განვაგრძოთ ინდუსტრიალიზაციისა და კულტურული აღმშენებლობის დარგში დასახული ამოცანები“

მოსკოვი, 2 ივნისი. მოსკოვის საბჭოს პლენუმზე 1 ივნისს ამხ. რიკოვმა ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამხ. რიკოვს მხურვალე ოვაციებით შეხვდენ. მას სიტყვას ხშირად აწყვეტინებდენ ტაშით.

„ფაქტი ევროპის ორ უდიდეს სახელმწიფოს შორის, საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის სავაჭრო და დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტისა, რომელიც მოხდა ინგლისის მთავრობის ინიციატივით, საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების უმთავრესი ყურადღების საგანს წარმოადგენს. ურთიერთობის შეწყვეტა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის მთელ რიგ სახელმწიფოებს ეხება. არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს საერთაშორისო მდგომარეობა უმთავრესად დამოკიდებულია ამ სახელმწიფოებს შორის არსებული ურთიერთობისაგან. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა შეიარაღებული შეტაკება, ეს კონფლიქტი არ შეიძლება შემოიფარგლოს იმ ტერიტორიით, სადაც ის წარმოიშვა.

საერთაშორისო რეაქციის გენერალურმა შტაბმა—შუბლ-მაგართა კონსერვატიულმა მთავრობამ უცებ გასწყვიტა კავშირი. ჩვენ ამა წლის თებერვალში გადმოგვცეს „გაფრთხილების ნოტა“. ინგლისის მთავრობას ამის შემდეგ ორი თვე დასჭირდა იმისათვის, რომ ურთიერთობის შეწყვეტა „დროულად, ეცნო და თავდასხმა მოეწყო არკოსზე. **ეს საჭირო იყო მათთვის, როგორც მიზეზი, რომელიც ბურჟუაზიული მსოფლიოს წინაშე გაამართლებდა ახალ ანტისაბჭოთა შეტევას.** ამ მიზნით კონსერვატორების მთავრობა სცდილობ და არკოსის შკაფებში „მოენახა“ დოკუმენტი, რომელიც „დაიკარგა“ რომელიღაც სამინისტროდან. **მე ვაცხადებ, რომ ასეთი დოკუმენტების შესახებ სრულიად არაფერი არ ვიცით. არკოსის ან მთავრობის რომელიმე ორგანოს არავითარი დოკუმენტი, რომელიც სახელს უტეხს ამ ორგანოებს ან მთავრობას, არკოსის შენობაში არ უპოვიათ.**

რასაკვირველია, არც მთავრობას და არც არკოსს არ შეუძლიათ პასუხი აგონ იმისათვის, რაც აღმოჩნდათ, **ან ჩაუდვეს ჯიბეში არკოსის ორ თანამშრომელს.** ამ თანამშრომელთა კერძო მიმოწერა მათი პირადი საქმეა და არავითარი დამოკიდებულება არ აქვს საბჭოთა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოს მოქმედებასთან.

ფაქტებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩხრეკის დროს, ინგლისის მთავრობა დამახინჯებული სახით აცნობებს თემთა პალატას. თანამშრომლის ცემას პოლიციელის მიერ ინგლისის მთავრობა ხსნის წინააღმდეგობით, რომელიც მან გაუწია პოლიციას. თანამშრომლის მიერ დოკუმენტის დაწვას (ვინაიდან მას სხვა საშუალება არ ჰქონდა, იმის თავიდან ასაცილებლად, რომ სახელმწიფო დოკუმენტი სხვას არ ჩავარდნოდა ხელში) ინგლისის მინისტრები განმარტავენ, როგორც ბოროტმოქმედების დამტკიცებას. **მაგრამ ინგლისის მისია მოსკოვში უკანასკნელ დღეებში ყოველთვის სწვავდა დოკუმენტებს იმ გულუბრყვილო და სულელური მოსაზრებით, რომ თითქო საბჭოთა კავშირში მოიძებნება ხიკსი, რომელიც გასცემს განკარგულებას, რომ მისიის შენობაზე მოახდინონ თავდასხმა და ჩხრეკა.**

ბოლდუინის და ჩემბერლენის განცხადებათა უაზრობა სჩანს იმ წინააღმდეგობებიდან, რომლებსაც შეიცავენ ეს განცხადებები. **ხიკსმა სთქვა, რომ ხიკსს დაწვრილებითი ცნობები აქვს საბჭოთა ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ანტი-ბრიტანულ მუშაობას აწარმოებს. რატომ ზომებს არ იღებდა ხიკსი „ასეთი გრანდიოზული“ ჯაშუშური ორგანიზაციის წინააღმდეგ? ცხადია, რომ ზღაპარი ჯაშუშების შესახებ მოგონილი ამბავია.** რაც შეეხება საბჭოთა კავშირს **ჩვენ გვაქვს საკმაო ცნობები იმისა, რომ ინგლისის აგენტები ჯაშუშურ მუშაობას ეწევიან კავშირის ტერიტორიაზე.** ჩემს ხელთ არის რამოდენიმე დოკუმენტი, რომლის გამო არ აგვიტეხია განგაში. ჩვენთვის ახალი ამბავი არ არის, რომ გაიძვერები გაიძვერულ საქციელს არიან ჩვეული.

მე წავიკითხავ ინგლისის კონსულის (ლენინგრადში) პრესტონის იმ წერილის ბოლოს, რომელიც გაგზავნილი იყო ინგლისის კომერციულ მისიაში მოსკოვში.

„თქვენთვის საჭირო ინფორმაციის მიღება არაა ადვილი საქმე ჩემთვის, ვინაიდან ჩემი რუსი ფრინველები, რომელთაც მე ვაგზავნი ასეთი დავალებებით, სერიოზული საფრთხის ქვეშ იმყოფებიან,—სახელმწიფო პოლიტსამმართველო მათ ჩამოახრჩობს და აწამებს ჯაშუშობისათვის“.

ამხ. რიკოვი კრებას უჩვენებს წერილის ფოტოგრაფიას, რომელსაც ხელს აწერს პრესტონი.

„ამას წინედ,— განაგრძობს ამხ. რიკოვი,—**დახვრიტეს ინგლისის ჯაშუში ფილინი, რომელიც ბრიტანეთის მისიის მდივანს ჩეროკს აწვდიდა ინფორმაციას მოსკოვის სამხედრო ოლქის ჯარების მდგომარეობის შესახებ; დაპატიმრებულია ინგლისის ჯაშუში პეშკოვი, რომელიც მუშაობდა ინგლისის წარმომადგენლის** (მოსკოვში) **ხოჯსონის დავალებით“.**

შემდეგ ამხ. რიკოვს მოჰყავს მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ეხება ინგლისის აგენტების ჯაშუშურ მუშაობას უკრაინაში და ამიერ-კავკასიაში, საიდანაც სჩანს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო ჯაშუშობასთან, არამედ აჯანყების მოწყობის ცდასთან საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, რომანოვების მონარქიის აღდგენის ცდასთან.

ჩვენ ვიცოდით ეს ფაქტები, მაგრამ ამაში არ დაგვინახავს დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის მიზეზი. ჩვენთვის აშკარაა, რომ ჯაშუშობა ყოველი კაპიტალისტური სახელმწიფოს უშუალო ფუნქციას წარმოადგენს.

შემდეგ ამხ. რიკოვი შეეხო რა ბოლდუინის და ჩემბერლენის ბრალდებებს იმის შესახებ, რომ ვითომც როზენგოლცმა დეპეშა გაგზავნა ჩინეთის ამბების შესახებ, განაცხადა:

„დეპეშა რომ მართლაც არსებობდეს, ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დანაშაულად ჩაეთვალოს როზენგოლცს.

ვინაიდან ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა ურთიერთობის შეწყვეტა, იგი იძულებულია განაგრძოს ეს პოლიტიკა. იგი შეეცდება შემდგომი ნაბიჯი გადასდგას საერთაშორისო ანტი-საბჭოთა ბლოკის შესაქმნელად, რომელიც უზრუნველჰყოფს ინტერვენციას კავშირის ტერიტორიაზე. ინგლისის მთავრობის უმთავრესი ამოცანა იქნება გამოძებნოს სახელმწიფო, რომელიც მისი დახმარებით შეეცდება დაესხას თავს ჩვენს კავშირს. ამიტომ ომისა და სახელმწიფოს თავდაცვის საქმე ამჟამად გაცილებით უფრო აქტუალური გახდა, ვიდრე წინედ იყო“.

შემდეგ ამხ. რიკოვი აცხადებს:

„ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რომ ვაჭრობა ინგლისთან განვაგრძოთ ისეთ პირობებში, როცა არ არსებობს გარანტია იმისა, რომ ჩვენი ვაჭრობის ინტერესები ინგლისში დაცული იქნება, მანამ, სანამ ინგლისის მთავრობის პოლიტიკა რადიკალურად არ შეიცვლება, ან ხელისუფლების სათავეში არ ჩადგება სხვა მთავრობა, რომელიც უფრო გონიერ პოლიტიკას დაადგება, სავაჭრო ურთიერთობის განვითარება ინგლისთან შეუძლებელი იქნება.

ჩვენი ქვეყანა,—განაგრძობს ამხ. რიკოვი, იმ სერიოზულ გამოცდას საერთაშორისო პოლიტიკის დარგში, რომელიც გამოიწვია ურთიერთობის შეწყვეტის ფაქტმა, შეხვდა სრულის სიმშვიდით და თავისი ძალებისადმი ღრმა რწმენით. ინგლისის მთავრობის პროვოკაციამ უდიდესი აღშფოთება გამოიწვია საბჭოთა ქვეყნის მშრომელ მასებში და ახალი იმპულსი მისცა აღმშენებლობითი მუშაობის გაძლიერებას ჩვენი ქვეყნის შიგნით. სერიოზულ გართულებას საგარეო პოლიტიკაში,—ისეთს, როგორიც ჩვენ ეხლა გვაქვს უძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან ურთიერთობის შეწყვეტის გამო,—ჩვეულებრივ თან სდევს დიდი დაბრკოლებანი და ცვლილებანი სამეურნეო ცხოვრებაში.

არავითარი ამის მსგავსი არ არის ამჟამად ჩვენს მეურნეობაში არც ვაჭრობის, არც ფულის ბრუნვის დარგში და არც სამეურნეო ცხოვრების რომელიმე სხვა დარგში. **ჩვენ ამჟამად საკმაო ძალა და საკმაო რესურსები გვაქვს იმისათვის, რომ არ შევსცვალოთ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და ჩვენი კულტურული აღმშენებლობის ის გეგმები, რომელიც შედგენილი გვქონდა წლის დასაწყისში.**

უკანასკნელი გამოცდილების მიხედვით, აუცილებელია აღინიშნოს, რომ სავსებით სწორია კომპარტიისა და მთავრობის პრინციპიალური ხაზი სამეურნეო პოლიტიკაში, რომელიც მიმართულია იმისაკენ, რომ შემცირებულ იქნას ჩვენი კავშირის ეკონომიური დამოკიდებულება კაპიტალისტური ქვეყნებისაგან. ერთად-ერთი დამატება სამეურნეო აღმშენებლობის ეხლანდელი პროგრამისადმი, დამატება, რომელიც გამოწვეულია ომის საფრთხის გამწვავებით, (რომელიც უფრო ახლოა, ვიდრე საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე გვეგონა) მდგომარეობს იმაში, რომ **უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური აღდგენისა და ინდუსტრიალიზაციისათვის, რომელიც უმთავრესი პირობაა ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის.**

მეორე, **აუცილებელია გაცილებით მეტი ყურადღება მიექცეს იმ საკითხების გადაწყვეტას, რომელნიც უშუალოდ არიან დაკავშირებული საბჭოთა სახელმწიფოს საზღვრების დაცვასთან.**

კერზონის ულტიმატუმის საპასუხოდ ჩვენი ქვეყნის მუშებმა და ყველა მშრომელებმა გააძლიერეს მუშაობა თავდაცვის უზრუნველყოფისათვის და შექმნეს ესკადრილია სახელწოდებით „კერზონის ულტიმატუმი“. ეხლა მდგომარეობა უფრო სახიფათოა და უფრო რთულია. **ამიტომ აუცილებელია გაათკეცებული ენერგიით მოკლე ხნის განმავლობაში ისე გავაძლიეროთ ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვის საქმე, რომ არავის არ მოუვიდეს თავში წარმოგვიდგინოს უაზრო ულტიმატუმი“.**

რეზოლიუცია ამხ. რიკოვის მოხსენების გამო

მოსკოვის საბჭოს პლენუმმა ამხ. რიკოვის მოხსენების გამო მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„მოსკოვის საბჭოს პლენუმი, მოისმინა რა მან სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. რიკოვის ცნობა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, სავსებით და მთლიანად იწონებს მთავრობის მოქმედებას, რომელიც მიმართულია მშვიდობიანობის და საბჭოთა კავშირის მშრომელთა ინტერესების დაცვისაკენ. მიუხედავად ჩან-ძო-ლინების, ხიკსების და ჩემბერლენების ყველა პროვოკაციული გამოსვლებისა, მთავრობამ თავდაჭერილობა გამოიჩინა, არ გაჰყვა ამ პროვოკაციას და შესძლო ღირსეული პასუხის გაცემა.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი, საბჭოთა ყველა მშრომელ მასებთან ერთად, მთელი ქვეყნის ყველა შეგნებულ მუშებთან ერთად და ყველა ქვეყნების ჩაგრულ მშრომელთა მასებთან ერთად, სავაჭრო ურთიერთობის და დღემდე საბჭოთა კავშირთან არსებული დიპლომატიური დამოკიდებულების შეწყვეტას დიდი ბრიტანეთის მთავრობის მხრივ, აფასებს, როგორც ახალ ნაბიჯს, რომელიც ნაკარნახევია კლასიური მძულვარებით პირველ პროლეტარულ სახელმწიფოს მიმართ.

ინგლისის კონსერვატიული მთავრობა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოექცა „ზინოვიევის“ ყალბი “წერილის“ საშუალებით, ყოველთვის აწარმოებდა გამომწვევ პროვოკაციულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ერთი წუთითაც არ შეუჩერებია ცდა იმისა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოების მთლიანი კონტრ-რევოლიუციონური ფრონტი შექმნა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, რომელიც თავისი არსებობის ფაქტით და სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებებით მსოფლიო რევოლიუციის ბაზა გახდა.

მსოფლიო იმპერიალისტური ომის შედეგების ლიკვიდაციის მთელი პერიოდი იყო და ამავე დროს არის ახალი იმპერიალისტური ომებისათვის საერთაშორისო მზადების პერიოდი, და პირველ რიგში, კაპიტალისტური მთავრობებისა და მათი დამქაშების და ლაქიების — მეორე ინტერნაციონალის ბელადების მხრივ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის მზადების პერიოდი.

მძულვარება საბჭოთა კავშირისადმი სწორედ იმიტომ არის ასეთი დიდი, რომ იგი, საბჭ. კავშირი, არის უდიდესი დაბრკოლება იმ ყაჩაღური ზრახვების განხორციელების გზაზე, რომლებიც ასულდგმულებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს ინგლისის კონსერვატიული მთავრობის მეთაურობით.

მთელი ქვეყნის მუშათა კლასი და მშრომელი მასები კვლავ დგანან ახალი საფრთხის, უფრო საშინელი ომის წინაშე.

მუშათა კლასი სდგას ახალი, კიდევ უფრო მეტი მზაკვრული, საზიზღარი გამცემლობის წინაშე ოფიციალური სოციალ - დემოკრატიისა და ამსტერდამის ინტერნაციონალის მხრივ.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი სცნობს, რომ ომის საფრთხე მოითხოვს პროლეტარიატის და გლეხობის გაათკეცებულ ენერგიას სამეურნეო ფრონტზე და განსაკუთრებულ სიფხიზლეს და სიმტკიცეს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მომზადების საქმეში.

ამ საფრთხის წინაშე ადგილი არ შეიძლება ექნეს დაუდევრობის, უყაირათობის და გულგრილობის გამოჩენას.

პლენუმი მოსკოვის და გუბერნიის მშრომელ მასებს მოუწოდებს, რომ ინგლისის შუბლ-მაგართა თავხედურ გამოწვევის საპასუხოდ გაათკეცონ თავისი ენერგია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განსამტკიცებლად, გააძლიერონ სამეურნეო და კულტურული აღმშენებლობა, კიდევ უფრო მეტის ენერგიით აწარმოონ სოციალიზმის აღმშენებლობა ჩვენს ქვეყანაში, კიდევ უფრო მეტად გაამაგრონ ყველა ქვეყნების პროლეტარებისა და ჩაგრულების საერთაშორისო სოლიდარობის ძაფები, დაბოლოს, ყოველ მხრივ განამტკიცონ წითელი არმიის ძლიერება და უნარი იმისა, რომ ღირსეული პასუხი გაეცეს გათავხედებული იმპერიალისტების ყოველგვარ ცდას, მიმართულს საბჭოთა კავშირზე თავდასხმისაკენ.

პლენუმი მოსკოვის მშრომელთა სახელით აცხადებს, რომ მზად არის მხარი დაუჭიროს საბჭოთა მთავრობის ნაბიჯებს, რომელნიც მიმართულია პროლეტარიატის დიქტატურის პირველი ქვეყნის დაცვისაკენ.

პლენუმი სავსებით იწონებს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ყველა საექსპორტო - საიმპორტო ოპერაციები გადატანილ იქნას იმ ქვეყნებში, რომლებთანაც ჩვენ ნორმალური ურთიერთობა გვაქვს და სადაც ჩვენს სამეურნეო ორგანოებს აქვთ საკმაო გარანტია შეუჩერებელი და გეგმაშეწონილი მუშაობისათვის.

ჩვენი საბჭოთა კავშირის ეკონომიური ბლოკადის საფრთხის საპასუხოდ, მოსკოვის საბჭოს პლენუმი მოსკოვის და გუბერნიის პროლეტარიატს და გლეხობას, და აგრეთვე მთელი კავშირის პროლეტარიატს და გლეხობას მოუწოდებს მოაწყონ ძლიერი ფინანსიური თავდაცვა სახელმწიფო სესხების რეალიზაციისათვის ერთსულოვნად ხელის შეწყობის გზით.

მოსკოვის საბჭოს პლენუმი სალამს უძღვნის თავისი განთავისუფლებისათვის გმირულად მებრძოლ ჩინეთის მშრომელთ და მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარებს ფხიზლად იდგენ მშვიდობიანობის სადარაჯოზე და ახალი იმპერიალისტური ომის საფრთხის წინაშე უსასტიკესი პასუხი გასცენ ახალ ცდას მახვილის ჩაცემისას საბჭოთა კავშირისათვის, რომელიც მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დასაყრდენ სიმაგრეს წარმოადგენს“.

რეზოლიუციის დამატება

მოსკოვის საბჭოს პლენუმმა მიიღო შემდეგი დამატება, წარმოდგენილი ერთ-ერთი დეპუტატის მიერ:

„მოსკოვის საბჭოს პლენუმს საჭიროდ მიაჩნია, რომ საბჭოთა მთავრობამ არ განიხილოს არავითარი წინადადებანი იმის შესახებ, რომ რაიმე სახით იქნას მოწესრიგებული ბრიტანეთის მოქალაქეთა ნივთიერი პრეტენზიები, სანამ სრული დიპლომატიური ურთიერთობა არ იქნება აღდგენილი საბჭოთა კავშირის და დიდ ბრიტანეთს შორის და სანამ ბრიტანეთის მთავრობისაგან მიღებული არ იქნება დაკმაყოფილება ყველა იმ შეურაცხყოფისა და ნივთიერი ზარალისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირმა მიიღო ბრიტანეთის კონსერვატიული მთავრობის მოქმედებით“.

ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს ჩენ-ჯოუ და კაი-ფინი

პეკინის მთავრობა ადასტურებს ცნობას ჩენ-ჯოუს და კაი-ფინის დატოვების შესახებ

ჩან-ძო-ლინს თავისი შტაბი ტიან-ძინში გადააქვს

მუკდენის ჯარების გენერლებს თავიანთი ოჯახები გაჰყავთ პეკინიდან

აჯანყება ჩან-ცზუ-ჩანის ჯარებში

ფინ-იუი-სიანის ჯარებმა აიღეს ჩენ-ჯოუ.

ხანკოუ, 1 ივნისი. ფრონტიდან მიღებულია ცნობა, რომ 1 ივნისს მე-36-ე კორპუსის ნაწილები შევიდენ ჩენ-ჯოუში (კვანძოვანი პუნქტი პეკინ-ხანკოუს და ლუნხაისის რკინის გზაზე ხენანის პროვინციის ჩრდილოეთით) მოწინააღმდეგის ჯარები დანებდენ. (ადს).

ჩენ-ჯოუს „ნებაყოფლობით“ დატოვება

შანხაი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით პეკინში ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ჩუენ-ჯოუ და კაიფანი „ნებაყოფლობით“ დასტოვეს ჩრდილოეთის ჯარებმა. (ადს).

ოფიციალური ცნობა ჩენ-ჯოუს აღების შესახებ

შანხაი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ხანკოუში ოფიციალურად არის გამოცხადებული, რომ ტან-შენ-ჩიმ 1 ივნისს დაიკავა ჩენ-ჯოუ. უხანის ცნობები აღნიშნავენ, რომ იან-ძის მთელი მიდამო ეხლა გაწმენდილია ჩრდილოელების ჯარებისაგან. (ადს).

მუკდენელების უკან დახევა

ვაშინგტონი, 1 ივნისი. ჩინეთიდან მიღებული ცნობები მოწმობენ, რომ მუკდენელები განაგრძობენ უკან დახევას. (ადს).

სუ-ჯოუს ევაკუაცია

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ მუკდენის ჯარებმა დასტოვეს ჩენ-ჯოუ და გადადიან ყვითელ მდინარეზე. ამასთან დაკავშირებით ჩჟან-ძო-ლინმა გასცა ბრძანება დასცალონ სუ-ჯოუ (ხენანის პროვინციის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით). (ადს).

ევაკუაციისათვის ემზადებიან

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთელები შეუტევენ პეკინს ამერიკის მთავრობას განზრახვა აქვს ყველა ამერიკელ მოქალაქეებს თავი მოუყაროს ტიან-ძინში. (ადს).

აჯანყება შანდუნის ჯარებში

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, რომ სუ-ჯოუში შანდუნის ჯარებში დაიწყო აჯანყება. ჯარები უკან იხევენ ძი-ანისაკენ, სადაც იმყოფება ჩან-ძუნ-ჩანი. (ადს).

მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 1 ივნისი. შანხაიდან იუწყებიან, რომ ინგლისის პოლიციამ უცხოელთა უბანში გარეკა ჩინელთა დემონსტრაცია: დემონსტრაცია მოწყობილი იყო შანხაის იმ მუშათა ხსოვნის აღსანიშნავად, **რომელნიც 1926 წ. 30 მაისს** დაიღუპენ. ქალაქის ჩინური ნაწილის დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებდა მილიონი კაცი. დემონსტრაცია ჩატარდა ლოზუნგით: „ძირს ინგლისელები, რომლებიც ჟლეტავენ ჩვენ ხალხს“. (ადს).

ჩან-კაი-შის ჯარების გამარჯვება

შანხაი, 1 ივნისი. ჩრდილოეთის არმიის ნაწილების მდგომარეობა, რომელიც მოქმედებს ჩან-კაი-შის ჯარების წინააღმდეგ, დღითი-დღე უარესდება. იტყობინებიან, რომ **ჩან-კაი-შიმ აიღო ნან-სუ-ჯოუ 50 კილომეტრით სუ-ჯოუდან.** (ადს).

ჩან-ძო-ლინის შტაბი ტიან-ძინში გადააქვთ

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტო იუწყება, საიდუმლო თათბირზე გადაწყდა; რომ ჩრდილოელთა არმიის შტაბი პეკინიდან ტიან-ძინში იქნას გადატანილი, სადაც გადავა ჩან-ძო-ლინიც. (ადს).

ყვითელ მდინარეზე

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, მუკდენელების ჯარები თავდაცვის ხაზს ამაგრებენ ყვითელი მდინარის მიმართულებით. სააგენტო იუწყება აგრეთვე, რომ მუკდენელებს განზრახვა აქვთ ააფეთქონ რკინის გზის ხიდი ყვითელ მდინარეზე. ფინ--იუი-სიანის მოწინავე ნაწილებ უკვე გადავიდენ ყვითელი მდინარის ჩრდილო ნაპირზე. (ადს).

ტიან-ძინში

შანხაი, 1 ივნისი ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატების სამხედრო ძალების მეთაური ჩინეთში, გენერალი ბეტლერი თავისი შტაბით 2 ივნისს გაემგზავრება ტიან-ძინში. (ადს).

მუკდენელებმა გადასწყვიტეს დამოუკიდებლად მოქმედება

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, მუკდენელების ჯარებმა შესწყვიტეს გაერთიანებული ოპერაციები შანდუნის არმიასთან და შესცვალეს თავისი სტრატეგიული გეგმა. მუკდენელების ჯარებმა გადასწყვიტეს შეუდგენ მთელი რიგ ოპერაციების წარმოებას იმ მიზნით, რომ უზრუნველჰყონ ბაო-დინ-ფუს და დე-ჯოუს ხაზის თავიანთ ხელში შენარჩუნება (ბაო-დინ-ფუ იმყოფება 130 კილომეტრის მანძილზე პეკინის აღმოსავლეთ-დასავლეთით, ხოლო დე-ჯოუ—190 კილომეტრის მანძილზე ტიანძინის სამხრეთით); ეს ხაზი მათ ესაჭიროება პეკინისა და ტიან-ძინის დასაცავად. (ადს).

ჩან-ძუნ-ჩანის უკან დახევა

პეკინი, 1 ივნისი ჩან-ძუნ-ჩანის ჯარებმა დასტოვეს სუ-ჯოუ და უკან დაიხიეს იენ-ჯოუს მიმართულებით. (ადს).

მოლაპარაკება ზავის შესახებ

პეკინი, 1 ივნისი. იაპონიის გაზეთების ცნობით, ჩან-ძო-ლინს განზრახვა აქვს ჩან-კაი-შისთან დაიწყოს მოლაპარაკება ზავის ჩამოგდების შესახებ. (ადს).

უთანხმოება გენერლებს შორის

პეკინი, 1 ივნისი. შანდუნის ჯარების მდგომარეობის გაუარესება ფრონტზე აძლიერებს უთანხმოებას ჩან-ძუნ-ჩანსა და იან-იუ-ტიანს შორის. ჩან-ძუნ-ჩიანი ცდილობს მოახერხოს ნეიტრალიტეტის გამოცხადება საომარ მოქმედებაში ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის „შანდუნის და ჩილის პროვინციების მოსახლეობაში წესრიგისა და სიმშვიდის დაცვის აუცილებლობის მომიზეზებით“. (ადს).

თუ პეკინი აიღეს

პეკინი, 1 ივნისი. გოვენის სააგენტოს ცნობით, თუ სამხრეთელმა ჯარებმა აიღეს პეკინი, უცხოეთის საელჩოები პეკინს არ დასტოვებენ.

მოლაპარაკება ჩან-კაი-შის და იან-იუ-ტინს შორის

პეკინი, 1 ივნისი. გაზეთების ცნობით, დამოკიდებულება ჩან-ძო-ლინსა და მისი შტაბის უფროს იან-იუ-ტინს შორის გამწვავდა იმის გამო, რომ ვითომც დაირენში საიდუმლო მოლაპარაკება სწარმოებს ჩან-კაი-შის და იან-იუ-ტინს შორის. (ადს).

პეკინიდან მუკდენში და ტიან-ძინში

პეკინი, 1 ივნისი. ტოხოს სააგენტოს ცნობით, ჩან-სიუე-ლიანი ფრონტიდან ფარულად ჩავიდა პეკინში. ჩან-ძო-ლინთან შეხვედრის შემდეგ ჩან-სიუე-ლიანი თავისი ოჯახობით ღამით გამგზავრა ტიან-ძინში. მუკდენელთა ბელადების ოჯახებიც სტოვებენ პეკინს და მიდიან მუკდენში და ტიან-ძინში. (ადს).

პეკინს მხოლოდ სასწაული იხსნის

შანხაი, 1 ივნისი. „შანხაი ტაიმსი“ სწერს: „ყოველ დღეს მოდის ცნობები სამხრეთელების გამარჯვების შესახებ, რომელნიც პეკინისა და ტიან-ძინისაკენ მიიწევენ. მუკდენელების ძალაუფლება ჩინეთის დედა-ქალაქში საფრთხეშია. სასწაულის გარდა ვერაფერი შეუშლის ხელს პეკინის და ტიან-ძინის დაჭერას სამხრეთელების მიერ“. (ადს).

იაპონიის ჯარები ცინ-დაოში

შანხაი, 1 ივნისი. ცინ-დაოში (შან დუნის პროვინცია) გადმოსხეს იაპონიის ჯარების რაზმი, 2.000 კაცის შემადგენლობით. (ადს).

ამერიკის საელჩოს დეპეშა

შანხაი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩრდილო-ამერიკის შეერთებული შტატების პეკინელმა საელჩომ ვაშინგტონში გაგზავნა დეპეშა, რომელშიაც დაჟინებით მოითხოვს, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების საელჩო ყოველგვარი ამბების მიუხედავად დარჩეს პეკინში. დეპეშაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ინგლისის, იაპონიის და სხ მთავრობებმა გადასწყვიტეს დასტოვონ პეკინში თავისი საელჩოები. (ადს).

ინგლისის სამხედრო გეგმები

შანხაი, 1 ივნისი. გაზეთი „შანხაი ტაიმსი“ აცხადებს, რომ ინგლისის სამხედრო წარმომადგენლებმა შემდეგი გეგმა შეიმუშავეს: პეკინი და ტიან-ძინი შეადგენენ განსაკუთრებულ ზონას, რომლის დასაცავად გაიგზავნება ყველა ეროვნების 16.800 ჯარისკაცი იმ ჯარის ნაწილების შემადგენლობიდან, რომელნიც შანხაიში და სხვა პუნქტებში იმყოფებიან; მიღებული იქნება ზომები, რომ განუწყვეტელი კავშირი არსებობდეს პეკინსა და ტიან-ძინს შორის; ამ მიზნით პეკინ-ტიან-ძინის რკინის გზას დაიცავენ ჯავშნიანი ნაწილები და სამხედრო ძალები, რომელნიც ამ დღეებში გაიგზავნებიან ჩრდილოეთში. (ადს).

იაპონიის მთავრობის გაფრთხილება

პეკინი, 1 ივნისი. იაპონიის მთავრობამ თავის ელჩს პეკინში იოშიზავას და კონსულებს შანხაიში და ძი-ნან-ფუში დაავალა, რომ გააფრთხილონ ჩან-ძო-ლინი, ჩან-კაი-ში და ჩან ძუნ ჩანი, რომ თუ მათი ჯარები იაპონელი მოქალაქეების სიცოცხლეს და საკუთრებას განუმზადებენ საფრთხეს, მაშინ იაპონიის ჯარები იძულებული იქნებიან დაიცვან იაპონელი მოქალაქენი, რამაც შეიძლება სერიოზული შედეგები გამოიწვიოს“. (ადს).

მეტი სიმტკიცე აპარატის გაჯანსაღებისათვის ბრძოლაში

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ მთავარ დანიშნულებას წარმოადგენს ბრძოლა უმომჭირნეობის, ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების და ჩვენი აპარატის სხვა მტკივნეულ მხარეების წინააღმდეგ. ამ საპასუხისმგებლო ამოცანას მუშათა და გლეხთა ინსპექცია თავიდანვე მტკიცედ და პირნათლად ასრულებდა და ასრულებს. მაგრამ იმ მუშაობაში, რომელიც მიმართულია აპარატის გამარტივება-გაუმჯობესების სასარგებლოთ, ჩვენ გვხვდება მრავალი დაბრკოლებანი. მათ შორის ყველაზე უფრო საგულისხმოა დაუსრულებელი მომჩივნეობა.

უწყებრივი თავმოყვარეობა, რაიც თავის თავად ბიუროკრატიზმის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს, იმდენად ძლიერია ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში, რომ ისინი ხშირად ნებაყოფლობით არ ემორჩილებიან მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებას, რომელიც სცვლის ამა თუ იმ დაწესებულების აპარატის წყობას და მუშაობის პრაქტიკას. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მშრომელთა უფლებების დასაცავათ უაღრესად ფართო ასპარეზია გაშლილი. ჩვენ მტკიცეთ ვატარებთ საბჭოთა დემოკრატიას, ვინაიდან უამისოთ წარმოუდგენელია მასის აქტიური მონაწილეობა იმ დიდ აღმშენებლობითი საქმეში, რომელსაც ეწევა პარტია და ხელისუფლება.

ამ გარემოებით ბოროტად სარგებლობენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დადგენილებით უკმაყოფილო ჩვენი დაწესებულება-წარმოებები. იწყება დადგენილების გასაჩივრება. საქმე გადადის ერთ ორგანოდან მეორეში. აქედან მესამეში და ასე დაუსრულებლივ. ამ ხნის განმავლობაში დაინტერესებული დაწესებულება და წარმოება ძველებურათ განაგრძობს მუშაობას, რადგან „საქმე ჯერ კიდევ განხილვის პროცესში იმყოფება“. ამრიგად, იმისდა მიუხედავათ, თუ როგორ გადაწყდება საკითხი საბოლოო ინსტანციაში, ესა თუ ის დაინტერესებული დაწესებულება რამდენიმე თვეების და ზოგჯერ წლების განმავლობაში ახერხებს თავის სურვილისამებრ საქმეების წარმოებას და ცდილობს გააჭიანუროს საკითხის გადაწყვეტა, რათა თავი დააღწიოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მის შესახებ მიღებულ დადგენილებას ან, თუ ეს მაინც აუცილებელია, გაახანგრძლივოს ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა.

იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოკლებულია რეალურ შესაძლებლობას მტკიცე და გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადოს ჩვენს დაწესებულება-წარმოებებში არსებულ უმომჭირნეობას, ბიუროკრატიულ გადახრებს და სხვა სნეულებებს. გასაჩივრების უფლების ამ ბოროტად გამოყენებას უნდა დასდებოდა ერთგვარი ზღვარი. საჭირო იყო ისეთ საკითხების განსაზღვრა, რომელთა შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ გამოტანილი დადგენილებანი უდაო უნდა ყოფილიყვნენ.

დღეს მუშათა და გლეხთა ინსპექციას ეს უფლებები უკვე მინიჭებული აქვს. არის მთელი რიგი საკითხების, რომელთა შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეუძლია გამოიტანოს კატეგორიული და საბოლოო გადაწყვეტილება. საკითხთა ასეთ რიგს ეკუთვნის: ანგარიშწარმოების გამარტივება; ზედმეტ ორგანოთა და წარმომადგენლობათა ლიკვიდაცია; შტატების შემცირება; დისციპლინარულ სასჯელის დაწესება და დამნაშავეთა სასამართლოში გადაცემა: თანამდებობის პირთა გადაყენება აშკარა უმომჭირნეობის და ბიუროკრატიზმის გამო.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ამ საკითხების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი აღარ შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს. ამით ბოლო ეღება საჩივრებით ხელში ზედა ინსტანციებში დაუსრულებელ სიარულს და უსაბუთო მოთქმა-გოდებას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ამა თუ იმ დადგენილებათა თითქოს უმართებულობის შესახებ.

გარდა ამისა ბრძოლა ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უმომჭირნეობის და უგულებელყოფლობის წინააღმდეგ არ უნდა წარმოადგენდეს ბრძოლას მხოლოდ ამ ბოროტებაში შემჩნეულ იმ მცირე დამნაშავეთა წინააღმდეგ, რომელიც უმეტეს შემთხვევაში უფრო მსხვერპლი არიან დაწესებულებაში შექმნილ არანორმალურ პირობების, ვიდრე ამ პირობების შემომქმედნი და სულის ჩამდგმელნი.

საბჭოთა აპარატის მტკივნეულ მხარეების აღმოფხვრის დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადოს ყველას, ვინც კი შემჩნეული იქნება ამ სნეულებათა თავის დაუდევრობის თუ სხვა რაიმე მიზეზით ხელის შეწყობაში. პასუხისმგებლობას არ უნდა ასცდენ ამ შემთხვევაში მაღალი თანამდებობის პირნი, მათ მეტი ნდობა აქვს გამოცხადებული და ამდენადვე მეტი უნდა მოეთხოვოს.

ბრძოლა ბიუროკრატიზმის, საქმის გაჭიანურების, უმომჭირნეობის და სხვა უარყოფითი მოვლენების წინააღმდეგ, არის იმავე დროს ბრძოლა საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის, ურომლისოდ შეუძლებელია სოციალისტური აღმშენებლობის წარმატებით განვითარება. ამ ბრძოლას მხოლოდ მაშინ შეუძლია სათანადო ნაყოფის გამოღება, თუ მასში ხელისუფლების ორგანოებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ფართე მშრომელი მასები და კერძოთ ჩვენი პრესა. მუშათა და გლეხთა ინსპექციას ჩვენი პრესა მუდამ მხარ და მხარ მიჰყვებოდა ყოველი სახის ბოროტმოქმედებასთან ბრძოლაში. ამ შემთხვევაშიაც ის მტკიცე დარაჯათ იდგომება საბჭოთა აპარატის დამმახინჯებელთა წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში.

ჩვენი გაზეთები ყოველივე ზომებს მიიღებენ, რათა ბრძოლას ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ მიეცეს სისტემატიური ხასიათი. ჩვენ ამიტომ დაუნდობელი ვიქნებით ყოველგვარ ბოროტმოქმედებათა მხილებაში, ვისგანაც და საიდანაც არ უნდა გამომდინარეობდეს ის. მუშათა და გლეხთა ინსპექცია ყოველთვის მეტ პასუხს მოსთხოვს მას, ვისაც მეტი მოეთხოვება. აქ მორიდებას და მოკრძალებას ადგილი აღარ ექნება.

ეს უნდა ახსოვდეს ყველა მათ, ვინც საბჭოთა სამეურნეო, ადმინისტრატიულ, კულტურულ თუ სხვა დაწესებულებას სათავეში უდგას, ეს უნდა ახსოვდეს მთელი ჩვენი აპარატის მუშა ძალებს, ეს უნდა ახსოვდეს ფართე მშრომელ მასებს, რომელნიც მოწოდებულნი არიან ფართე კონტროლი გაუწიონ მუშაობას, რომელიც მიზნათ ისახავს საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებას.

მ. ლ—ძე.

პრესის მაგიერ

მენშევიკების ინფორმაცია
ანუ
მასალა „ტარტაროზისათვის“

ამა თუ იმ პიროვნების ან ამ პიროვნებათა კრებულის არსებობას რაიმე აზრი უნდა ჰქონდეს. აქვს კიდევაც. აქვს ასეთი აზრი („რეზონ დეტრ“—როგორც ფრანგები იტყვიან) მენშევიკური ემიგრაციის ცოცხალ-მკვდარ ჯაგლაგსაც უცხოეთში. მისი არსებობის ერთ-ერთ ასეთ „აზრს“ წარმოადგენს სიცრუეთა კორიანტელის დაყენება და ყოველგვარი ჭორების გავრცელება საბჭოთა მთავრობისა და ბოლშევიკების შესახებ ყველგან, სადაც მათ სიტყვა მიუწვდებათ და იპოვნიან საკმაო კადრს თავისი საკუთარი სურვილით დაბრმავებულებისას ან დაინტერესებულებისას იმაში, რომ სიცრუე სიმართლეთ გაასაღონ ისევ მათ მსგავსად დაბრმავებულებთა შორის. რაი მერე, რომ ამ იდიოტურ ჭორებს ბევრნი არ დაიჯერებენ და კრიტიკული თვალით შეხედავენ. მაგიერად რამოდენიმე წამით „პატივცემული საზოგადოების“ ყურადღებას მიიპყრობენ, „ხალხი შეგროვდება“ და ესეც კარგი „ღვთისწყალობა“ არის იმ „ქართველ სახელმწიფო მოღვაწეებისათვის“ რომელთა, დავრდომილი არსებობა საფუძვლიან დავიწყებას არის მიცემული ვისგანაც ჯერ არს.

რაშია საქმეო—იკითხავს მკითხველი.

აი რაში.

როგორც ბევრ ალაგას, არიან მენშევიკები პილსუდსკის სამეფოშიც. როგორც ყველგან მათი მიზანი იქაც არის დაქსაქსვა მუშების, ბრძოლა ერთიანი ფრონტის წინააღმდეგ, განიარაღება პროლეტარიატის, შეიარაღება და გაძლიერება ბურჟუაზიის. ასე ემსახურებიან ისინი მუშათა კლასს, რომლის ხელმძღვანელათ მოაქვთ თავი, ასეთია მათი სამოქმედო პროგრამა სწორეთ იმ დროს, როდესაც ბურჟუაზიული რეაქცია აწარმოებს მობილიზაციას თავისი ძალებისას და სისტემატიური იერიშები მოაქვს პროლეტარიატისა და მისი რევოლიუციის წინააღმდეგ.

და აი „პოლონელ მენშევიკებს გამოუშვიათ საპირველმაისო ფურცელი, სადაც ლაპარაკია სხვათა შორის კომუნისტებზე და... საქართველოზე. მასალები, რომლებსაც ისინი აქვეყნებენ ამ ფურცელში ამოუკრებიათ მათ, თანახმად მათივე განცხადებისა, „ქართველ ამხანაგების წერილებიდან“.

იკითხავთ, რას სწერენ ქართველი მენშევიკები და რას იმეორებენ მათი პოლონელი მეგობრები ვარშავაში. აი რას:

„ბოლშევიკური ურდოები თავის სისხლიან გზაზე არავის არ ინდობენ თვითმპყრობელი მოსკოვის გულისათვის. მკვლელობითა და ძარცვა-გლეჯით მოწყურებული ბოლშევიკური დამსჯელი რაზმები სწვავენ ქალაქებს, სოფლებს და მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებს და სარჩო-საბადებლებს. **მუშები, გლეხები, ინტელიგენცია, მოხუცები, ქალები და ბავშვები იღუპებიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ქართველებად არიან დაბადებული.** განსაკუთრებით დევნიან ბოლშევიკები **მუშებსა და გლეხებს,** რომლებიც წარმოადგენენ დემოკრატიული საქართველოს დამოუკიდებლობის დასაყრდენს. ათასებია მათ შორის დაპატიმრებული, ასებია ნაწამები და მოკლული. ჩეკას რაზმები, რომლებიც შესდგებიან ოცდახუთი წლის ასაკის რუსების, ებრაელების და ჩინელებისაგან—ალკოგოლიკების, კოკაინისტებისა და სადისტებისაგან—მიზნათ ისახავენ მოსპონ ისინიც, რომელნიც ალში გახვეულ ქალაქების ცეცხლს და დამსჯელი რაზმების ტყვიებს გადაურჩენ და თავი შეაფარეს მთებს“.

საქართველოს მუშებმა და გლეხებმა უნდა წაიკითხონ პარიზელ ქართველ და პოლონელ მენშევიკების ეს გიჟური ბოდვა. უნდა წაიკითხონ ყოველივე ეს მათ და ერთხელ კიდევ დაინახონ, რა საშუალებით სურთ ამ გაუბედურებულებს თავიანთი ჩაღუპული საქმის „შემოტრიალება“, რა იარაღი დარჩენიათ მათ არსენალში, რომ „დაამუშაონ“ „საზოგადოებრივი აზრი“ თავიანთ სასარგებლოთ.

მოუსმინოთ კიდევ, რას უამბობენ ავტორები თავიანთ მკითხველებს:

„**მასიური ხვრეტა, საშინელი წამება** და ბოლოს ქართველი ხალხის ეკლიანი გზის უკანასკნელი ეტაპი—გადასახლება, აი როგორ იძიებენ შურს დამმონებლები საქართველოზე. და ამას სჩადიან ისინი იმიტომ, რომ ამ ქვეყანამ არ სთქვა უარი დამოუკიდებლობაზე და არ შეურიგდა იმათ, ვისაც სურს **მოსპონ ქართველების ნაციონალური ენა,** ის ენა, რომელზეც შექმნილია შედევრები მეცნიერებისა და ხელოვნების“.

ქართული ენის და ქართველების ჩაგვრაზე სწერს (ქართველ მენშევიკების კარნახით) იმ მთავრობის დამხმარე პარტია პოლონეთის სოციალისტებისა, რომელმაც რკინის-მუხრუჭში მოაქცია მთელი დასავლეთ უკრაინა და სხვა ნაციონალური უმცირესობანი პანების პოლონეთში. შეეცადენ როდისმე პოლონელი მენშევიკები, რომ პილსუდსკის ქუსლის ქვეშ მგმინავ ნაციონალური უმცირესობებისათვის მოეპოვებიათ თუგინდ მეასედი იმ ეროვნული თავისუფლების და კულტურულ-ეკონომიური შემოქმედებისა, რომელიც ახასიათებს საბჭოთა კავშირში შემავალ ერებს? **რასაკვირველია, არა.** ისინი ასრულებენ პანების ჟანდარმების როლს, რაც მათ არ უშლის ხელს ნიანგის ცრემლები ღვარონ საქართველოზე და მის ეროვნულ ენაზე ანუ უკეთესად რომ ვთქვათ, ქართველ მენშევიკური ემიგრაციის დაღუპულ საქმეზე.

რატომ დასჭირდა პოლონელ მენშევიკებს ეს სისულელე, ეს სიყალბე, ეს ჭორები და ტყუილები? ჯერ ერთი იმიტომ, რომ „მიუსამძიმრონ“ თავიანთ „ქართველ ამხანაგებს“ მათი უნუგეშო მდგომარეობის გამო და მეორეც იმიტომ, რომ პოლონელ მუშებს, რომლებიც დღემდე მათ მიჰყვებოდნენ, მაგრამ თანდათან კომუნისტებისაკენ იცქირებიან, უთხრან: არ გაჰყვეთ კომუნისტებს, ეგენი დაწყევლილი ხალხიაო.

ჩვენ შეგვიძლია განვუცხადოთ საპირველმაისო ფურცლის ავტორებს: ის პარტია, რომელიც იმ მდგომარეობამდე მივიდა, რომ თავის გავლენის შესანარჩუნებლად, იძულებულია მიმართოს ასეთ სიცრუეს,—ასეთი პარტია უკვე დაღუპულია, როგორც დაიღუპა მისი ქართული რაზმი.

სწორეთ ამიტომ იყო ალბათ, რომ ვარშავაში უკანასკნელი კომუნალური არჩევნების დროს ბრწყინვალეთ გაიმარჯვა კომპარტიამ და დამარცხდენ მენშევიკები. მაგრამ პილსუდსკი მოეხმარა თავის მენშევიკებს და გააბათილა კომუნისტების სიები.

ამნაირად ჩვენმა მკითხველებმა ერთხელ კიდევ დაინახეს, თუ რამდენად მართალი ცნობებით კვებავენ პარიზელი ქართველი მენშევიკები თავიანთ მომხრეებს უცხოეთში და რა საშუალება დარჩენიათ კიდევ მათ.

საქართველოს

ინგლისთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ

ჩემბერლენის პასუხები შეკითხვებზე

ლონდონი, 1 ივნისი. თემთა პალატის წევრმა **ტეილორმა** (მუშათა პარტია) თემთა პალატაში მოითხოვა: გაკეთებულ იქნას განცხადება საფრანგეთის და რუსეთის შორის მოლაპარაკებისა და აგრეთვე იმის შესახებ, რომ შეიტანეს თუ არა რუსეთის წარმომადგენლებმა რაიმე წინადადება, რომელიც შეიძლება დაედოს საფუძვლად სესხის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების განახლებას დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს შორის.

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ მოლაპარაკება საფრანგეთსა და რუსეთს შორის სესხის მოწესრიგების შესახებ, რამდენადაც მან იცის, გრძელდება, მაგრამ მას არ აქვს ცნობები რუსეთის წარმომადგენლების მიერ შეტანილი წინადადების შესახებ.

ტეილორი შეეკითხა: განზრახვა აქვს ჩემბერლენს თუ არა, რომ პირველ შესაძლებლობისთანავე კატეგორიულ ფორმაში გამოსთქვას ის პირობები, რომელიც მისი აზრით, აუცილებელია ამ საქმის მოსაწესრიგებლად.

ჩემბერლენმა უარყოფითი პასუხი გასცა.

დეისონმა (კონსერვატორი) სპიკერს (თავმჯდომარეს) მისცა შეკითხვა: მიაქცია თუ არა მან ყურადღება იმას, რომ 27 მაისს ზოგიერთი ოთახები თემთა პალატაში გამოყენებულ იქნა საბჭოთა რესპუბლიკის წარმომადგენელთა მისაღებად, რომელთა საქციელი დაგმობილ იქნა პალატის რეზოლიუციით და რომელთაც მთავრობამ მისცა წინადადება დაეტოვებიათ ინგლისი.

სპიკერმა უპასუხა, რომ მიღებული არ არის იმ სტუმართა ვინაობის გამოძიება, რომელთაც პალატის წევრები იღებენ. (ადს).

კანადას პოზიცია

ოტტავა, 1 ივნისი. კანადის მთავრობამ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით, რათა უკანასკნელმა აცნობოს საბჭოთა მთავრობას, რომ კანადა უარს აცხადებს საბჭოთა კავშირთან დადებული სავაჭრო ხელშეკრულებაზე. (ადს).

საბჭოთა საელჩოს გამგზავრება

ლონდონი, 1 ივნისი. როზენგოლცმა ჩემბერლენს წერილობით აცნობა, რომ საელჩოს პერსონალის ნაწილი ლონდონიდან 3 ივნისს გამოემგზავრება. სავაჭრო დელეგაციის თავმჯდომარე ხინჩუკი და დელეგაციის პერსონალი ლონდონს დასტოვებს 3 ივნისს. (ადს).

საპროტესტო მიტინგები

ბერლინი, 1 ივნისი. გაიმართა 7 მრავალრიცხოვანი საპროტესტო მიტინგი ომის საფრთხის წინააღმდეგ; მიტინგები მიმართული იყო აგრეთვე რეფორმისტების წინააღმდეგ, რომლებიც ცილისწამების კამპანიას აწარმოებენ მემარცხენე მუშათა მოძრაობის მიმართ. სიტყვები წარმოსთქვეს რეიხსტაგის და ლანდტაგის კომუნისტმა დეპუტატებმა. ყველა მიტინგებზე ერთხმად მიღებულ იქნა საპროტესტო რეზოლიუციები ინგლისის იმპერიალიზმის პროვოკაციული გამოსვლის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მიმართ. რეზოლიუცია სასტიკად ჰკიცხავს გერმანიის სოციალ - დემოკრატიული პარტიის ბელადების და „ფორვერტს“-ის საქციელს, რადგან მათ სურთ გაიმეორონ 1914 წელს ჩადენილი ღალატი. (ადს).

მოთხოვნილება რუსეთის პროდუქტებზე

მოსკოვი, 2 ივნისი. მიუხედავათ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტისა, ინგლისში იზრდება მოთხოვნილება რუსეთის პროდუქტებზე. ლონდონში გაიზარდა ფასები ციმბირის კარაქზე, კვერცხზე და სხვა პროდუქტებზე. (ადს).

ფინეთის ნეიტრალიტეტი

ჰელსინგფორსი, 1 ივნისი. „მუშათა ორგანიზაციების უწყებები“, უკეთებს რა კომენტარიებს იმ ცნობას, რომლის მიხედვითაც ინგლისის ესკადრა ივნისში აპირებს ფინეთის ტერიტორიის წყლებში ჩასვლას, ხაზს უსვამს ამ ვიზიტის ანტისაბჭოთა ხასიათს. გაზეთი მოითხოვს, რომ სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ პროტესტი განაცხადოს ესკადრის ჩამოსვლის წინააღმდეგ; ეს პროტესტი სავსებით შეეფერება ფინეთის ნეიტრალობის პრინციპს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტში. (ადს).

ჩვენი პასუხი ინგლისის პროვოკაციაზე

ფინანსიური ბლოკადის განახლების ცდაზე — ჩვენი ქვეყნის ფინანსების მობილიზაციით უპასუხებთ

მოსკოვი, 2 ივნისი. საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომლის შეკითხვაზე, — **რა რეალური ღონისძიებები აქვს დასახული საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატს იმ ფინანსიური ბლოკადის თავიდან ასაცილებლად, რომელსაც ჩვენს ქვეყანას უმზადებს ინგლისი,** საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. **ბრიუხანოვმა** განაცხადა:

„ჩვენი ბიუჯეტი, რომელიც 1925-26 წელს 4.039 მილ. მანეთს უდრიდა, 1926-27 წელს გაიზარდა 5.002 მილ. მანეთამდე. მიმდინარე წლის გასული 7 თვის განმავლობაში მიღებულ სახელმწიფო შემოსავლის რაოდენობა უდრის წლიური ვარაუდის 58,7 პროცენტს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბიუჯეტი სრულდება ზედმეტი დაჭიმვის გარეშე. იმავე 7 თვის განმავლობაში სახელმწიფო სესხების სახით შემოვიდა წლიური ვარაუდის 70 პროცენტი. ეს ციფრი საუკეთესოდ ახასიათებს მახლობელ პერიოდის ფინანსიურ შესაძლებლობას. 1925-26 წლის შემოსავალი სესხებიდან შეადგენს 120 მილ. მანეთს, 1926-27 წლის ბიუჯეტში კი ის გათვალისწინებულია 220 მილ. მანეთის რაოდენობით.

მაგრამ ეს ციფრები ოდნავადაც არ ამოსწურავენ იმ დაგროვებულ თანხებს, რომლებიც გვაქვს ქვეყნის შიგნით. ამჟამად დაახლოვებით ორი მილიონი მცხოვრები ჩვენი შინაური სესხის მეპატრონეა, მათ შორის ორ მესამედს მშრომელები შეადგენენ. თუ ჩვენ სწორად გავატარებთ მუშაობას შინაური კრედიტის ოპერაციების ხაზით, ამ რაოდენობას საგრძნობლად გავადიდებთ.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო კრედიტის განვითარების ისტორია მოწმობს, რომ ჩვენ მივაღწიეთ დასახულ მიზნებს. მინდა მოგაგონოთ, რომ 1923 წლის 1 ოქტომბრისათვის საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ვალი უდრიდა სულ 118 მილ. მანეთს, ეხლა ის უდრის 680 მილ. მანეთს.

ასევე თვალსაჩინოა ანაბარების ზრდა შემნახველ სალაროებში. 1925 წლის 1 ოქტომბრისათვის ანაბარების ნაშთი ყველა შემნახველ სალაროებში უდრიდა, სულ 11 მილ. მანეთს, 1927 წლის 1 მაისს კი უდრის 148 მილ. მანეთს.

საბჭოთა კავშირის ფინანსიური ბლოკადის ცდას ჩვენ ვუპასუხებთ ჩვენი შინაური ფინანსების მობილიზაციით. მაგრამ ამის მისაღწევად, ჩვენ დიდი ჯაფა და ენერგია უნდა დავხარჯოთ, რომ განვამტკიცოთ და გავაფართოვოდ ჩვენი ფინანსიური და, კერძოთ, სახელმწიფო საკრედიტო ბაზა ქვეყნის შიგნით,, (ადს).

ურთიერთობის ჩაშლა გავლენას არ მოახდენს ნავთის მრეწველობაზე

ბაქო, 2 ივნისი. ამიერ - კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს ნავთის მრეწველობის მთავარმა დირექტორმა **სტრიჟკოვმა** განაცხადა, რომ ინგლის - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაწყვეტა ნავთის მრეწველობაზე არავითარ გავლენას არ მოახდენს.

ინგლისი არ ყოფილა იარაღების მნიშვნელოვანი მომწოდებელი ჩვენი ნავთის მრეწველობისათვის. შეკვეთების უდიდესი ნაწილი იგზავნებოდა გერმანიაში და ამერიკაში. ინგლისში დამზადებული მოწყობილობა უფრო ძვირი გვიჯდებოდა და უფრო ცუდი ხარისხის იყო.

საბურღავ მოწყობილობას ჩვენ უკვეთავთ ამერიკაში.

გარდა ამისა თანდათან ფართოვდება ნავთის მრეწველობის მოწყობილობის დამზადება საბჭოთა კავშირის ქარხნებში. ლეიტენანტ შმიდტის ქარხანაში ჩვენ გაოცებული ვიყავით წარმოების უდიდესი ზრდით და ტეხნიკური გაუმჯობესებით. ქარხანა უდიდეს მუშაობას აწარმოებს, შემოღებულია ლითონის ჩამოსხმის პროცესის მექანიზაცია.

სორმოვის და სხვა ქარხნებში ანალოგიური მუშაობა სწარმოებს. კერძოთ „იუგოსტალ“-ის ქარხანაში მიღებულია (ჩეხო - სლოვაკიიდან) და დადგმულია მილების ჩამომსხმელი მოწყობილობა, რაც საშუალებას გვაძლევს საბჭოთა კავშირის ფარგლებში დავამზადოთ მილები ბაქო-ბათომის ნავთსადენისათვის.

სავსებით მოგვარებულად უნდა ჩაითვალოს ღრმა საქაჩავების დამზადება. იურის და აზნავთის ქარხნებში მზადდება საქაჩავების საკმარისი რაოდენობა (ადს).

არჩევნები ბულგარეთში

ვენა, 1 ივნისი. ბულგარეთის პარლამენტის არჩევნები დამთავრდა. არჩევნებში დამარცხდენ საშუალო პარტიები, მათ შორის სოციალ-დემოკრატები; გაძლიერდენ მემარჯვენენი და მემარცხენენი. წინანდელ პარლამენტში ოპოზიციის 92 მანდატიდან სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და ბურჟუაზიულ ოპოზიციას ერთად ქონდათ 63 მანდატი, დანარჩენი—ეკუთვნოდა გლეხთა კავშირს. ეხლა კი ოპოზიციის 84 მანდატიდან ბურჟუაზიულ ოპოზიციას და სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აქვს მხოლოდ 20 მანდატი წინააღმდეგ 64 მანდატისა, **რომელიც აქვთ ცენტრს, გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთას და მუშათა პარტიას.** (ადს).

ინგლისი ემუქრება ეგვიპტეს

ინგლისის ნოტა

ლონდონი, 1 ივნისი. ინგლისის მიერ ეგვიპტესადმი გაგზავნილი ნოტის ტექსტი ჯერ კიდევ არ არის გამოქვეყნებული.

როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება ქაირიდან, **ნოტა აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობას სურს შეინარჩუნოს კონტროლი ეგვიპტის არმიაზე, და წინადადებას აძლევს ეგვიპტის მთავრობას მიიღოს ინგლისის მიერ წარდგენილი მოთხოვნილება.** (ადს).

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 1 ივნისი. ჩემბერლენმა, ეგვიპტის მდგომარეობის შესახებ შეკითხვაზე პასუხის გაცემის დროს თემთა პალატაში განაცხადა, რომ ეგვიპტის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა დიდი ხანია ამოცანად დაისახეს არმიის გადაქცევა ვაფდის პარტიის (ნაციონალისტები) იარაღად. ეს უშუალოდ ეხება ინგლისის მთავრობას იმის გამო, რომ აუცილებელია სუეცის არხის და უცხოელების დაცვა ეგვიპტეში.

„ჩვენ არ დაუშვებთ,—განაცხადა ჩემბერლენმა,—**რომ ჩვენი ამოცანა გართულდეს მტრის არსებობით; როგორც ეს შეიძლება გახდეს მაშინ, თუ ეგვიპტეს არმიაში თავისუფლება მიეცა ანტი-ბრიტანულ გავლენას.** ეგვიპტის პარლამენტის სამხედრო კომისიის წინადადების განხორციელება ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლების სათავეში მდგომ პარტიას ეძლევა შესაძლებლობა დაუბრკოლებლად მოახდინოს გავლენა არმიაზე. ამის გამო ინგლისის მთავრობამ ეგვიპტის მთავრობას გაუგზავნა ნოტა. სამხედრო გემებმა, რომელნიც ეგვიპტეში გაიგზავნა, შემკავებელი ფაქტორის როლი უნდა ითამაშონ. (ადს).

ინგლისის პრესის აზრი

ლონდონი, 1 ივნისი. „დეილი ტელეგრაფი“, უკეთებს რა კომენტარიებს ინგლის - ეგვიპტის კონფლიქტს, სწერს:

„ინგლისის ნოტამ ბოლო უნდა მოუღოს იმ ილიუზიებს, რომლითაც იკვებებიან **ქაირში, სადაც ფიქრობენ, რომ ინგლისი შეურიგდება ისეთ მდგომარეობას, რომლის დროსაც ინგლისმა ხელი უნდა აიღოს ეგვიპტის არმიის კონტროლზე.** თუ 1912 წელში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რომ ეგვიპტის თავდაცვა ინგლისის ხელში ყოფილიყო, მით უფრო მნიშვნელოვანია ეს ამჟამად. ეგვიპტის პრობლემა საბოლოოდ გადაწყდა. **საიმპერიო თავდაცვის საკითხების უახლოესმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ მომავალში ახლო აღმოსავლეთი ჩვენი უშიშროების მთელი სისტემის საფუძველი უნდა გახდეს.** (ადს).

ეგვიპტის პრესა

ლონდონი, 1 ივნისი. ეგვიპტის **პრესა ენერგიულად უჭერს მხარს მთავრობის აზრს,** რომელიც ინგლისის მთავრობის მოთხოვნილებებს სთვლის მიუღებლად და დაუშვებლად. (ადს).

ამხ. ოსინსკი ეკონ კონფერენციის შედეგების შესახებ

მოსკოვი, 2 ივნისი. 1 ივნისს ჟენევიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა დელეგაციის თავმჯდომარე ამხ. **ოსინსკი.**

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში ამხ. **ოსინსკიმ** ნაწილობრივ ჯამი გაუკეთა კონფერენციის მუშაობას.

„კონფერენციას — სთქვა ამხ. ოსინსკიმ— არც ერთი გადამჭრელი სიტყვა არ უთქვამს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს აღმოფხვრილი ეკონომიური დაბრკოლებები. მას არ გადაუჭრია ის ამოცანები, რომელთა გადაჭრას მას აკისრებდენ კაპიტალისტური მთავრობები, თავი რომ დავანებოთ იმ ძირითად პრობლემას, რომელიც შეეხება მსოფლიო ეკონომიურ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის საშუალებებს.

კონფერენციის შედეგები ჩვენთვის სავსებით დამაკმაყოფილებელია. კონფერენციის დაწყებამდე ვშიშობდით, რომ რამდენადაც კონფერენციაზე დაისმება საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების დაბრკოლებათა ე. წ. აღმოფხვრის საკითხი, აუცილებლად გამოილაშქრებდენ საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. მართალია, რეზოლიუციების პროექტებში და მიღებულ რეზოლიუციებში არის მუხლები, რომლებიც შეეხებიან სახელმწიფო მონოპოლიებს ვაჭრობის დარგში და იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვას. ის ორივე მუხლი მიმართულია მონოპოლიისა და აკრძალვის წინააღმდეგ. რომ მათ დართული არ ჰქონდეს შენიშვნა, რომ ისინი საბჭოთა კავშირს არ შეეხებიან, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ამ საკითხის შესახებ მიღებული რეზოლიუციები უშუალოდ ჩვენს წინააღმდეგ არიან მომართული.

ბრძოლის შემწეობით, რასაც ამერიკის დელეგაციამაც დაუჭირა მხარი, ჩვენ მივაღწიეთ გამარჯვებას. კონფერენციის რეზოლიუციაში შეტანილ იქნა განსაკუთრებული ფორმულა, რომელიც ჩვენ შეგვეხება. მის მეორე ნაწილში ნათქვამია, რომ **საბჭოთა კავშირს შეეხება მხოლოდ ის რეზოლიუციები, რომელთაც ხმა მისცა საბჭოთა დელეგაციამ. ვინაიდან ჩვენ ხმა არ მიგვიცია რეზოლიუციებისათვის მონოპოლიების და სხვ. შესახებ, ცხადია, ისინი ჩვენ არ შეგვეხებიან.**

ფორმულის პირველ ნაწილში კი პრინციპიალურად აღიარებულია, რომ **ჩვენი სოციალისტური მეურნეობის სისტემას სცნობს ბურჟუაზიული მსოფლიო, როგორც არსებულ ფაქტს, და რომ კონფერენცია უარყოფს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ სისტემაზე თავდასხმას, თუნდაც ეს იყოს მორალური თავდასხმა. გარდა ამისა ამავე ფორმულაში კონფერენცია აუცილებლად სთვლის საბჭოთა კავშირთან ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას.**

რამდენადაც ეს ფორმულა მიღებულ იქნა არკოსზე თავდასხმის შემდეგ და ინგლისსა და ჩვენს შორის ურთიერთობის ჩაშლის წინ, იმის აღიარება, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაზე „ყველა ქვეყნის მშვიდობიანი ეკონომიური თანამშრომლობის სასიხარულო საწინდარია“, — იყო თუ არაპირდაპირი გაკიცხვა ყოველ შემთხვევაში დაპირისპირება ინგლისის პოლიტიკისათვის.

საინტერესოა ის, რომ ამ ფორმულას უკანასკნელ სხდომაზე ხმა მისცა ინგლისის დელეგაციამ და რომ პირველი ხმა მას მისცა ამ დელეგაციის თავმჯდომარემ ბალფურმა, ინგლისის ერთ-ერთმა მსხვილმა მრეწველმა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე, როგორც ჩვენთვისდადებითი შედეგი, რომ ჯერ კიდევ კონფერენციის დროს ჩვენ კავშირი გავაბით ბევრი ბურჟუაზიული ქვეყნის კომერციულ და სამრეწველო წრეების წარმომადგენლებთან. ეს უსათუოდ ნაყოფს გამოიღებს ჩვენი სავაჭრო წარმომადგენლობების შემდგომ მუშაობაში საზღვარ - გარეთ. თუნდაც მარტო ამ შედეგის მიხედვით მე ვფიქრობ, რომ საბჭოთა კავშირისათვის მეტად მნიშვნელოვანია შემდეგშიაც ასეთ კონფერენციებზე მონაწილეობის მიღება.

მეორე დასკვნა — ენერგიულად უნდა ვიზრუნოთ ჩვენი ეკონომიური ინფორმაციის გაუმჯობესებაზე საზღვარგარეთ. დელეგატების მეტ ნაწილს კონფერენციაზე არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, თუ რა ხდება ნამდვილათ საბჭოთა კავშირში და როგორია სინამდვილეში ჩვენი ეკონომიური მდგომარეობა. **ჩვენი დელეგაციის მონაწილეობამ კონფერენციაზე ინფორმაციამ, რომელიც ჩვენ წარვადგინეთ საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის შესახებ, ამ მშენებლობის გამარჯვების მტკიცე იმედმა, რომლითაც გამსჭვალული იყო საბჭოთა დელეგატების სიტყვები, ეჭვს გარეშეა, დიდათ ხელი შეუწყვეს ჩვენი სამეურნეო პრესტიჟის აწევას ბურჟუაზიულ მსოფლიოს თვალში“** (ადს).

საფრანგეთის ახალი სამხედრო კანონი

მარტის სიტყვა დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 1 ივნისი. არმიის ორგანიზაციის შესახებ კანონპროექტის განხილვის დროს პალატაში სიტყვა წარმოსთქვა კომუნისტმა **მარტიმ.** მან ციფრებით დაამტკიცა, რომ საბჭოთა კავშირის სამხედრო ხარჯები და არმიის რიცხვი მცირდება. მარტიმ თავისი სიტყვა ასე დაამთავრა: **„არავითარი ომი, არც თავდაცვის და არც თავდასხმის მიზნით. მუშათა მასები იბრძოლებენ ყოველგვარი სამხედრო კანონების წინააღმდეგ, ბოლოს მოუღებენ ომს და მას გადააქცევენ სამოქალაქო ომად“.**

რენოდელის „იმედი“

სოციალისტმა **რენოდელმა** გაილაშქრა კანონპროექტის წინააღმდეგ. რენოდელმა აღნიშნა არა ერთი ლიგის დამსახურებანი, გამოსთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირიც შევა ლიგაში. რენოდელის ამ სიტყვების დროს პუანკარემ დაიძახა ადგილიდან, რომ იგი ლიგას ენდობა, სანამ ლიგაში არ არიან კომუნისტები. (ადს).

კუკი ხოჯესის გადადგომის შესახებ

პარიზი, 1 ივნისი. „იუმანიტე“-მ გამოაქვეყნა საუბარი კუკთან მემაღაროეთა საერთაშორისო ფედერაციის მდივნის ხოჯესის გადადგომის გამო. კუკმა განაცხადა:

„ხოჯესი დარწმუნდა, რომ ის უნდაგადამდგარიყო. ინგლისელ მემაღაროების ფართო წრეებს მისი დარჩენა ჩვენი ფედერაციის სათავეში არასასურველად მიაჩნიათ. მათ თვალში ხოჯესი წარმოადგენს მოღალატეს, რომელიც ემხრობა შეთანხმებას მწარმოებლებთან და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ილაშქრებს. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

ამერიკის ჯარების გაგზავნა პეკინში

ვაშინგტონი, 1 ივნისი. საზღვაო სამინისტრო იუწყება, რომ ჩრდილო ჩინეთში გზავნიან ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარს 5.000-ზე მეტი კაცის შემადგენლობით. (ადს).

ესტონეთის ნეიტრალიტეტი

რეველი, 1 ივნისი. ესტონეთის გაზეთები, უკეთებენ რა კომენტარიებს ინგლის-საბჭოთა კონფლიქტს, გამოდიან დეკლარაციით ესტონეთის ნეიტრალიტეტის შესახებ. (ადს).

ჩან-ძო-ლინის და ჩან-კაი-შის შერიგების ცდა

პეკინი, 1 ივნისი. გონილის სააგენტო იუწყება, რომ უცხოელების ელჩებს პეკინში განზრახვა აქვთ გამოაქვეყნონ განცხადება, რომელიც ჩრდილოელებს და სამხრეთელებს მოუწოდებს, რომ ერთმანეთთან ზავი დასდონ. (ადს).

მდგომარეობა კანტონში

პეკინი, 1 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, 30 მაისს კანტონში აღნიშნული იყო წითლების მოქმედების განახლება უხანის გამარჯვების შესახებ ცნობებთან დაკავშირებით პოლიცია სასტიკად სდევნის ყოველგვარ კომუნისტურ მოქმედებას“. (ადს).

იაპონიის დემოკრატიული პარტია

ტოკიო, 1 ივნისი. მოხდა კენსეიკაის და სეიიუხონტოს პარტიების შეერთება. ახალ პარტიას ეწოდება კონსტიტუციონალურ-დემოკრატიული პარტია. (ადს).

უნგრეთი და საბჭოთა კავშირი

ვენა, 1 ივნისი. უნგრეთის დეპუტატთა პალატის სხდომაზე განხილულ იქნა ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შედეგები უნგრეთისათვის.

სოციალ-დემოკრატ დეპუტატმა დიერკიმ ბეტლენს დასდო ბრალი იმაში, რომ უკანასკნელს „დიდი ხანია ჰქონდა განზრახვა ხელშეკრულება დაედო საბჭოთა კავშირთან“. „სოციალ-დემოკრატები, სთქვა დიერკიმ, არასოდეს არ გადადგამდენ ასეთ ნაბიჯს; ისინი საბჭოთა კავშირთან დაახლოვებასაც კი არ უჭერენ მხარს.

მთავრობის პარტიის დეპუტატებმა გამოსთქვეს ის აზრი, რომ უნდა შეიქმნას სახელმწიფოების ანტიბოლშევიკური ბლოკი ინგლისის მეთაურობით და აღნიშნავს, რომ ამ ბლოკს უნდა მიემხროს უნგრეთი. (ადს).

ლიტვინოვის ნოტა სპარსულ პრესაში

თეირანი, 1 ივნისი. ლიტვინოვის ნოტა პიტერსისადმი გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში. გაზეთი „ტუფანი“ სწერს: „სპარსეთმა მტკიცე ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას. ახალ კაბინეტს არ უნდა ჰქონდეს იმის იმედი, რომ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა შერყეულია. პირიქით, მტკიცედ უნდა ახსოვდეს, რომ საბჭოთა ძალა-უფლება ბოლოს და ბოლოს მთელ მსოფლიოში დამყარდება“. (ადს).

იაპონიის მთავრობის განმარტება

ტოკიო, 1 ივნისი. მას შემდეგ, რაც იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ინგლისის, ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების და საფრანგეთის წარმომადგენლებს აცნობა, რომ იაპონიის ახალი ჯარები გაიგზავნა ჩინეთში, გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა დებუჩიმ საბჭოთა კავშირის საელჩოს მრჩეველი ბესედოვსკი მიიწვია და განუცხადა:

„იაპონიის ჯარები ჩინეთში იგზავნება დროებით და მხოლოდ და მხოლოდ იაპონელების სიცოცხლისა და ქონების დასაცავად, რომელნიც საფრთხეში იმყოფებიან შანდუნელების ჯარების მხრივ; იაპონიის ჯარები არ ჩაერევან ჩინელი გენერლების ბრძოლაში და როცა იაპონელებისათვის საფრთხე გაივლის, ჯარები დაუყოვნებლივ უკან იქნება დაბრუნებული“. დაბოლოს, დებუჩიმ გამოსთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ აზრს სწამს, რომ იაპონიის მთავრობას არ აქვს განზრახვა სამხედრო ინტერვენცია მოახდინოს ჩინეთში. (ადს).

ამხ. რიკოვის სიტყვა

ლონდონი, 1 ივნისი. თითქმის ყველა გაზეთებმა უკომენტარიოთ გამოაქვეყნეს ზოგიერთი ადგილები ამხ. რიკოვის სიტყვიდან, რომელიც მან წარმოსთქვა მოსკოვის საბჭოს პლენუმზე. (ადს).

შანხაის თათბირის შედეგები

პეკინი, 1 ივნისი. „ნორტ ჩაინა სტარ“ აქვეყნებს ცნობას იმ თათბირის შესახებ, რომელსაც დაესწრენ ინგლისის ელჩი პეკინში **ლემპსონი,** ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი ჩინეთში ადმირალი **ტირუიტი,** ინგლისის თავდაცვის კორპუსის უფროსი ჩინეთში გენერალი **დუნკანი** და ინგლისის ყოფილი დიპლომატიური წარმომადგენელი უხანში **ნიუტონი.** თათბირმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები: **ნანკინის მთავრობა მიჩნეულ იქნეს ისეთ ორგანოდ, რომელიც წარმოადგენს ნაციონალისტებს და გამართულ იქნეს მოლაპარაკება ამ მთავრობასთან ნანკინის ინცინდენტის შესახებ; დაინიშნოს ინგლისის ელჩი დელეგატად ნანკინის მთავრობასთან მოლაპარაკების საწარმოებლად;** ინგლისის კონცესიები ხანკოუში და ცზიუ-ძიანში უნდა დაუბრუნდეს ინგლისს, ვინაიდან უხანის მთავრობამ არ შეასრულა ის ვალდებულებანი, რომლებიც გათვალისწინებული იყვნენ ევგენი ჩენსა და ო,მალის შორის დადებულ შეთანხმებებში. (ადს).

პოლონეთი არჩევნების შემდეგ

მუშების მოთხოვნილება

ვარშავა, 1 ივნისი. 31 მაისს გაიმართა მასიური დემონსტრაციები. დემონსტრაციების ლოზუნგი იყო: **„ჩვენ მოვითხოვთ მუნიციპალიტეტის არჩევნების გაუქმებას“. პოლიციამ გარეკა დემონსტრაციები. არიან დაჭრილები, დაახლოვებით 400 კაცი დაპატიმრებულია.** გარეკილი დემონსტრანტები კვლავ თავს იყრიდენ ქალაქის სხვადასხვა რაიონებში და ხელახლა ადგენდენ ცალ-ცალკე პროცესიებს. (ადს).

პოგრომშჩიკები

ვარშავა, 1 ივნისი. 29 მაისს პრუშკოვში, სადაც სწარმოებს მუნიციპალიტეტის არჩევნების მოსამზადებელი კამპანია, ჩავიდა პეპესოველების 150 კაცისაგან შემდგარი რაზმი. **რაზმელებმა მოაწყვეს ქალაქში ნამდვილი პოგრომი, სცემდენ მუშებს მიტინგზე და იჭერდენ კომუნისტებს.** პეპესოველების მემარცხენე ფრთის წევრებს რაზმელები სცემდენ უმოწყალოდ. (ადს).

მშვიდობიანი შრომა და ომის საკითხი

იმ მომენტში, როცა ომის საფრთხე თავს დასტრიალებს მსოფლიოს, საბჭოთა რესპუბლიკა მთელი თავისი ძალღონით, ენერგიით ეწევა მშვიდობიან შრომას. ჩვენ მშვენიერად ვიცით, ყოველთვის ვიცოდით და არ უნდა დავივიწყოთ განსაკუთრებით ეხლა, როცა ჩვენი მშვიდობიანი შრომა მიმდინარეობს განსაკუთრებულ, სრულიად თავისებურ პირობებში. ყველა ბოლშევიკების აუცილებელი მოვალეობაა, რომ როცა იგი ეწევა მშვიდობიან აღმშენებლობას, იღწვის მეურნეობის აღორძინებისათვის, მაგრად უჭირავს ხელში სოციალიზმის ბერკეტი,—ყოველთვის ახსოვდეს ომის საფრთხე. ომის საფრთხის წინაშე, რომელიც ემუქრება პროლეტარულ სახელმწიფოს, განსაკუთრებით უნდა იქნას ძლეული ყოველგვარი ამქრული, საკუთარ სარგებლობის ტენდენციები. დიდი საფრთხის წინაშე დაუნდობლად უნდა შევებრძოლოთ ყოველგვარ დაუდევრობას, გულგრილობას, უნდა აღმოვფხვრათ გამეჩნების მიდრეკილებანი, რომელნიც ხანდახან ჩვენ პარტიის წრეშიაც იჭრება. „მზად ყოფნა, საფრთხისათვის პირდაპირ თვალებში ცქერა, მზად ყოფნა სათანადო პასუხის გასაცემად“,—აი, საითკენ მოუწოდებს ჩვენი პარტიის ცეკა საკავშირო კომპარტიის (ბ) ყველა ორგანიზაციებს და ყველა მუშებსა და გლეხებს. მზად ყოფნა ყოველ შემთხვევისათვის, მზად ყოფნა უცუდეს შემთხვევაში აშკარა ომისათვის,—სავალდებულოა, უპირველეს ყოვლისა პროლეტარული ავანგარდისათვის. საჭიროა უდიდესი სიმტკიცის, ისეთი ნებისყოფის გამომუშავება ჩვენში, რომ ყოველ საჭირო მომენტში მტკიცედ და გადაჭრით, უცებ, დაუყოვნებლივ ახალ საფუძველზე დავრაზმოთ რიგები, მოვიკრიბოთ ნივთიერი და მორალური ძალა და თამამად შევხვდეთ მოსალოდნელ საფრთხეს. დეე, ყველამ შეიტანოს თავისი წილი, თავისი ძალ-ღონე საქმიან ყოველდღიურ მუშაობაში. მაშინ ყველა ამ ძალღონეთა გაერთიანება შექმნის ისეთ უდიდეს ძალას, რომლისთვისაც საშიში არ იქნება არავითარი საფრთხე. მაშინ ვაი უგუნურთ, რომელნიც გაბედავენ სოციალიზმის აღმშენებელთა მშვიდობიანი შრომისათვის ხელის შეშლას. ყველა მუშებმა და გლეხებმა, პირველ რიგში ლენინური პარტიის ყველა წევრებმა უნდა გაათკეცონ ენერგია. ფოლადისებური მტკიცე დარაზმულობა ყოველთვის იყო, არის და იქნება ჩვენი პარტიის დიადი დევიზი.

მოსკოვი, 2 ივნისი. „პრავდა“.

ამხ. ა. ენუქიძე თბილისში

გუშინ, 2 ივნისს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. ა. ენუქიძე. მასთან ერთად ჩამოვიდა ამ.-კავკ. სოც. ფ. საბჭ. რესპ. წარმომადგენელი საკავშირო მთავრობასთან ამხ. ტერ-გაბრიელიანი. თბილისში ამხ. ენუქიძე რამოდენიმე დღეს დარჩება.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ინგლის-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ ამხ. ენუქიძემ სთქვა:

„ურთიერთობის შეწყვეტა ჩვენთვის არ იყო მოულოდნელი. თუმცა ჩვენს პოლიტიკას უკანასკნელ ხანებში არავითარი საბაბი არ მიუცია ინგლისისათვის, რომ მას ასეთი ნაბიჯი გადაედგა, მაგრამ ლოღიკურად ეს მოსალოდნელი იყო; ვინაიდან საბჭოთა კავშირი გზას უღობავს იმპერიალიზმს, რომლის უმთავრესი მატარებელია დიდი ბრიტანეთი.

კონსერვატიული მთავრობა უეჭველია გრძნობს თავისი მდგომარეობის მერყეობას, ვინაიდან ინგლისი იმპერიალისტური ომისა და კონსერვატიული მთავრობის ავანტიურისტული პოლიტიკის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში მოექცა, რომ დღითი-დღე ჰკარგავს თავისი მნიშვნელობას მსოფლიო ბაზარზე. საერთოდ კონსერვატიული მთავრობის პოლიტიკა მეტად ძვირად უჯდება ინგლისის ხალხს. საკმაოა მოვიგონოთ ამ მთავრობის ავანტიურები ჩინეთში და ეგვიპტეში, ბრძოლა ინგლისის პროფმოძრაობასთან. ეკონომიურად ინგლისი უკან რჩება სხვა ქვეყნებს და ჰკარგავს ბაზრებს. ინგლისის მრეწველობის მოწყობილობა მნიშვნელოვნად დაძველდა, ამერიკასთან შედარებით. ბურჟუაზიულ ინგლისს თავისი ბატონობის შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ მუშათა კლასის გაძლიერებული ექსპლოატაციით და ძალადობით კოლონიებში და ნახევრად კოლონიალურ სახელმწიფოებში. ერთიც და მეორეც შეუძლებელია განხორციელდეს ისე, რომ კონსერვატიულმა მთავრობამ უდიდეს განსაცდელში არ ჩააგდოს თავისი თავი.

საბჭოთა კავშირის არსებობის მეოხებით, ჩვენი ეროვნული პოლიტიკის მეოხებით ყველა ქვეყნების კოლონიალური ხალხები და ჩაგრული სახელმწიფოები (ჩინეთი, ეგვიპტე და აღმოსავლეთის სხ. ქვეყნები) გამოფხიზლდენ და შეიგნეს, თუ რას წარმოადგენს მათთვის ბრიტანეთის იმპერიალიზმი.

ყოველივე ეს ძალიან აფრთხობს კონსერვატიულ მთავრობას და იგი ეძიებს გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. რომ გადასდოს თავისი დაცემის მომენტი, იგი სცდილობს დიდ ბრიტანეთის ყველა დაბრკოლებანი ინგლისის ხალხის თვალში დასახოს ისე, როგორც საბჭოთა კავშირის საშინელი პოლიტიკის შედეგი.

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლით კონსერვატიულ მთავრობას სურს თავისი შერყეული პრესტიჟის განმტკიცება ინგლისის მასების თვალში და აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკის იზოლიაცია, რომ ამით ხელები გაიხსნას ინგლისის პროლეტარიატის წინააღმდეგ მოქმედებისათვის.

ჩვენთვის ცხადია, რომ ყველა ამგვარი ზომები, როგორც თავდასხმა ჩვენს საელჩოზე, დიპლომატიური შეთანხმებების დარღვევა და კონსერვატორების მიერ ინგლისის გავლენის სფეროში მყოფი სახელმწიფოების ამხედრება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვერ იხსნის ინგლისის კონსერვატიულ მთავრობას.

ჩვენთან ვაჭრობაში ინგლისი, ყოველ შემთხვევაში, არა ნაკლებ დაინტერესებულია, ვიდრე ჩვენი კავშირი ინგლისთან ვაჭრობაში: ბაზარი ინგლისის მრეწველობისათვის ვიწროვდება, ფინანსიური მდგომარეობა სულ უფრო და უფრო მწვავდება, უმუშევრობა იზრდება,—და ასეთ მომენტში ურთიერთობის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან მეტად დიდ ზიანს მოუტანს თვით კონსერვატიულ მთავრობას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უახლოეს ხანში ინგლისის ხალხი და განსაკუთრებით ინგლისის მუშათა კლასი მიხვდება, თუ როგორ ჩიხში ამწყვდევს კონსერვატიული მთავრობა დიდ ბრიტანეთს და მომავალ არჩევნებში იგი გააკეთებს შესაფერ დასკვნას და გადასწყვეტს კვლავ უნდა დარჩეს თუ არა სახელმწიფოს სათავეში კონსერვატიული მთავრობა.

ომის საფრთხე იმპერიალისტური სახელმწიფოების პოლიტიკის გამო აშკარა ხდება. ჩვენი კავშირი მთელი ძალ-ღონით შეეცდება, რომ აიცილოს ომი და ამით იხსნას დაღუპვისაგან მრავალი მილიონი ხალხი.

მთელი მსოფლიოს მუშებმა და გლეხებმა იციან, რომ ჩვენ ნამდვილად მივისწრაფით მშვიდობიანობისაკენ; ეს კიდევ უფრო ზრდის სიმპატიებს ჩვენდამი და მდგომარეობას უაღრესად სახიფათოდ ხდის იმათთვის, ვინც თავისი პოლიტიკით ხალხებს ერეკება ომისაკენ“.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კონტროლი პროდუქციის ღირსებაზე

მოსკოვი, 2 ივნისი. ცენტროსოიუზმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები პროდუქციის ღირსების გასაუმჯობესებლად. ახლო მომავალში მოწყობილი იქნება მოულოდნელი ექსპედიციები მთელ რიგ ფაბრიკებსა და ტრესტებში, სადაც შემოწმებული იქნება; რამდენად ეთანაბრება საქონელი სტანდარტს. (ადს).

„ამხანაგი“ ეკვატორზე

მოსკოვი, 2 ივნისი. ნაოსნობის ცენტრალურმა სამმართველომ მიიღო ცნობა, რომ 25 მაისს საწვრთნელ იალქნიანმა გემმა „ამხანაგმა“ გადასჭრა ეკვატორი. (ადს).

საზოგადოება „ეტნომირი“

მოსკოვი, 2 ივნისი. საქციო საზოგადოების „ეტნომირის“ სხდომაზე მოსმენილი იქნა თათართა სახელმწიფო თეატრის დირექტორის ხაჯაოლა-აბასოვის ინფორმაცია ამიერ-კავკასიის ეროვნული ხელოვნების შესახებ. საზოგადოების გამგეობამ დაავალა აბასოვს გამოარკვიოს ადგილობრივ ბაქოში, თბილისში და ერევანში, რამდენად შესაძლებელია საზოგადოება „ეტნომირის“ მუშაობის გაფართოება გამომცემლობის, კინო-თეატრალურ-სანახაობათა და გამოფენის დარგებში. (ადს).

ამხ. ვოროშილოვის სიტყვა ხარკოვში

ხარკოვი, 1 ივნისი. მიტინგზე, რომელიც გაიმართა 31 მაისს, ხარკოვში სადგურის მოედანზე, სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ვოროშილოვმა. მან სთქვა:**

„ჩემი ჩამოსვლა არ არის დაკავშირებული წარმოშობილ გართულებებთან. თავის თავად გასაგებია, რომ ამ გართულებების შემდეგ მე კიდევ უფრო გულდასმით, უფრო დაკვირვებით ვამოწმებდი ჩვენი წითელი არმიის ნაწილების მდგომარეობას. უნდა განვაცხადო, რომ **წითელი ნაწილების მდგომარეობა ისეთია, რომ ინგლისის ბურჟუაზია ამაოდ ფიქრობს, რომ ჩვენ მფარველი არ გვყავს და თითქოს ურთიერთობის ჩაშლის ფაქტით ის შესძლებს არევ-დარევა გამოიწვიოს ჩვენს რიგებში. ჩვენი შეიარაღებული ძალები წარმოადგენენ ჯავშნიან მუშტს, რომელსაც შეუძლია ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიოს ყველას, ვინც გაბედავს ცხვირის შემოყოფას მშრომელთა წითელი კავშირის ფარგლებში“.**

1926 წლის სესხის ტირაჟი

ლენინგრადში, 2 ივნისი. 1 ივნისს გაიმართა 1926 წლის მოგებიანი სესხის ტირაჟი.

100.000 მანეთის მოგება ხვდა ობლიგაციას № 06, სერია 2309. 50.000 მან. მოგება ობლიგაციებს № 3—სერია 0927; № 02—სერია—1744. 25.000 მან. მოგება—ობლიგაციებს—№ 46, სერია—549; № 21, სერია 5022; № 46, სერია—5793; № 45, სერია—773, № 4; სერია—4407; № 37, სერია—4399; № 18, სერია—4177.

ლენინგრადის მუშა-მოსამსახურეებმა ტირაჟის დღეს დაამტკიცეს, რომ ისინი მზად არიან ქვეყნის ფინანსიური თავდაცვისათვის.

გრანდ-პალასის თეატრის წინ, სადაც ხდებოდა ტირაჟის გათამაშება, გაიარეს მრავალრიცხოვანმა რიგებმა დროშებით, რომლებზედაც იყო შემდეგი წარწერა: „შუბლმაგარ ინგლისელ მინისტრებს დავამარცხებთ საბჭოთა მანეთით“. (ადს).

გერმანიის დამზღვევი სალაროების წარმომადგენელთა ჩამოსვლა

გუშინ თბილისში ჩამოვიდენ გერმანიის მუშათა დამზღვევი სალაროების წარმომადგენელნი, საბჭოთა კავშირის შესახებ მთელი რიგი შრომების ავტორები გერმანიის კომპარტიის წევრები **ლომარ ვოლფი და მარტ რუბენ-ვოლფი.** მათი ჩამოსვლის მიზანია დაამყარონ კავშირი ჯანმრთელობის სახ. კომისარიატების სამკურნალო ორგანოებსა და გერმანიის დამზღვევ სალაროებს შორის. ლომარ ვოლფი ამჟამად ამუშავებს საკითხს ავადმყოფ გერმანელი მუშების საბჭოთა კავშირის კურორტებზე გაგზავნის შესახებ.

სასამართლოს რეორგანიზაციისათვის *)

II. ოლქის სასამართლოების რეორგანიზაცია**)

უფრო რადიკალური ხასიათი აქვს პროექტის იმ ნაწილს, რომელიც შეეხება ოლქის სასამართლოების რეორგანიზაციას. პროექტის ავტორები მსჯელობენ, მოკლედ რომ ვსთქვათ, ასე:

ოლქის სასამართლოების მოქმედების ფარგლები თანდათან ვიწროვდება: საადმინისტრაციო - საინსტრუქციო ფუნქციები გადაეცა იუსტიციის კომისარიატს, საკასაციო საქმეები გადაეცემა უზენაეს სასამართლოს; მაშასადამე, ოლქის სასამართლოებს დარჩება მხოლოდ ისეთ საქმეების არსებითად გარჩევა, რაც ახლა მათ ეკუთვნის, როგორც 1-ლი ინსტანციის სასამართლოებს; მაგრამ ამ სფეროშიდაც მათი კომპენტენცია უფრო და უფრო შემცირდება, ვინაიდან სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობა თანდათან ფართოვდება. თანაც ოლქის სასამართლო დაშორებულია პროვინციაში მცხოვრებ გლეხობისაგან და ამის გამო საქმეების განხილვა, განსაკუთრებით სისხლის სამართლის, ჭიანურდება. აქედან დასკვნა: ოლქის სასამართლოები, რომლებიც ახლა გვაქვს თბილისში და ქუთაისში უნდა მოისპოს. მაგრამ რა უნდა ვუქნათ იმ საქმეებს, რომლებსაც ახლა იხილავს ოლქის სასამართლო, როგორც 1-ლი ინსტანცია? ამისათვის, პროექტის აზრით, თვითეულ მაზრაში უნდა დაარსდეს ახალი სასამართლო — **სამაზრო სასამართლო.** ასეთი სასამართლო უფრო ახლო იქნება მაზრის მოსახლეობასთან, დააჩქარებს საქმეების განხილვას, დაეყრდნობა სამაზრო ადმინისტრატიულ და პარტიულ აპარატს.

ჩვენ არ ვიზიარებთ სამაზრო სასამართლოების შექმნის იდეას ბევრი მოსაზრებით:

1. პროექტის მიხედვით, თვითეულ მაზრაში იქნება სახალხო სასამართლოები და კიდევ ერთი სამაზრო სასამართლო. სამაზრო სასამართლოს არა აქვს მინიჭებული არც ზედამხედველობა და არც რევიზიის უფლება. მაშასადამე, არავითარი ორგანიზაციული კავშირი მათ შორის არ იქნება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ მექანიკურ მომენტს, რომ სამაზრო მოსამართლე დაურიგებს მაზრის სახალხო მოსამართლეებს ცენტრში განსაზღვრულ კრედიტებს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის იქნება, რომ სამაზრო სასამართლო, შემდგარი 1 მუდმივი მოსამართლისა და 2 სახალხო მსაჯულისაგან (ისე, როგორც სახალხო სასამართლო), განიხილავს **უფრო რთულ საქმეებს.**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ უწინარეს ყოვლისა სამაზრო სასამართლოს არ ექნება არავითარი სამუშაო **სამოქალაქო საქმეების** სფეროში. ამჟამად სახალხო სასამართლოს ეკუთვნის გარჩევა ყველა იმ სამოქალაქო საქმის, რომლის ფასი არ აღემატება 1000 მანეთს, მაგრამ სახალხო სასამართლოს კომპენტენცია, როგორც პროექტიც აღნიშნავს, თანდათან ფართოვდება. მართლაც, პროექტის შედგენის შემდეგ რუსეთში კიდევ გაადიდეს სახალხო სასამართლოს ქვემდებარეობა **2.000 მანეთამდე**[1]). უეჭველია ამას საქართველოშიაც შემოვიღებთ. ჩვენ არ წარმოგვიდგენია, რომ მაზრის გლეხს ან მუშას ექნეს სარჩელი 2000 მანეთზე მეტი. მაშასადამე, მათი საქმეები სამაზრო სასამართლოს არ მოხვდება. რაც შეეხება **სისხლის სამართლის** საქმეებს, ამ მხრით სამაზრო სასამართლოს არ ექნება, ზოგიერთ მაზრაში მაინც, იმდენი საქმე, რომ მისი არსებობა გაამართლოს, მაგალითად, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში იმ სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა, რაც ახლა ოლქის სასამართლოს ქვემდებარეობა და, პროექტის აზრით, სამაზრო სასამართლოს უნდა გადაეცეს, არ აღემატება წლის განმავლობაში 40-ს თვითეულ მაზრაში. და თუ ეს ასეა, რა საჭიროა იქ **მუდმივი** სამაზრო სასამართლოები?

შემდეგ, რაკი მაზრაში, სახალხო სასამართლოების გვერდით, უნდა დაარსდეს, რთული საქმეებისათვის, სამაზრო სასამართლო, ცხადია, იგულისხმება, რომ სამაზრო სასამართლო უფრო მაღალი კვალიფიკაციის იქნება, უფრო მცოდნე, უფრო მომზადებული, უფრო გამოცდილი, ვიდრე სახალხო მოსამართლე. ჩვენ ამაში დიდი ეჭვი გვაქვს. სხვაც, რომ არა ვსთქვათ რა, არ უნდა დავივიწყოთ ერთი გარემოება: თუ თბილისში და ქუთაისში ოლქის სასამართლოები უფრო მაღლა დგანან, ვიდრე მაზრის სახალხო სასამართლოები, ეს უმთავრესად იმიტომ, რომ მათ ხელს უწყობს ის პირობები, რომლებშიაც ისინი მუშაობენ: იურიდიული ლიტერატურა, გამოცდილ ამხანაგებთან აზრის გაცვლა-გამოცვლა, განსაზღვრული ხაზის აღება, საერთოდ ცენტრის ატმოსფერა, რომელიც ანვითარებს საზოგადოებრივობის გრძნობას, პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებას და სხვა, — ეს ისეთი ფაქტორია, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რაც, რასაკვირველია, მაზრაში არ იქნება.

ამნაირად, მაზრაში შეიქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ პარალელურად იარსებებს ორგვარი სასამართლოები, რომელთა შორის არსებითად განსხვავება კვალიფიკაციის მხრით არ იქნება, კომპენტენცია კი სხვადასხვა ექნებათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაზრებში არ არის სხვა პირობებიც, რაც აუცილებელია სასამართლოსათვის; ეს არის:

ა) იმ სპეციალისტთა კონტინგენტი, რომლებიც საჭირონი არიან ექსპერტიზისათვის, განსაკუთრებით სისხლის საქმეებში გამოსარკვევად; თბილისში ხშირად მოიწვევიან მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები, მაგალ., უნივერსიტეტის პროფესორები; თიანეთში, გორში და სხვაგან, რასაკვირველია, ეს შეუძლებელი იქნება;

ბ) საპატიმრო შენობები: ის, რაც ჩვენ გვაქვს მოწყობილი თბილისში და ქუთაისში, სრულიად არ მოიპოვება მაზრებში — განსაკუთრებით მძიმე პატიმართათვის. ხოლო საამისო ახალი შენობების აგება მეტად ძვირად დაუჯდება სახელმწიფოს.

2. სასამართლოს ხალხთან დაახლოვება — ეს თავის თავად კარგი იდეაა. მაგრამ ამასაც აქვს თავისი საზღვარი, რომლის იქით შესაძლებელია სხვადასხვა ცუდი მოვლენა. ასეთ საზღვარს სდებს, სხვათა შორის, **გარეშე გავლენის** შესაძლებლობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა ის გავლენა, პოლიტიკური თუ პროგრამული, რომელიც გამომდინარეობს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოებიდან,— ეს სასურველიც არის და აუცილებელიც, არამედ ისეთი გავლენა, რომელიც ხდება კანონის გარეშე და კანონის წინააღმდეგ, ხშირად ჩურჩულში გახვეული და ყოვლად მავნე. მართლმსაჯულების სფეროში ერთად-ერთი მბრძანებელი ხმა, რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს მოსამართლე, ეს არის მისი **თავისუფალი სინდისი** (საქმის ფაქტიური გარემოების შეფასების დროს) და შემდეგ რევოლიუციონური [illegible]ლობით ხელმძღვანელობა (იურიდიული დასკვნის გამოყვანის დროს). გარეშე გავლენა აჩუმებს სინდისს და უარყოფს კანონიერებას. იგი ხრწნის სასამართლოს და ძირს უთხრის სახელმწიფოსაც.

გარეშე გავლენა მომდინარეობს ორ წყაროდან. ეს არის ადგილობრივი ორგანოები და ამა თუ იმ საქმით დაინტერესებული კერძო პირები. რომ ასეთი გავლენა ხდება, — ამას დაგვიმოწმებს, გულის სიღრმეში მაინც, ყველა ვინც ახლო დგას სასამართლოსთან, და პირველ რიგში — თვით სასამართლოს მუშაკები, დაწყებული დაბალ საფეხურიდან და გათავებული მაღალ ხელმძღვანელებით, ხოლო თუ რამდენად ფართო და ძლიერი ხასიათი მიიღო მან, — ამას ყველაზე უფრო ადასტურებს ის ფაქტი, რომ ასეთ გავლენის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროება შეიქნა უმაღლესი კომპეტენტური წრეების მსჯელობის საგნად.

ცნობილი ნ. კრილენკო, ეხება, რა თავის ლექციებში მოსამართლის მოღვაწეობის პირობებს, ამბობს, რომ განსაზღვრულ ფარგლებში მოსამართლე უნდა იყოს **დამოუკიდებელი,** და შემდეგ განაგრძობს:

«Не будем греха таить, это пожелание в громадной степени осталось еще только пожеланием; в **действительности внесудебными влияниями в нашем судебном деле хоть пруд пруди».**

(ხაზი ჩვენია. ს. ჯ.[2]).

სტ. ხ. ვარდანიანი თავის მოხსენებაში, რომელიც მან წარუდგინა შარშან კომ. პარტიის ა.-კ. ს. კ. მესამე პლენუმს, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მაზრებში სასამართლოსა და გამოძიების მუშაკები მატერიალურად დამოკიდებული არიან (ჯამაგირს იღებენ) აღმასკომისაგან, — არა მარტო თავმჯდომარისა და მის მოადგილისაგან, არამედ მთელ საფინანსო და სამეურნეო აპარატისაგანაც. აქედან მომხსენებელი სრულიად სამართლიანად დაასკვნის:

«Раз материальное благополучие судебных работников зависит от любого сотрудника исполкома, то мне кажется, что косвенным образом (я не говорю прямым) мы имеем несомненную картину совершенно ненормального, недопустимого психического давления на наш судебно-следственный аппарат» [3]).

ამიტომაც პლენუმმა თავის რეზოლიუციით დაადასტურა, რომ საჭიროა მოისპოს ის პირობები, რომლებიც ქმნის მოსამართლის დამოკიდებულებას[4])

თუ სტ. ხ. ვარდანიანი ლაპარაკობს არაპირდაპირ ფსიქიურ გავლენაზე, სამაგიეროდ ჩვენი იუსტიციის კომისარი, პირიქით, რეზოლიუციის პროექტში, რომელიც მან, თავის სიტყვის შემდეგ, წარუდგინა სრულიად საქართველოს ცენტრალ. აღმ. კომიტეტის სესიას 1926 წ. ივნისის 12-ს სხდომაზე, ხაზს უსვამს ადგილობრივ ორგანოების **პირდაპირ ჩარევას** სასამართლოს საქმეებში და ამის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას[5]) (ც. ა. კ-ის სესიამ სავსებით გაიზიარა იუსტიციის კომისარის აზრი და გამოიტანა რეზოლიუცია, რომლითაც დადგენილია:

„დადასტურებულ იქნეს ხელისუფლების ყველა ადგილობრივი ორგანოს საყურადღებოდ და შესასრულებლად ის დებულება, რომ არავითარ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანო არ უნდა ჩაერიოს სასამართლო, საგამომძიებლო, და საპროკურატურო ორგანოების მოქმედებაში; წინადადება მიეცეს პროკურატურას პასუხისგებაში აძლიოს სასამართლოს წესით ყველა, ვინც კი ამ დებულებას დაარღვევს; კატეგორიულად აიკრძალოს სახალხო მოსამართლეთა და გამომძიებელთა დანიშვნა, გადაყენება და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანა საამისოდ დადგენილი წესის გარეშე“[6])

ამგვარად, ის ფაქტი, რომ უკანონო გავლენა ხდება, უდავო ფაქტად უნდა ჩაითვალოს. გავლენას ადგილი აქვს არა მარტო მაშინ, როცა გადასაწყვეტი საქმე პირდაპირ შეეხება ადგილობრივ ორგანოს, არამედ მაშინაც, როცა საქმე დაკავშირებულია კერძო პირის ინტერესთან.— ორგანოს ამა თუ იმ თანამშრომლის საშუალებით.

ადგილობრივ ორგანოთა შორის პირველი ადგილი უჭირავს აღმასკომს, მაგრამ სხვა ორგანოებიც არ არიან თავისუფალი ასეთ ნაკლისაგან.

თავის თავად ცხადია, რომ, თუ ცენტრში ასეთი შემთხვევები უფრო იშვიათია, პროვინციაში მათ აქვთ ფართო ხასიათი.

პროვინციაში უფრო შესაძლებელია! აგრეთვე გავლენა დაინტერესებული კერძო პირების მხრივ. ნუ დავივიწყებთ, რომ იქ თითქმის ყველანი იცნობენ, ერთმანეთს, და, როდესაც დაახლოვებული არ არიან იმასთან, ვისზედაც გავლენა უნდა მოახდინონ, ასეთ შემთხვევებში ნაცნობ - ამხანაგის მიგზავნის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის.

ყველა ეს ჩვენ იმისათვის მოვიყვანეთ, რომ გავაშუქოთ სასამართლოს რეორგანიზაციის პროექტის სუსტი მხარე. რა არის საჭირო ზევით აღნიშნული ცუდი მოვლენის მოსასპობად? ორი რამ: ა) თვით მოსამართლის სუბიექტიური თვისებები: მაღალი კვალიფიკაცია, ფაქიზი ზნეობა და მტკიცე ხასიათი, აღზრდილი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პრინციპებზე, და ბ) სასამართლოს წყობილების ისეთი **სისტემა,** რომელმაც ხელი არ შეუწყოს მართლმსაჯულების გამრუდებას.

ეს სისტემა არის მოსამართლის **დამოუკიდებლობა.** ჩვენ საქმეში არა გვაქვს დამოუკიდებლობა სახელმწიფოს ხელისუფლებისაგან ან უმაღლეს ორგანოების პრინციპიალურ ხელმძღვანელობისაგან. ჩვენ ვგულისხმობთ დამოუკიდებლობას ადგილობრივ ორგანოებისაგან.

უამისოდ ც. ა. კ-ის ზემოთ აღნიშნულ რეზოლიუციას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა არ ექნება თუნდაც იმიტომ, რომ უმეტეს ნაწილად გავლენა შესაძლებელია ისეთ ფორმებში, რომლებიც არავითარ კონტროლს არ ემორჩილება. სტ. ხ. ვარდანიანმა სრულიად სამართლიანად მიაქცია ყურადღება იმას, რომ მოსამართლის აღმასკომისაგან მატერიალური დამოკიდებულება აყენებს მას აღმასკომის ყოველ თანამშრომლის გავლენის ქვეშ. ამ შემთხვევაში ამხ. ვარდანიანს მხედველობაში ჰქონდა ის მატერიალური დამოკიდებულება, რომ სახალხო მოსამართლე ჯამაგირს იღებს აღმასკომისაგან. მაგრამ არის კიდევ მეორე, უფრო მნიშვნელოვანი მიზეზი, რომელიც ქმნის მოსამართლის დამოკიდებულებას. ეს არის ის, რომ სახალხო **მოსამართლეს ირჩევს სამაზრო აღმასკომი.** რასაკვირველია, ის მოსამართლე, რომლის არჩევა და უკან გაწვევა ეკუთვნის ადგილობრივ ორგანოს, იშვიათად გაექცევა ამ ორგანოსა და მის თანამშრომლების გავლენას. რუსეთში სახალხო მოსამართლეებს ირჩევს **საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტი.** რა თქმა უნდა საგუბერნიო ცენტრის გავლენა პერიფერიებში ნაკლებად შესაძლებელია ფაქტიურად, ვიდრე ჩვენში სამაზრო აღმასკომის.

სასამართლოს რეორგანიზაციის პროექტის მიხედვით, სამაზრო სასამართლოს დაარსებას ერთ-ერთ მთავარ საფუძვლად ის მოსაზრება უდევს, რომ სამაზრო სასამართლო დაეყრდნობა ადგილობრივ ადმინისტრატიულ აპარატს, ე. ი. სამაზრო აღმასკომს. ეს „დაყრდნობა“, უეჭველია, გულისხმობს იმასაც, რომ სამაზრო მოსამართლეს აირჩევს სამაზრო აღმასკომი.

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს შექმნის იმაზე უარეს მდგომარეობას, რომელშიაც ახლა სახალხო მოსამართლეები არიან. ნუ დავივიწყებთ, რომ სამაზრო სასამართლოს, პროექტის განზრახვით, უნდა გადაეცეს ის საქმეები, რაც ახლა ოლქის სასამართლოებს ეკუთვნის, ე. ი. უფრო **დიდი ინტერესის საქმეები,** სადაც ხშირად ადამიანის სიცოცხლის თუ სიკვდილის საკითხი იხსნება (სისხლის სამართლის საქმეები). მაშასადამე, სამაზრო სასამართლოში ადგილობრივი გავლენა კიდევ უფრო ძლიერად იჩენს თავს, და ის სიმაღლე, რომელზედაც ახლა დაყენებულია ოლქის სასამართლოების მუშაობა, დაეცემა.

ჩვენ არამც თუ მომხრე არა ვართ სამაზრო სასამართლოების შექმნის, პირიქით. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახალხო მოსამართლეების დანიშვნაც კი უნდა ჩამოერთვას სამაზრო აღმასკომებს და გადაეცეს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. თუ რუსეთში ეს ძნელია მისი სივრცის გამო, ჩვენს პატარა ქვეყანაში ეს ადვილი შესაძლებელია ც. ა. კომიტეტისათვის.

3. პროექტში გატარებულია ის აზრი, რომ სამაზრო სასამართლოების დაარსება უფრო ძვირად არ დაუჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ახლანდელი ოლქის სასამართლოები თავისი სესიებით.

ჩვენ არ ვიზიარებთ ამას. ახლა ოლქის სასამართლოებში (როგორც 1-ლ ინსტანციაში) არის თბილისში და ქუთაისში სულ 12 მოსამართლე (თავმჯდომარეებით 14) და ორი კანცელარია. ამის ადგილას მაშინ იქნება 15 მაზრაში, ფოთში და სვანეთში 17 სამაზრო მოსამართლე; გარდა ამისა, თბილისში განზრახულია 6 ახალი სახალხო მოსამართლე, ხოლო ქუთაისში—3, სულ იქნება 26 მოსამართლე; პროექტის მიხედვით, სამაზრო მოსამართლეს უნდა ეყოლოს მოადგილე, ე. ი. 17 კაცი; მაშასადამე, ყველა ეს შეადგენს 43 მოსამართლეს. მიუმატეთ ამას 26 კანცელარია თავისი შტატებით და ადვილად წარმოვიდგენთ პროექტის შეცდომას. უზენაესმა სასამართლომ შეიტანა პროექტში ის შესწორება, რომ შესაძლებელია მოადგილეები არ იქნეს და, როდესაც სამაზრო მოსამართლე ავად გახდება ან სხვაგან წავა და აგრეთვე, როდესაც სამაზრო სასამართლოს გადაწყვეტილებას თუ განაჩენს საკასაციო ინსტანცია გააუქმებს, საქმეების გარჩევა მიენდობა ადგილობრივ სახალხო სასამართლოს. მაგრამ ეს შესწორება მისაღები არ არის: ჯერ ერთი, რომ სამაზრო ცენტრში მყოფი სახალხო სასამართლო თავისი პირდაპირი საქმეებითაც დატვირთულია და მაშასადამე, ვერ შესძლებს სამაზრო სასამართლოს საქმეების გაძღოლასაც, და მეორეც ის, რომ თუ კი სახალხო სასამართლო იმდენად კომპენტენტურად იქნება ცნობილი, რომ ახლანდელი ოლქის სასამართლოს საქმეები გაარჩიოს. მაშინ, ჩვენ არ გვესმის, რაღა საჭიროა სამაზრო სასამართლოები. განა უკეთესი არ იქნება პირდაპირ მათ გადაეცეს ოლქის სასამართლოს საქმეები?

პროექტის მიხედვით და უზენაეს სასამართლოს აზრითაც, სამაზრო სასამართლო მოთავსდება ადგილობრივი სახალხო სასამართლოს ბინაში და ისარგებლებს მისი სხდომების დარბაზით, გზირით, მოყარაულეთი და სხვა. არც ეს გამართლდება. ამხ. ვარდანიანის ზემოთ მოყვანილი მოხსენებიდან სჩანს, თუ რა საშინელებას წარმოადგენს დიდ უმეტეს შემთხვევაში სახალხო სასამართლოების ბინები მაზრაში და მათი მოწყობილობა. ზოგიერთ ადგილას საქმეებს ვირთხებიც კი სჭამენ. აგრეთვე 1 დარბაზით ორი სასამართლო ვერ ისარგებლებს: ერთმანეთს ხელს შეუშლიან. უეჭველია, საჭირო იქნება 26 ახალი ბინის დაქირავება და შესაფერისად მოწყობა...

დასკვნა. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ან უნდა დარჩეს ოლქის სასამართლოები (როგორც 1-ლი ინსტანცია), ან თუ ისინი მოისპობა, მათი საქმეები პირდაპირ გადაეცეს სახალხო სასამართლოებს. უკანასკნელ შემთხვევაში უნდა ვიზრუნოთ მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე. ეს არც ისე ძნელია: ჩვენი უნივერსიტეტი იძლევა თანდათან კარგად მომზადებულ სტუდენტებს, რომლებიც პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას როგორც პოლიტიკურად, ისე მართლმსაჯულების თვალსაზრისით.

საჭირო იქნება აგრეთვე, როგორც, ვთქვით, სახალხო მოსამართლეების დანიშვნა გადავიდეს ცენტრალურ აღმას- გორც პოლიტიკურად, ისე მართლმსაჯ.

ს. ჯაფარიძე.

---

*) საკითხის განხილვის წესით. რედ.

**) იხ. „კომუნისტი“ № 123.

[1]) იხ. 1927 წ. მარტის 7-ს კანონი („Изв.“ 27 წ. მარტის 29-ს).

[2]) Н. В. Крыленко. Судоустройство РСФСР (лекции), გვ. 174.

[3]) Ст. Варданян. Низовой судебный аппарат, გვ. 14.

[4]) იქვე, გვ. 31.

[5]) სტენოგრ. ანგარიში ც. ა. კ. მესამე მოწვევის მე-3 სესიის, გვ. 203.

[6]) საქ. მთავრობის კანონთა კრებული 26 წ. № 5, მუხ. 115.

პარტიული ცხოვრება

გლეხ-კომუნისტების მეურნეობათა შესახებ

პარტია სოფლის კომუნისტს ავალებს, რომ იგი იყვეს არა მარტო კულტურულად და პოლიტიკურად მოწინავე ძალა, არამედ იყვეს მოწინავე და მაგალითის მიმცემი მეურნეც. ამ მხრივ გლეხ კომუნისტის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმეა. მას უხდება მრავალ საზოგადოებრივ მუშაობის შესრულება, ის ამავე დროს უნდა იყვეს ბეჯითი და თავის საქმის მცოდნე მუშა-კაციც.

სოფელში, სადაც არაფერი არ დაიმალება, ყველამ კარგათ იცის, ვინ რის მაქნისია. არაჭნი და ზარმაც გლეხს, თუნდაც ის საზოგადოებრივ საქმეებზე მუშაობდეს, სოფელში არასოდეს არ ექნება იმდენი ცნობა და ავტორიტეტი, როგორც საზოგადო მუშაკს და ამავე დროს კარგ მეურნე გლეხს. ამ გარემოებას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაუწიონ ჩვენმა პარტიულ ორგანოებმა და მათ ყოველნაირათ უნდა შეუწყონ ხელი კომუნისტ გლეხებს თავიანთ მეურნეობის გაუმჯობესება-გადახალისების საქმეში. რასაკვირველია, ეს გაუმჯობესება სრულიადაც არ უნდა ვგულისხმობდეთ კომუნისტ გლეხის მეურნეობის ისე გაფართოებას, რომ ის გადაიქცეს ექსპლოატატორულ და სხვის შემავიწროებელ მეურნეობათ. ამ შემთხვევაში ჩვენ სრულიად წინააღმდეგ შედეგს მივიღებთ.

პარტია მიზნად უნდა ისახავდეს, რომ კომ. გაუმჯობესება უმთავრესად უნდა მიმდინარეობდეს მათი კოლექტიურათ შეერთების, მათი კოოპერატიულათ დარაზმვის გზით.

პარტიულ მიზნათ უნდა ისახავდეს, რომ კომუნისტი გლეხის მეურნეობა იყვეს კულტურის და ტეხნიკის აგიტატორი სოფლად. ამისათვის გლეხ კომუნისტს საშუალება უნდა მიეცეს, რომ მან შესძლოს თავისი მეურნეობის გაძღოლა. ადგილობრივი პარტორგანოები უნდა იღებდენ ზომებს, რათა კომუნისტი გლეხები მეტ დროს ჰპოულობდენ თავიანთი მეურნეობის მოვლა-პატრონობისათვის, ვიდრე ეს დღეს არის. ზოგიერთი სოფლის კომუნისტი იმდენათ დატვირთულია საზოგადო მუშაობით, რომ ის არც თავის მეურნეობის არის და არც საზოგადო საქმის. ეს ხდება საზოგადო მუშაობის არარაციონალურად განაწილების გამო. ყველგან „უკაცობა“ არაა, როგორც ეს საზოგადოთ ვვესმის. ხშირათ საკმაოა ადგილობრივ პარტორგანიზაციამ მიიღოს ზომები, რომ მის რიგებში არა ერთი და ორი აქტიური მუშაკი აღმოჩნდეს. ამ გარემოებას გლეხ კომუნისტების მეურნეობის განვითარების საქმეში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

დ. ო თ.

რაციონალიზაციის გზით

(რკ. გზის სამ. უჯრედი)

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებსა და უჯრედების ღია კრებებზე გაკეთებულმა მრავალმა მოხსენებამ მუშა-მოსამსახურენი დააინტერესა აპარატის გამარტივებისა და ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხით. უჯრედის უკანასკნელ ღია კრებაზე, ა.-კ. რკ. გზის სამმართველოს უჯრედის ბიურომ მიიწვია უპარტიო აქტივისტები, მათ რიგებში სამმართველოს სპეციალისტებიც, დღის წესრიგში იდგა გზის უფროსის ამხ. ივანოვის მოხსენება ბიუროკრატიზმთან ბრძოლის შესახებ. მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული კამათი. ყველა გამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ ბიუროკრატიზმის ფაქტებს, აღნიშნავდენ მასთან ბრძოლის სხვადასხვა საშუალებებს, ხოლო ყველა მათი წინადადებებიდან მოჩანდა ეკონომ-კომისიების მუშაობის გამოცოცხლების საჭიროება და ბიუროკრატიზმის აღმაშფოთებელი ფაქტების გამოტანის აუცილებლობა გაზეთის ფურცლებზე.

უჯრედი, როგორც ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატორი, ვერ გახდება უშუალო პრაქტიკული გამტარებელი აპარატის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ამა თუ იმ ფუნქციების, ამიტომ უჯრედთან ამხ. გაბისკირიის თავმჯდომარეობით შედგენილია აპარატის გამაუმჯობესებელი კომისია. ამ კომისიამ ბევრი რამ გააკეთა ერთი თვის განმავლობაში.

ამ კომისიის თაოსნობით სამმართველოსთან შედგენილია კომისია, რომელიც საზღვრავს გზის უფროსი ადმინისტრაციის უფლებებს და მოვალეობებს და ებრძვის პარალელიზმს. ამ კომისიაში სპეციალისტებიც მუშაობენ. კომისიის მეორე დიდ საქმეს წარმოადგენს ეკონომ-ქვეკომისიების დაარსება ყველა განყოფილებებში და მათი სამუშაო გეგმის გამომუშავება.

სულ იქნება 10 ქვეკომისია, მაშინ, როდესაც წინად 1.600 მოსამსახურეზე იყო ერთი კომისია, რომელიც ცუდათ მუშაობდა. კომისიაში შედის ადგილკომის, კომკავშირის დელეგატი, პარტორგანიზატორი და ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

უკეთესი საშუალებების გამონახვის დროს ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, კომისია ხშირად ხედება აპარატის გაუმჯობესებისა და რაციონალიზაციის საკითხებს; კომისია ამჟამად ამ საკითხების განხილვაშია.

ა. სტრ—ო.

რა მოგვცა ექსკურსიამ

სხვა მუშაობასთან ერთად გურიის სადელეგატო პუნქტებში სწარმოებს პრაქტიკული მუშაობა. გლეხ-ქალებს გათვითცნობიერების საშუალება ეძლევათ.

ამ უკანასკნელ ხანებში ქალთა განყოფილებამ მოაწყო გურიის დელეგატ ქალების ექსკურსია შორეულ თემებიდან ოზურგეთის ძაფ-სახვევ ქარხანაში. ასევე მოაწყვეს ექსკურსია აჭარისტანის ფუხარა დელეგატ-ქალებმა.

ექსკურსიის შემდეგ გაიხსნა საზეიმო სხდომა აჭარისტანის დელეგატ ქალებთან ერთად. გურიის დელეგატ-ქალებმა აჭარისტანის დელეგატ-ქალებს გადასცა ძვირფასი დროშა, რომელმაც დიდი აღტაცება გამოიწვია აჭარელ ქალებში!

ექსკურსიამ დიდი ნაყოფი გამოიღო.

პრაქტიკული მუშაობის და ექსკურსიის შედეგები მუშავდება სადელეგატო პუნქტებში.

მ. კ—ძე.

საბჭოთა უჯრედების ა.-კ. თათბირი

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება ადგილებიდან.

ბაქოს საბჭოს პარტკოლექტივიდან მოხსენება გააკეთა ამხ. პოდოლსკიმ. — ჩვენი კოლექტივი — ამბობს მომხსენებელი, ხელმძღვანელობას უწევს ბაქოს საბჭოს შემავალ ყველა საბჭოთა დაწესებულებებს. კოლექტივი აერთიანებს 339 კომუნისტს. ეს შემადგენლობა იყოფება 4 სამქრო უჯრედებად. ჩვენი მუშაობა მიმართული იყო იქითკენ, რათა პარტიის გარშემო შემოგვეკრიბა მუშათა ფართო მასსები. პარტ-უჯრედები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივ მუშაობაში. უჯრედებს ეტყობა შინა მუშაობის გამოცოცხლება. ჩამოყალიბებულია რამოდენიმე კომისია. კომისიების მუშაობა უჯრედებში ნაყოფიერ შედეგს იძლევა. კოლექტივში საკმარისი კადრი გვყავს აქტივისტებისა, რომელნიც გამოყენებულნი არიან პარტიულ მუშაობის ჩასატარებლად. გადადის რა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის საკითხებზე, მომხსენებელი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დაწესებულებებში მყოფი ხელმძღვანელები, იქვე არსებულ უჯრედებში უნდა ირიცხებოდენ. ეს ხელს შეუწყობს ბიუროკრატიზმთან ბრძოლას.

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. პოლოსოვის მოხსენება: „წითელი ბანკის უჯრედი“. (ბაქო). საერთოდ ძირითად ხელის შემშლელ მიზეზად ჩვენს უჯრედების მუშაობაში — ამბობს მომხსენებელი — უნდა ჩაითვალოს შეუთანხმებელი მუშაობა უჯრედისა და დაწესებულების ხელმძღვანელს შორის. ამ გარემოებას ჩვენს დაწესებულებაში ადგილი არ ჰქონია. ჩვენ გვაქვს შეთანხმებული მუშაობა და ამიტომ მუშაობამაც ნაყოფი გამოიღო. უჯრედმა მომუშავეთა კვალიფიკაციის აწევის მიზნით ბანკთან შექმნა პრაქტიკანტთა ინსტიტუტი 30 კაცის შემადგენლობით. მათ შორის კი 4 დაწინაურებულია. საერთოდ ჩვენი უჯრედი ბანკის ყოველდღიურ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

შემდეგ მოსმენილი იქნა მოხსენებები, ამხ. ლუკაევის (მიწ. მოქ. სახ. კომ.), ბახტაძისა (ა.-კ. ფინსახკომი), ხაჩატურიანის (სომხეთი) და გეორქიანის (ერევნის მაზრაღმასკომი). ადგილებიდან მოხსენებების დამთავრების შემდეგ გაიმართა კამათი.

3.

კომკავშირში

დაშლას გადარჩენილი კომკავშირი

რკინის გზების საგზაო და სატყეო განყოფილების კომკავშირის უჯრედმა იმავე განყოფილებათა კომუჯრედთან ერთად გადასწყვიტა ნორჩ-პიონერთა კოლექტივის მოწყობა თავის წარმოებაში.

და აი, შარშან, ბავშვთა კომუნისტურ მოძრაობის საერთაშორისო დღეს ამხ. რუძუტაკის სახელობის ნორჩ-პიონერთა კოლექტივი 25 პიონერის და ოქტომბრელის შემადგენლობით მონაწილეობას იღებს ახალგაზრდათა საერთო დემონსტრაციაში.. საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის უჯრედმა გამოჰყო სპეციალური კომისია პიონერთა შორის მუშაობისათვის და აგრეთვე პიონერთა წინამძღოლები თავისი წევრების სახით.

კოლექტივს შენობა ჰქონდა და აქვს, მაგრამ ეს შენობა არაა საკმაო. ოქტომბრელებს შეკრების დღის უხდებათ შენობის ძებნა, უმეტეს შემთხვევაში მეცადინეობა სწარმოებს ისეთ პირობებში, რომელნიც მეტად არანორმალურია პატარა ბავშვებისათვის. კოლექტივში არაა საკმაო განათება; მოვითხოვეთ კიდევ ორი წერტილი (ელექტრონის) მაგრამ დღემდე არავითარი პასუხი ვერ მივიღეთ. კოლექტივის წინამძღოლი უმუშევარია. სწავლობს. მისი ნივთიერი მდგომარეობა მეტად ცუდია, რაც გავლენას ახდენს მუშაობაზე კოლექტივის ხელმძღვანელობის საქმეში. ამრიგათ, კოლექტივი, რომელიც მოკლებული იყო ჯანსაღ ხელმძღვანელობას წინამძღოლის მხრივ, თანდათან დაიშალა და მოზარდი პიონერები წავიდ-წამოვიდნენ. დარჩნენ მხოლოდ ეგრედწოდებული „ანგელები“, რომელნიც კოლექტივში დადიოდენ მხოლოდ ცელქობისათვის და ამით აჩქარებდენ ისედაც დაშლის გზაზე შემდგარ კოლექტივის დაშლას. მდგომარეობა მეტად ცუდი იყო.

მაგრამ ნორჩ პიონერთა კომისიის ინიციატივით საქმეში აქტიურად ჩაერია რაიბიურო. რაიბიურო შეუდგა კოლექტივის გამოცოცხლების საშუალებათა ძიებას. და ამ მუშაობის მეოხებით გამოცოცხლდა საგზაო და სატყეო განყოფილებათა კოლექტივის მუშაობა.

ამხ. რუძუტაკის სახელობის კოლექტივს ამჟამად ჰყავს 45 პიონერი და 25 ოქტომბრელი, გარდა ამისა, მათ მეცადინეობას ესწრება 30 პიონერი და 25 ოქტომბრელი. გაუქმებულ იქნა შინაამზრდელობითი მუშაობა. სწარმოებს ფიზიკური აღზრდა. კოლექტივი მთელ მუშაობას აწარმოებს წინამძღოლთა საბჭოს საშუალებით. კავშირი წითელ არმიასთან კარგია. პიონერები დადიან ყაზარმებში, ესწრებიან იქ სალამოებს, უგზავნიან კედლის გაზეთებს. პიონერები სწავლობენ „ესპერანტოს“. ეწყობიან ნებაყოფლობით საზოგადოებებში, გამოდიან რევოლუციონურ - საგიტაციო პიესებით.

რ. არზუმანოვი.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

აბრეშუმის პარკი

ოზურგეთი, 2 ივნისი. სოფელ დიდ-ვანში საზოგადოება „აბრეშუმმა“ მოაწყო ახალი პუნქტი, რომელიც აერთიანებს გურიის სანაპირო სააბრეშუმო რაიონებს. აშენებულია და მოწყობილია აბრეშუმის პარკის გასაშრობი სადგური (ადს).

რკინის ხიდის აშენება

ოზურგეთი, 2 ივნისი. აჭის წყალის და ბჟუჟის შეერთების ადგილას შენდება რკინის ხიდი. ხიდის აშენების შემდეგ აღმოსავლეთ გურიის და აჭარისტანის ნაწილის მოსახლეობას საშუალება ეძლევა გაიტანოს სასოფლო - სამეურნეო პროდუქტები სამაზრო ცენტრებში და აგრეთვე შავი ზღვის სანაპიროების ბაზრებზე.

მეაბრეშუმეობა

ოზურგეთი, 1 ივნისი. ჭიების განვითარების პირველი სტადია ნორმალურად მიმდინარეობს. მაზრაში დაჩხვლეტილ ქაღალდის დიდი ნაკლებობაა. თუთის ფოთოლი ბლომად მოიპოვება. მთიან რაიონებში ღამით ოთახებს ათბობენ ბუხრებით. საერთოთ ჭიების კვების პერიოდი სავსებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს (ადს).

კოოპერატივის გაძარცვა

ქუთაისი, 1 ივნისი. სოფ. კვახჭირში ღამით გაძარცვეს კოოპერატივი. ბოროტგამზრახველებმა გატეხეს კარები და გაიტანეს საქონელი. მიღებულია ზომები მძარცველთა აღმოსაჩენად. (ადს).

ნათესების მდგომარეობა

ქუთაისი, 2 ივნისი. კარგი ამინდების გამო ზოგიერთ ნათესების მდგომარეობა გაუმჯობესდა. 1 ივნისისათვის შემოდგომის ნათესი ბორბალი შეფასებულია 5 ბალით, სიმინდი 3,1, ლობიო 3,5, კარტოფილი 3,2; ბოსტნები 4, ბაღები 2,5, თუთუნი 2,5, ბამბა 2, ვენახების მდგომარეობა გაუარესდა და შეფასებულია 3 ბალით.

ზოგიერთ თემებში თავი იჩინეს ვაზების მავნებლებმა: მავნებლებთან ბრძოლა ინტენსიურად სწარმოებს (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

რადიო - მიმღების მოწყობა

ცხინვალი, 1 ივნისი. მოწყობილია რადიო-მიმღები აპარატები ჯავში, კუდარში და როკში. კუდარო და როკი სამხრეთ - ოსეთის მივარდნილი კუთხეებია. გლეხებზე რადიო - მიმღებმა აპარატებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. რადიო - მიმღები აპარატები დადგმული იქნება კიდევ ცხინვალში, ოკანაში და ახალგორში. (ადს).

ქვეყნის თავდაცვისათვის

ცხინვალი, 1 ივნისი. 29 მაისს ცხინვალში გაიმართა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც განხილული იქნა საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. კრებამ ერთხმად დაადგინა, რათა პროფკავშირების წევრებმა ყოველთვიურად გადარიცხონ პროლეტარულ სახელმწიფოს თავდაცვის ფონდში ხელფასის 3 პროც. (ადს).

წერილები

მშრომელი ინტელიგენციის საქმიანობა

(სამტრედია, ქუთ მაზ.)

ქ. სამტრედიაში ჩამოყალიბდა მშრომელი ინტელიგენციის აქტივი, რომლის სამუშაო გეგმაში შედის ლიტერატურული გასამართლებების მოწყობა, ლექციები, დისპუტი და სხ. აქტივი უკვე შეუდგა თავის გეგმის განხორციელებას. 13 მაისს ქალაქის კლუბში მოხდა ეგ. ნინოშვილის ნაწარმოების „გოგია უიშვილი“-ს მომქმედი პირის გოგიას გასამართლება, რომელსაც ბრალი ედება თვითმკვლელობაში. ლიტერატურულ გასამართლებამ საზოგადოების დიდი ნაწილი მიიზიდა. საგრძნობი ნაწილი ბილეთების უქონლობის გამო დარბაზში ვერ მოხვდა. მსჯელობა გაგრძელდა ღამის სამ საათამდის. დაიწყო კი ცხრა საათზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს მსურველებმაც აუდიტორიიდან. ახლო მომავალში განზრახულია მიხ. ჯავახიშვილის ნაწარმოების „ჯაყოს ხიზნები“-ს მომქმედ პირის თეიმურაზის და მარგოს ლიტერატურული გასამართლება.

ამგვარი გასამართლებები საზოგადოებას ნოყიერ სულიერ საზრდოს აწვდის, თანდროულიცაა, მშრომელი ინტელიგენცია გულწრფელად მუშაობს. ვისურვოთ, რომ მშრომელი ინტელიგენციის აქტივის მიერ ახლად დაწყებულ საქმეს კარგი შედეგი ქონოდეს.

ანდრო კანდელაკი.

აგარაკი „ტბა“

სულ რა-3 წლიწადია, რაც სოფ. ტბაზე გაჩნდენ საგარაკო სახლები. 3 წლის უკან ამ შვენიერ აგარაკში 15-ოდე აქა-იქ დაფანტულ ქოხებს და ბოსელებს თუ შეხვდებოდით. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ამ პატარა დაბამ იმდენი ყურადღება მიიპყრო თავისი მდებარეობის და ჰავის თვისებებით, რომ გასულ 2 სეზონზე ბოსელები და ბეღლებიც კი გაჭედილი იყვენ მოაგარაკეებით. ამან გამოიწვია საგარაკო სახლების აშენება. ამ ჟამად საგარაკო ოთახთა რიცხვი აგარაკ ტბაზე აღწევს 400-ს.

უმთავრესი ყურადღება მიქცეულია იმისაკენ, რომ გარდა აგარაკის ზრდა-განვითარებისა, გაუმჯობესდეს აგარაკის სანიტარულ-ჰიგიენური მხარე. გასულ შემოდგომაზე შევუდექით გზების შეკეთება-გაფართოებას. ამის გარდა ბოსლები და საქონლის სადგომები გადატანილ იქნა საგარაკო სახლებიდან მოშორებით. ტბაში ამ მოკლე ხანში იქნება გაყვანილი ელექტრონის განათება.

ტბა სადგ. ცემსა და სადგ. ლიბანს შუაა. წარმოადგენს საუკეთესო აგარაკს მთელ ბორჯომ-ბაკურიანის ხაზზე. ის სრულებით დაცული არის ქარისაგან, გარს ახვევია ფიჭვ-ნაძვნარების ტყეები, ლიბანის მთები, უფსკრულში მოჩუხჩუხე მდ. ბორჯომითი, რომელიც ჩაგიყვანთ ტუტე-რკინის წყაროზე, რომელსაც გლეხები უწოდებენ „მჟავე წყარო“-ს. ამ წყაროს წყალი შეიცავს მრავალ სხვადასხვა ტუტე მარილებს, რკინას და იოდს, რაც ქმნის მას სამკურნალო წყაროდ კუჭ-ნაწლავების და სისხლის მტარებელ სისტემის დაავადების, და აგრეთვე ადამიანის სხეულში ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლის დარღვევების წინააღმდეგ. ამის გარდა „ტბა“ შესანიშნავია მთის მზით და ფიჭვ-ნაძვნართა საამო სურნელობით გაჟღენთილ მსუბუქ სუფთა ჰაერით, რაც დაუფასებელია ფილტვებით სუსტებისათვის და აგრეთვე ლიმფატიური ჯირკვლებით დაავადებულთათვის.

ექ. ნ.

წერილებიდან

— **საბჭომ უნდა იზრუნოს.** (სოფ. აფენი, სიღნაღის მაზრა). აფენის სკოლის შენობა არაფრად არ ვარგა. საბჭოს და სკოლის გამგეს, რომ მოენდომებია ამდენ ხანს ძველ შენობას კი არა, ახალსაც ააშენებდა სოფელი. ამას ყურადღება უნდ მიექცეს.

გარდა ამისა ჩვენს თემში თარეშობს ექიმბაში „ფოტინე“. ადმინისტრაცია მას ყურადღებას არ აქცევს, არ იღებს მის წინააღმდეგ ზომებს. საბჭომ მის წინააღმდეგ ზომები უნდა მიიღოს.

მე.

— **დაგვინიშნეთ მეორე მომუშავე.** (თერჯოლა, შორაპნის მაზ.). ამ თემის აფთიაქში მუშაობს მხოლოდ ერთი ფარმაცევტი, რომელიც ვერ აუდის სოფლის მოთხოვნილებას. ის მუშაობს 9-დან 3 საათამდე, შემდეგ კი აფთიაქი დაკეტილია. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს თერჯოლის აფთიაქს მიემატოს კიდევ მეორე მომუშავე. ამ 3-4 თვის წინად ორი ფარმაცევტი იყო, მაგრამ რაღაც მიზეზით მოხსნეს ერთი. დააკმაყოფილეთ გლეხობის კანონიერი მოთხოვნილება, დანიშნეთ მეორე ფარმაცევტი.

ვალ—ია.

— **მოუარეთ ძველ შენობას.** (ს. შუხუთი, გურია). ჩვენ სოფელში ერთი სკოლა უკვე ავაშენე, ახლა ვაშენებთ მეორეს. მაგრამ ამასთან ერთად ვერ ვუვლით ძველ შენობას—სახურავის ცალი გვერდი სრულიად დაინგრა, მინები, ჩარჩოები და კარები დაიმტვრა. საქონელსაც კი ამწყვდევენ სკოლაში. ახალი სკოლები კი შენდება, მაგრამ სკოლის ძველ შენობასაც უნდა მიექცეს ყურადღება.

გლეხკორი შხამი.

— **სოფელს წალეკვა მოელის.** (სართიჭალა, თბილ. მაზ.). გამუდმებული წვიმების გამო ადიდდა იორის წყალი და წალეკა ბაღ-ბოსტნები და ვენახსაც დიდი ზარალი მიაყენა. საჭიროა ამ წყალს გაუკეთდეს კალაპოტი და ერთ მხარეს იქნას გაშვებული. გლეხები თავის წვლილს გაიღებენ, თუ ვინმე ხელმძღვანელი გამოჩნდება.

გ. თამაზაშვილი.

— **მადლობის ღირსია.** (აკვალა, თბილისის მაზ.). სკოლის გარეშე განათლების სახლმა აკვალის ქოხ-სამკითხველოსთან გამართა მოძრავი ბიბლიოთეკა და აგრეთვე ქოხ-სამკითხველოს შესწირა რამდენიმე წიგნი. მადლობის ღირსია სკოლის გარეშე განათლების სახლის ხელმძღვანელები.

ან—კუშ.

—**ქურდობა.** (ს. კარდანახი, სიღ. მაზ.). აქ გახშირდა ქურდობა. იპარავენ ვენახის გასაკრავ მავთულებს. ადგილობრივმა მილიციამ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ქურდობის მოსასპობად.

ვ. მათიშვილი.

— **პოლიტსკოლის გამოშვება.** (ქ. ხონი, ქუთაისის მაზ.). მოხდა პოლიტსკოლის გამოშვება. სკოლა ამთავრა 60 კაცმა. აქედან მამაკაცია, —25, ქალი—35. გამოცდამ დამაკმაყოფილებელი შედეგები მოგვცა. გამოშვების შემდეგ დაარსებულ იქნა ორი პოლიტცოდნის წრე, რომლის მიზანია სკოლაში შეძენილ ცოდნის გაღრმავება და ახალის შეძენა. აღსანიშნავია, როგორც პოლიტსკოლაში, ისე პოლიტწრეში ქალები დიდ აქტივობას იჩენენ.

იფა.

სოფლის ქრონიკა

◆ **სახ.-სამ. ამხ-ბა.** მანგლისის რაიონში ღარიბი გლეხებისაგან დაარსდა სახ.-სამეურნ. იარაღ-მანქანების ამხანაგობა.

◆ **მესაქონლეობა.** თბილისის მაზრაში ამჟამად ითვლება 28.590 ძროხა.

◆ **სკოლა.** სოფ. დიდებაში (კოჯორის რაიონი) გლეხები შეუდგენ სკოლის შენობის აგებას.

◆ **გზა.** თიანეთის გზის მოკირწყვლას შეუდგებიან ამ თვის შუა რიცხვებში. გზა მოკირწყლული იქნება 4 ვერსის მანძილზე.

◆ **წყალსადენი.** ხაშმში 4 ვერსის მანძილზე გამოჰყავთ წყაროს წყალი.

◆ **ერწოს** რაიონის ოთხ სოფელში ამჟამად წარმოებს ორ-ოროთახიანი შენობების აგება სკოლებისათვის.

◆ **მარტყოფის და ასურეთის** რაიონებში უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში წელს პირველად ჩაჰყარეს ნამყენი ვაზი.

◆ **თბილისის მაზრის** თითქმის ყველა თემში მოეწყო თვითგანვითარების წრეები.

◆ **საგარეჯოს თემში** მრავალ ადგილას მოეწყო ფიზკულტურის წრეები და საგარეჯოში მოედნები.

მერძეობა. თიანეთის რაიონში გლეხებისათვის რძის ნაწარმოების დამზადების საქმის შესასწავლად მოეწყო წველა-დოვების პრაქტიკული კურსები.

— **წითელი კუთხეები.** სვირის თითქმის ყველა უბანში მოეწყო წითელი კუთხე, სადაც გლეხებს უკითხავენ ლექციებს, აწვდიან ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს.

— **მისაბაძი მაგალითი.** ზინდისის უბანის (სურამი) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს თავიანთი საშუალებით შეაკეთონ ყველა სასოფლო გზები. ამ მიზნით აირჩიეს საგზაო კომისია.

— **არხი.** შორაპნის სამაზრო აღმასკომს განზრახვა აქვს წელს დაამთავროს 1923 წელს სვირის თემში დაწყებული არხის გამოყვანა.

ახლო წარსულიდან

(მაშო ვარდოსანიძის სახალხო განათლების ასპარეზზე მოღვაწეობის 45 წლის იუბილეს გამო)

ქუთაისის სახალხო მასწავლებლების ოჯახი მხიარულებს: ის იუბილეს უმართავს თავის დამსახურებულ წევრს მარიამ ვარდოსანიძეს ხალხის განათლების ფრონტზე 45 წლის განმავლობაში თავდადებული მუშაობის აღსანიშნავად.

მისი მახლობელი ამხანაგები დღეს გააცნობენ ფართო საზოგადოებას ამ შესანიშნავი ქალის დიდ ამაგს ხალხის განათლების საქმეში.

მე, როგორც იუბილიარის ძველ მეგობარს, რომლის თვალწინაც გაიარა მაშო ვარდოსანიძის საუკეთესო პერიოდმა, ვალად მდევს გავაცნო ქართველ მშრომელ მასებს ამ ქალის მოღვაწეობის ერთი ისეთი მხარეც, რომელსაც დღეს ბევრი არ იცნობს და რომელიც თავისი მნიშვნელობით პედაგოგიურ მოღვაწეობაზე თუ მეტი არ არის, მას მაინც არ ჩამოუვარდება.

მაშო ვარდოსანიძე **პირველი ქალი** იყო, რომელიც სულითა და გულით შეუერთდა **მესამე დასელებს** და დიდ როლს თამაშობდა. „მესამე დასის“ შესახებ ფართო საზოგადოებამ იცის მხოლოდ ის, რომ იგი ნინოშვილის დასაფლავების დღეს დაიბადა. ეს იყო 1894 წელს 8 მაისს, როცა განსვენებული მწერლის კუბოსთან შეიკრიბენ მისი ამხანაგები და მეგობრები. ეს იყო მარქსისტების პატარა ჯგუფი, რომელიც „მესამე დასის“ სახელით იქნა მონათლული გიორგი წერეთლის მიერ და ამ ჯგუფმაც ეს სახელი კონსპირაციის მიზნით შეინარჩუნა.

ამ ჯგუფის უფრო თვალსაჩინო წევრები ნინოშვილის დასაფლავების დღესვე შეიკრიბენ ნიგოითში დიმიტრი კალანდარიშვილის მამის, ექვთიმე კალანდარიშვილის სახლში, სადაც მოახდინეს პირველი კრება და შეიმუშავეს მომავალი მოქმედების პროგრამა. ამ პროგრამაში პირველი ადგილი ეჭირა მარქსისტულ მოძღვრების შესწავლის და მისი მშრომელთა ფართო მასსებში გადატანის საქმეს. გადაწყვიტეს დაარსებინათ არალეგალური წრეები ინტელიგენტ ახალგაზრდებიდან, რომლებიც შემდეგ აგიტატორებად და პროპაგანდისტებად გამოდგებოდენ.

ამ ამხანაგებიდან რამდენიმე კაცი და მათ შორის ამხ. მიხა ცხაკაია ქუთაისში დაბრუნდა. და სწორედ აქ, „სავარდო და სამაისო“, მაგრამ პოლიტიკურად უაღრესად ჩამორჩენილი ულტრა, მეშჩანურ ქუთაისში პირველად ჩაეყარა საფუძველი „მესამე დასელების“ ინტელიგენტური და შემდეგ მუშური წრეების არალეგალურ მეცადინეობას. ახალგაზრდების ეს ჯგუფი თავისი ინტელექტუალური შემადგენლობით ერთობ ჭრელი ხალხისაგან შესდგებოდა. მათ შორის არ იყო არც ერთი უმაღლესი სასწავლებელში კურს დამთავრებული. პოლიტიკურად კი ჟანდარმერიისა და პოლიციის კვალიფიკაციით ყველა ისინი „სათოკე“ იყვენ. საკმაო მოვიგონოთ, რომ მისი უფრო თვალსაჩინო წევრი, მიხა ცხაკაია, იმ დროს არალეგალურად ცხოვრობდა.

გარეგნულადაც არ წარმოადგენდა ეს ხალხი მაინც და მაინც „კეთილსაიმედო“ ელემენტს. ამ წრეში მხოლოდ იოსებ კაკაბაძე და სამსონ კილაძე იყვენ საკმაოდ კარგ ტანისამოსში გამოწყობილი და გარეგნობითაც გავდენ ისეთ ადამიანებს, რომლებისთვისაც ქუთაისის საშუალო მოქალაქის ოჯახი თავის კაროუნას როგორც იქნებოდა გაიმეტებდა და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ეს კაროუნა დრო გადასული და საკმაოდ მომჟავებული იქნებოდა და „ვიგოდნი ჟენიხების“ შოვნის იმედი არ ექნებოდათ.

მაშო ვარდოსანიძე

ასეთ ადამიანებს და ისიც ისეთ ულტრა მეშჩანურ ქუთაისში ძალიან უნდა გაჭირვებოდათ არალეგალური მუშაობა; მით უმეტეს ძნელი უნდა ყოფილიყო ეს მუშაობა იმიტომ, რომ იგი ნახევრად ლეგალურ ფორმებში უნდა წარმოებულიყო. ამისათვის საჭირო იყო ადგილობრივ შეძლებულ მოქალაქეების ოჯახებში შესვლა, მათ შვილებთან ამხანაგური კავშირის დაჭერა, რეფერატების კითხვა, დისკუსიების წარმოება და სხვა. ყოველი ეს კი ქალების დაუხმარებლად შეუძლებელი იყო. უნდა გამოვტყდეთ, რომ ს.-დ. პარტია, მისი არსებობის პირველ პერიოდში მაინც, ერთობ, ღარიბი იყო ქალებით. მით უმეტეს ღარიბი იყო ქალებით „მესამე დასი“, რომლის წევრების დიდი უმეტესობა „ვიღაც გამოყრილ სემინარიელებისა“ და „ბოსიაკებიდან“ შესდგებოდა.

აი ასეთ დროს მოგვევლინა ახალგაზრდა, პირველ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ქალი, მაშო ვარდოსანიძე. მას ბევრი ხვეწნა-მუდარა არ დასჭირებია. საკმაო იყო მისთვის აგვეხსნა „მესამე დასის“ მიზნები და მან მაშინვე იკისრა ამ წრეში მუშაობა და მისი მიზნებისთვის თავგამოდებული სამსახური.

ულარიბესი ოჯახის შვილი (მამა მისი ხელობით მეწაღე იყო) მაშო გიმნაზიის მესამე კლასიდან იწყოდა მუშაობას. ის კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს და ეხმარებოდა მშობლებს. მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ იგი იმ თავითვე უაღრესად დემოკრატი იყო. ნიჭიერი, ცოცხალი, მუდამ მოძრავი, ცნობისა და ცოდნის მოყვარე ახალგაზრდა ქალი ჩინებულად გრძნობდა ქუთაისის „ინტელიგენტური საზოგადოების“ სრულ არარაობას. ის თვითონ ეძებდა ახალ გზას, ცხოვრებისა და ცოდნის ახალ წყაროს... და რა გასაკვირია, რომ ის იმ თავითვე მთელის თავისი ახალგაზრდა ენერგიით შეუდგა მესამე დასის მიზნების სამსახურს.

მაშო ვარდოსანიძის პირველი ცდა იყო „მესამე დასელებთან“ ქუთათური ახალგაზრდობის, უმეტეს ნაწილად ქალების დაახლოება. ეს მან მალე მოახერხა და უკვე შეიქნა შესაძლებელი არალეგალური წრის ჩამოყალიბება. პირველათ ეს წრე შეიკრიბა 1894 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში თვითონ მაშო ვარდოსანიძის ბინაზე (პუშკინის ქუჩაზე, თეთრი ხიდის ყურეში).

იმ სალამოს ლაპარაკი და კამათი ლიტერატურულ თემებს შეეხებოდა. კამათის დროს გამოირკვა, რომ არც ერთ ჩვენგანს არ ქონდა გარკვეულად წარმოდგენილი, თუ რა უნდა გვექნა, რით დაგვეწყო, როგორ უნდა გვეწარმოებია მუშაობა.

მეორე სალამო ერთი კვირის შემდეგ ისევ მაშო ვარდოსანიძის ბინაზე მოეწყო. ახლა უფრო მომზადებული მივედით. ისიდორე კვიცარიძემ სადღაც იშოვა ლავროვის წიგნი, რომლის შესახებ რეფერატების დაწერა მიენდო ხარიტონ ლეკვეიშვილსა და ამ სტრიქონების დამწერს. ამ სალამოს რეფერატით გავერთეთ. კამათში ყველა დამსწრეები იღებდენ მონაწილეობას და სალამო მართლაც საინტერესო გამოდგა. აშკარად გამოირკვა, რომ ორატორებში ყველაზე უფრო დიდი ერუდიცია იაგორ ლორთქიფანიძეს ქონდა. ისიც გამოაშკარავდა, რომ ის მიხაილოვსკის მოწაფე იყო. ჩვენ, თუმცა თავს მარქსისტებს ვეძახდით, მაგრამ დადასტურებით შეიძლება ითქვას, რომ არც ერთი ჩვენგანი არ იყო ისეთი, რომელსაც მარქსიზმის ზოგადი დებულება მაინც ცოდნოდა. მაგრამ ის კი ყველამ ვიცოდით, რომ მიხაილოვსკი მარქსის მოწინააღმდეგე იყო. აქედან აშკარა იყო, რომ იაგორ ლორთქიფანიძე, როგორც მიხაილოვსკის მოწაფე, ჩვენთვის მიუღებელი იყო. გადავწყვიტეთ მისი თავიდან მოშორება. მაგრამ ამისთვის საჭირო იყო მისთვის ბრძოლის მიცემა, მისი დამარცხება...

რა კი გამოირკვა, რომ ჩვენ მარტო თავისი საკუთარი ძალებით შორს ვერ წავიდოდით გადავწყვიტეთ მესამე სალამოს მიხა ცხაკაია მოგვეწვია. ეს სალამოც მაშოს სახლში მოეწყო. მიხასა და იაგორს შორის პირველ შეხვედრისთანავე მოხდა შეტაკება. მთელი სალამო მათ კამათს მოუნდა. ამის შემდეგ იაგორი ჩამოგვშორდა და „წრის“ ხელმძღვანელობა მიხამ იკისრა.

მეოთხე სალამო იმავე შემადგენლობით შეიკრიბა იტა ასათიანის ბინაზე, თბილისის ქუჩაზე. ეს წრე ქუთაისში მალე გაიზარდა: მას მალე მიემატნენ როგორც მოსწავლე ახალგაზრდობა და ინტელიგენტები ისე ადგილობრივი მუშები.

როგორც ვსთქვით, მაშო ვარდოსანიძე „მესამე დასის“ ასპარეზზე გამოსვლის პირველ დღიდანვე ჩადგა ამ „დასის“ რიგებში. ის **პირველი ქალი** იყო ჩვენში, რომელიც არ შეუშინდა არავითარ დაბრკოლებას და ენერგიულად შეუდგა არალეგალურ მუშაობას.

და დღეს, როცა მისი ამხანაგები სახალხო განათლების ფრონტზე მისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ქართველ ხალხის ფართო მასებს აცნობენ, დეე იცოდენ ქართველმა მუშებმა და გლეხებმა, იცოდენ რევოლიუციის ყველა მოხრეებმა, რომ როცა ჩვენში რევოლიუციონერთა რიცხვი ერთობ მცირე იყო, როცა მათთან არა თუ მუშაობა, უბრალო ნაცნობობაც კი სახიფათო იყო, მაშო ვარდოსანიძე მხარში უდგა მათ და მთელის თავისი ძალღონით ემსახურებოდა რევოლიუციის მიზნებს.

ჯერ კიდევ „მესამე დასის“ გამოსვლამდე შესძლო მაშო ვარდოსანიძემ,—ვერა ჯაფარიძესა და მარიამ იოსელიანის ქალთან ერთად,—საკვირაო სკოლის დაარსება ქუთაისში. ამ სკოლას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ქუთაისის მშრომელი მასების განათლებისა, კულტურულად და პოლიტიკურად ამაღლების საქმეში. ქუთაისში არ დარჩენილა ისეთი საზოგადო საქმე, რომელშიაც მაშოს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს... ჩვენ, მისი მეგობრები, უშუალოთ განვიცდიდით მაშოს დაუშრეტელი ენერგიის გავლენას. როცა ამ შესანიშნავ ადამიანს გაცნობდით, სირცხვილად მიგვაჩნდა, რომ მონაწილეობა არ მიგველოთ იმ საქმეში, რომელსაც იგი ემსახურებოდა.

დღეს მაშო ვარდოსანიძეს დამშვიდებული სინიდისით შეუძლია უცქიროს თავისი დიდი მუშაობის ნაყოფს.

დღეს ქართველი მუშები და გლეხები სიყვარულითა და მადლობის გრძნობით მოიგონებენ მის სახელს.

ამხანაგური სალამი **პირველ** „**მესამე დასელ**“ ქალს, მაშო ვარდოსანიძეს.

პეტრე გელეიშვილი.

ჭლექის სამდღიურისათვის

ერთიანი ფრონტი ჭლექის წინააღმდეგ

დღეს იწყება ჭლექის სამდღიური, რომელიც წარმოადგენს ფართო საზოგადოებრივი მონაწილეობის გამოხატულებას ერთ-ერთ ეგრეთ-წოდებულ სოციალურ ავადმყოფობის—ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველასათვის ცხადია, რომ ჭლექი, რომელიც ძალიან არის გავრცელებული, შეიძლება ვსძლიოთ მხოლოდ მაშინ, თუ გავაერთიანებთ სამ ძალას: სახელმწიფოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სახით, მეცნიერებას და საზოგადოებას თავისი მასით. და აი, ჭლექის სამდღიური ამ სამი ძალის გაერთიანების მომენტია.

ძველად ბრძოლა ჭლექთან წმინდა ფორმალურ ხასიათს ატარებდა და სწორი მკურნალობა მისაწვდომი იყო მხოლოდ შეძლებული კლასებისათვის. საბჭოთა წყობილების პირობებში კი სურათი იცვლება, ყველასათვის ხელმისაწვდომი საბჭ. მედიცინა გაძლიერებულ ყურადღებას აქცევს ჭლექთან ბრძოლას და მშრომელთა პირადი სალარის უქონლობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას იმისათვის, რომ ჭლექით ავადმყოფმა მიიღოს აუცილებელი სამკურნალო დახმარება. სოციალური დაზღვევის ორგანოები და სახელმწიფო იღებს ზომებს ჭლექით ავადმყოფთა განკურნებისათვის — ათავსებს მათ სანატორიუმებში, დისპანსერებში და სხვა.

მაგრამ ეს ცოტაა. აუცილებელია არა მარტო ავადმყოფთა მკურნალობა, არამედ ისეთი პირობების შექმნაც, რომ შე[illegible] გახდეს ჭლექის გავრცელება და განვითარება. ამისათვის აუცილებელია ფართო მასები გაეცნონ ჭლექს, როგორც სოციალურ ავადმყოფობას, რომ მათ იცოდენ, თუ როგორ ვრცელდება ჭლექი და როგორ საშუალებით უნდა იბრძოლონ მის წინააღმდეგ; და როცა ისინი ამ ცოდნით აღიჭურვებიან, დახმარებას გაუწევენ საბჭოთა მედიცინას ჭლექთან ბრძოლის საქმეში.

ჭლექის სამდღიური არის სწორედ ისეთი მომენტი, როცა სახელმწიფო ამ ლოზუნგით: „ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ჭლექთან ბრძოლაში“, მოუწოდებს ყველა მოქალაქეთ, რომ არა მარტო ნივთიერი დახმარება აღმოუჩინონ ჭლექთან მებრძოლ დაწესებულებებს, არამედ დაესწრონ ლექციებს, მოხსენებებს და სასანიტარო-საგანმანათლებლო წარმოდგენებს და გაეცნონ ჭლექთან ბრძოლის მეთოდებს არა მარტო სამკურნალო დაწესებულებებში, არამედ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების პირობებში.

მასების ასეთი ჩაბმა ჭლექთან ბრძოლაში შესაძლო გახდა მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს; მასების მონაწილეობა ამ ბრძოლაში გვაძლევს იმის რწმენას, რომ ბრძოლა წარმატებით იწარმოებს. რაც უფრო მეტი მასები იქნებიან ჩაბმულნი ჭლექთან ბრძოლაში, მით უფრო წარმატებით დავამთავრებთ ამ ბრძოლას.

ლ. სუხიშვილი.

ტუბერკულიოზი და მასთან ბრძოლა

ადამიანის ტუბერკულიოზით დაავადმყოფებისათვის არ არის საკმარისი ტუბერკულიოზის ბაცილა, ტუბერკულიოზის ჩხირი, ამისათვის საჭიროა კიდევ შესაფერი ხელის შემწყობი პირობები. ეს პირობები კი, რომელნიც სნეულებას იწვევენ, ჩნდებიან მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში, მათ უსუფთაო, ნესტიან და ბნელ ბინებში; გარდა ამისა ამ პირობებს წარმოშობს ის გარემოებაც, რომ მშრომელმა არ იცის თუ როგორ დაიფაროს თავი და თავის მახლობლები გადამდებ სენისაგან; ამავე პირობების წარმოშობას ხელს უწყობს მუშის შრომის მძიმე პირობები, ერთი სიტყვით ის ე. წ. სოციალური პირობები, რომლებშიც ცხოვრობს და შრომობს მუშა. ნათქვამიდან აშკარაა, რომ საზოგადოებრივ ბოროტებასთან ბრძოლა მხოლოდ საზოგადოებრივი ძალებით შეიძლება.

საბჭოთა სახელმწიფო, მუშებისა და გლეხების ხელისუფლება, პირველი იყო მთელ მსოფლიოში, რომელმაც ტუბერკულიოზთან ბრძოლის საქმე სახელმწიფოებრივ საქმეთ გამოაცხადა; და მიუხედავად დიდ ეკონომიურ და სამეურნეო გაჭირვებისა, ის მაინც დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებს მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და ამავე დროს ტუბერკულიოზის წინააღმდეგ,—ის ბევრ სპეციალურ დაწესებულებას ხსნის, რომელთა მიზანია ტუბერკულიოზთან ბრძოლა. ერთი მთავარი დაწესებულება, რომელიც ტუბერკულიოზთან ბრძოლას აწარმოებს—არის დისპანსერი; მასში იყრის თავს საზოგადოებრივი და სამეცნიერო ძალები, რომელნიც მიმართულნი არიან საზიარო მტრის—ტუბერკულიოზის წინააღმდეგ.

დისპანსერი არ არის მარტო სამკურნალო დაწესებულება, როგორიც მაგ., ამბულატორიები და საავადმყოფოები, ის არის მეცნიერულ-საზოგადოებრივი ორგანიზაცია რომელიც თავს უყრის და წარმართავს მეცნიერულ-გამოცდილ გზით. დისპანსერი არა მარტო სისწორით იკვლევს ავადმყოფობას და ჰკურნავს მას, არამედ უმთავრესად სწავლობს იმ პირობებს, რომლებშიც ავად გახდა ტუბერკულიოზით ესა თუ ის პირი; ის არკვევს ამ პირობებს, და შემდეგ მეცნიერულ ძალების, სახელმწიფო ორგანოების და მუშური ორგანიზაციების შეერთებულ შეთანხმებული მუშაობით მეცნიერების მიერ შემუშავებულ გეგმის მიხედვით ყოველ ზომას ხმარობს ამ მავნე პირობების თავიდან ასაცილებლად. დისპანსერი არა მარტო დაავადებულთ ეხმარება ასეთი მუშაობით, არამედ გამაფრთხილებელ რჩევა-დახმარებას აძლევს მათ, ვინც ავადმყოფის ახლო იმყოფება.

ავადმყოფის საშუალებით და გამოძკვლევ ცდების დახმარებით დისპანსერი ეცნობა ავადმყოფის ოჯახურ პირობებს და სწავლობს მათ; ოჯახის წევრებს ის აწვდის ყველა ზომას და საშუალებას, თუ როგორ უნდა დაიცვას თავი ჯანმრთელმა სნეულების გადადებისაგან.

მაგრამ ამით არ ამოიწურება დისპანსერის მუშაობა; იმავ ავადმყოფის საშუალებით დისპანსერი ეცნობა წარმოებას, სადაც ავადმყოფი მუშაობს, იკვლევს პროფესიონალურ და სანიტარულ-ტეხნიკურ პირობებს, რომელნიც ხელს უწყობენ ავადმყოფობის გავრცელება-განვითარებას და სათანადო პარტიულ, საბჭოთა და პროფორგანიზაციების, უმთავრესად კი შრომის დაცვის ორგანოების საშუალებით ცდილობს წარმოებაში მუშაობის ცუდი პირობების მოსპობას.

დისპანსერი დიდ მნიშვნელობას აძლევს ტუბერკულიოზთან ბრძოლისთვის მუშათა მასების განათლებას; მაგრამ ის არ კმაყოფილდება გამოძკვლევ დების რჩევა-დარიგებით და გაცხარებულ მუშაობას აწარმოებს მომსვლელთა შორის მეცნიერულ ცოდნის გასავრცელებლად ტუბერკულიოზისა და მასთან ბრძოლის საშუალებების შესახებ; ის აწყობს საუბრებს მუშებთან არა მარტო თვით დისპანსერში, არამედ წარმოებებშიც, დაწესებულებებში, კლუბებში და სხვა.

გამოფენები, მუზეუმები, კედლის გაზეთები, ფურცლები, ბროშიურები—ყველა ეს დამხმარე მასალაა ცოდნის გასავრცელებლად ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო ზომების შესახებ.

დისპანსერმა კარგად უნდა გამოიკვლიოს ყველა გარემოებანი, რომელნიც გავლენას ახდენენ ავადმყოფებზე და ის, რაზედაც ჩივიან ტუბერკულიოზით შეპყრობილნი. შემდეგ კი უნდა შეუდგეს აქიმობას ან თვით დისპანსერში, ან გაგზავნოს ავადმყოფები შესაფერ დაწესებულებებში (საავადმყოფოები, სანატორიები, პუნქტები და სხ.).

ცხადია, მარტო საკუთარი საშუალებებით დისპანსერს არ შეუძლია მოსპოს ოჯახური ცხოვრების და შრომის ცუდი პირობები და ავადმყოფს ნივთიერი დახმარება გაუწიოს. ამისთვის პირველად ყოვლისა საჭიროა მუშათა მასების თვითმოქმედება, სახელმწიფო, პროფესიონალურ, პარტიულ და დამზღვევ სალაროებთან მჭიდრო კავშირი და მათის მხრივ ფართო დახმარება ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარების საქმეში.

აღნიშნულ მიღწევათა განხორციელება შეიძლება დისპანსერებთან სოციალურ საბჭოებისა და წარმოება-დაწესებულებებში ტუბერკულიოზის უჯრედების მოწყობით. მათ მოვალეობას შეადგენს დისპანსერის მუშაობისათვის ხელის შეწყობა და ამ საქმისათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენა.

ერთ-ერთი საყურადღებო და მნიშვნელოვანი მომენტი დისპანსერის მუშაობაში არის ტუბერკულიოზის სამდღიურის მოწყობა. ტუბერკულიოზის სამდღიური ავადმყოფთათვის ფულით დახმარების მთავარი წყაროა, რომლის საშუალებით შესაძლებელია ავადმყოფთა ცუდი ოჯახურ და შრომის პირობების მოსპობა.

ტუბერკულიოზის სამდღიური უდიდესი დღეა ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო პროპაგანდისა და აღზრდა-განათლების საქმეში. ტუბერკულიოზის სამდღიური გენერალური გადახედვაა მთელი მუშათა ძლიერი არმიის, რომელიც შეტევას აწარმოებს პროლეტარიატის სასტიკი მტრის—ტუბერკულიოზის წინააღმდეგ. მჭიდროდ უნდა შევაკავშიროთ ეს რიგები და საერთო ძალღონით ვუკვეთოთ მტერს, რომელიც ძირს უთხრის მუშებისა და გლეხების ჯანმრთელობას, იმ მუშებისა და გლეხების, რომელნიც ახალ ცხოვრებას—სოციალიზმს აშენებენ.

ლ. ნ.

პატარა ფელეტონი

მიაკითხოს ალა, რალა?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კანადის პრემიერმა კინგმა განაცხადა, რომ კანადამ გადასწყვიტა ჩაშალოს სავაჭრო შეთანხმება საბჭოთა კავშირთან. კინგმა აღნიშნა აგრეთვე, რომ ოფიციალურ ურთიერთობის ჩაშლა არ ნიშნავს საბჭოთა კავშირის და კანადის შორის ვაჭრობის შეწყვეტას“...

(დეპეშებიდან).

ამ ბოლო დროს ჩვენ ინგლისთან
გვაქვს ნოტების კანონადა,
ვშლით ყოველგვარ შეთანხმებას,
თუმც ბევრია კიდევ ვადა...
მაგრამ ეს ვინ გამოეჩრა,
ვინღა გდია ეს კანადა?
რას ეჩრება თავის ცხვირით,
«Куда надо и не надо».
ჰსწყვეტ კავშირსო—აწრიპინდა,
გაახარა თავის „ალა“.
ვაჭრობა სურს?! ვერ მივართვით
მიაკითხოს ალას, „რალა“?!.

ხოზიკა.

ცემენტის ქარხანა კასპში

კავთისხევის ცემენტი საუკეთესო ხარისხის აღმოჩნდა.—ქარხნის შენობისათვის ადგილის ასარჩევად ჩამოვიდა საკავშ. ს. მ. უ. ს. კომისია.—კავთისხევსა და კასპს შორის გაყვანილ იქნება ჯაჭვებზე დაკიდებული რკინის გზა.—სილიკატების ინსტიტუტმა მოიწონა კავთისხევის ცემენტი.

—:—

თბილისში მოსკოვიდან ჩამოვიდა საკავშირო ს. მ. უ. ს მიერ მოვლენილი სპეციალისტების კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს საკავშ. ს. მ. უ. ს. „სტრომსტროის“ თავმჯდომარე ინჟ. **ა. ივანოვი.** კომისიაში შედის აგრეთვე ცემენტის საქმის მცოდნე პროფ. **ვ. იუნგი.**

კომისიის ჩამოსვლის მიზანია სად. სკრასთან ცემენტის დასამუშავებელი ქარხნის შენობისათვის ადგილის არჩევა და მომავალ საექსპლოატაციო სამუშაოების გათვალისწინება. კომისიამ თბილისში თან ჩამოიტანა კავთისხევის ცემენტის ნიმუშები, რომლებზედაც მოსკოვში ახდენდენ ცდებს. ნიმუშების მექანიკური გამოცდის შემდეგ აღმოჩნდა, რომ კასპი-კავთისხევის ცემენტი უმაღლესი ღირსებისა და აკმაყოფილებს თანამედროვე ტეხნიკის ყოველგვარ მოთხოვნილებებს. სილიკატების ინსტიტუტმა მოსკოვში მოახდინა ჩვენი ცემენტის ნიმუშების გამოცდა. გამოცდიდან გამოირკვა, რომ კავთისხევის პირველი ხარისხის ცემენტი თვითეული კვადრატული სანტიმეტრი დამზადების 7 დღის შემდეგ უძლებს 300 კილოგრამის ძალას, რაც უნდა ჩაითვალოს ცემენტის უმაღლეს ღირსებათ.

სკრაში ცემენტის ქარხნის ახაგები პროექტი დამუშავებულია საკავშირო ს. მ. უ. ს. სამრეწველო-საამშენებლო განყოფილების („სტრომსტროი“) მიერ.

კავთისხევსა და სკრის რაიონში მდებარე ცემენტის საექსპლოატაციო რაიონებიდან ქარხნამდე, რომელიც აგებულ იქნება სად. სკრასთან—გაყვანილი იქნება ჯაჭვებზე დაკიდებული რკინის გზა, რომლის საშუალებითაც მოხდება ცემენტის ნედლი მასალის გადაზიდვა და მუშების გადაყვანა. საჰაერო რკინისგზის სიგრძე იქნება ორ კილომეტრზე მეტი.

დღეს საკავშირო ს. მ. უ. ს. კომისია ინჟ. **ვაფაძის**, ინჟ. **ანდრონიკაშვილის** და **ტიმოფეევის** თანხლებით, გაემგზავრება სკრა-კავთისხევის რაიონში.

ახალი ნავთსადგურები

ბაქოში

თბილისში, მთელ რიგ იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც დაკავშირებულია ნავთსადგურების მშენებლობასთან ბაქოში, ვოლგა-კასპის არხის გაყვანასთან და მდ. მტკვარზე და რიონზე ნაოსნობის მოწყობასთან, ჩამოვიდენ კასპის სანაოსნო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ამხ. **ბოგუში**, კასპის ნავთსადგურების სამმართველოს უფროსი—ამხ. **ბალაი** და ვოლგა-კასპის არხის გასაყვან სამუშაოების სამმართველოს უფროსი—ამხ. **ბალანინი**, რომელებმაც ჩვენს თანამშრომელთან საუბარში განაცხადეს შემდეგი:

— მომავალი საბიუჯეტო წლიდან დაიწყება ნავთსადგურების მშენებლობის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის განხორციელება. ამ დარგში პირველი მუშაობა იქნება ბაქოს ნავთსადგურის აგება და მექანიკური მტვირთველების მოწყობა დასავლეთ-ევროპის ნავთსადგურების უკანასკნელი ტეხნიკის მიხედვით. ამ აღმშენებლობის პროექტები და გეგმები უკვე შეთანხმებულია საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატთან და ამიერ-კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოსთან.

რაც შეეხება კასპის ზღვის სანაოსნო საზოგადოების მუშაობას, უნდა ითქვას, რომ ამჟამად მისი ძირითადი სამუშაოა ნავთის პროდუქტების გამოტანა აზერბეიჯანის და გროზნის ნავთის წყაროებიდან; ნავთის გადატანის პროგრამა რაოდენობის მხრივ სარეკორდოა წინა წლებთან შედარებით და ამჟამად აღწევს ომის წინა ხანების გადატანის 80 პროცენტს.

რვა თვის განმავლობაში, აპრილიდან ნოემბრამდე გადატანილი იქნება 250 მილიონი ნავთის პროდუქტები; ამასთანავე, მიუხედავათ იმისა, რომ ნაოსნობა წელს დაგვიანებით დაიწყო (10 აპრილი), პირველ ივნისისათვის მაინც გადატანილი იქნა 67.500.000 ფუთი ნავთის პროდუქტები.

1928 წელში კასპის ფლოტი შევსებული იქნება 10 ახალი გემით, მათ შორის 2 ახალი თბომავალი, რომლებიც ეხლა შენდება, 6 ახალი ბუქსირი და რამოდენიმე ბარჟა. სულ 1931 წელში კასპის სანაოსნო საზოგადოება შეივსება 28 ახალი გემით.

მოძრაობის მოწესრიგება

ქუჩებზე

გუშინ, სალამოს სახალხო სახლში შესდგა მილიციის და ტრამვაის მუშაკების, შოფერების და მეეტლეების კრება, რომელზედაც განხილული იქნა საკითხი მოძრაობის მოწესრიგების შესახებ ქუჩებზე.

საინფორმაციო მოხსენება გააკეთა თბილისის მილიციის უფროსმა ამხ. **ხმალაძემ.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აღმასკომის მიერ მიღებულ ზომების წყალობით უბედური შემთხვევების რიცხვი გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ აქვს ადგილი შემთხვევებს, როდესაც შოფერები ყოველთვის არ იცავენ სავალდებულო დადგენილებებს; არის აგრეთვე ხულიგნობის შემთხვევები შოფერების და მეეტლეების მხრივ.

ამას გარდა, ტრამვაის კონდუქტორებიც არღვევენ სავალდებულო დადგენილებებს. არ აჯარიმებენ მოქალაქეებს, რომლებიც არ იცავენ ვაგონებში ჩაჯდომის წესებს.

მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, თბილისის აღმასკომს გადაწყვეტილი აქვს დადგას საკვანძო პოსტებზე სემაფორები, რომლების საშუალებით შესაძლებელი იქნება უბედური შემთხვევების რიცხვის კიდევ უფრო შემცირება და მოძრაობის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ასეთი სემაფორები უკვე დადგმულია მოსკოვში და ლენინგრადში.

თვითეულ სემაფორთან დაყენებული იქნება მილიციელი, რომელსაც უფლება არ აქვს მოშორდეს მას. ის სემაფორის საშუალებით აწესრიგებს მოძრაობას (ასეთ შემთხვევაში კვერთხი საჭირო აღარ იქნება). ნაშუადღევს, როდესაც მოძრაობა შეწყდება, მილიციელი განზე გადადგამს სემაფორს (იგი ბორბლებზე იქნება მოწყობილი) და დადგება თავის პოსტზე.

სემაფორები შემოღებული იქნება უახლოეს ორ კვირაში.

მეცნიერული ექსპედიციები

მიწსახკომის სასოფლო-სამეურნეო სამმართველო ივნისის 5-დან აწყობს მეცნიერულ-პრაქტიკულ ექსპედიციებს მაზრების დასათვალიერებლად. ექსპედიციაში მონაწილეობას მიიღებს ცენტრის აგრონომები, რომლებიც ადგილობრივ აგრონომებს გააცნობენ ახალ მიღწევებს სასოფლო-მეურნეობის დარგში. ექსპედიციას ხელმძღვანელობას გაუწევენ სას.-სამ. სამმართველოს უფროსი **დ. გედევანიშვილი**, სასელექციო-სამეცნიერო განყ. გამგე **დ. სამადაშვილი** და აგრონომიულ ღონისძიებათა განყ. გამგე **ვ. ხოფერია.**

მუშათა ცხოვრება

შაბათს, დღის 3 საათზე, შესდგება მუშკორთა ექსკურსია სამხატვრო გამოფენის და ზაჰესის პირველი ქვე - სადგურის დასათვალიერებლად.

მუშკორები უნდა შეიკრიბონ სრულ სამ საათზე „კომუნისტი“-ს კანტორასთან, რუსთაველის პროსპ. № 34.

რკინი-გზის მთავარ სახელოსნოს მუშების მიმდინარე მომენტის შესახებ

ა. წ. 31 მაისს გაიმართა ამიერ - კავკასიის რკ. გზ. მთავარ სახელოსნოების, დეპოს, ვაგონების პარკის და მთავარ საწყობის მუშათა საერთო კრება. კრებას დაესწრო 2.000 მუშა. კრებამ მოისმინა ამხ. **ლ. ქართველიშვილის** მოხსენება საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგების შესახებ და მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„მოისმინა რა ამხ. ქართველიშვილის მოხსენება სრულიად საკავშირო საბჭოთა მე-4 ყრილობის შედეგების შესახებ, ამიერ - კავკასიის რკინისგზების ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოების, დეპოს, ვაგონების პარკის და მთავარი საწყობის მუშათა საერთო კრება სავსებით ეთანხმება მეოთხე ყრილობის გადაწყვეტილებებს.

კრება კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საკავშირო საბჭოთა მესამე ყრილობის მოწვევიდან 2 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ დიდ შედეგებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში, რითაც აიხსნება ის გარემოება, რომ მრეწველობის ზოგიერთ დარგებში ჩვენ გადავაჭარბებთ ომის წინა დროის დონეს.

ასეთი აღორძინებითი მუშაობა დიდ ყურადღებას იპყრობდა კაპიტალისტურ სახელმწიფოების მხრივ. ისინი ყოველგვარ ღონეს ხმარობდენ, რათა ხელი შეეშალათ და დღესაც ცდილობენ შეაფერხონ ჩვენი აღმშენებლობა და მუდამ იმაზე ფიქრობენ, თუ როგორ ჩაალრჩონ სოციალიზმის მშენებლობა.

ინგლისის შუბლ - მაგარ კონსერვატორების პროვოკაციული თავდასხმა აშკარად ამტკიცებს ამას. „არკოსზე“ თავდასხმა და ინგლის - საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ჩაშლა ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, რომ ევროპის ბურჟუაზიას სურს ახალი ომის დაწყება.

საბჭოთა ხელისუფლება, როგორც ყოველთვის, მშვიდობიან პოლიტიკას აწარმოებს. მაგრამ თუ გამხეცებული ბურჟუაზია ინგლისის შუბლმაგარ კონსერვატორების მეთაურობით მაინც დააპირებს ჩვენზე თავდასხმას, — ჩვენ მზათ ვართ სათანადო წინააღმდეგობა გაუწიოთ მათ.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ძლიერდება საქართველოს მრეწველობა, მიუხედავად იმისა, რომ თეთრი ემიგრაცია ცდილობს ხელის შეშლას.

ძირს მსოფლიო ბურჟუაზია!

ძირს ინგლისის კონსერვატორები!

ძირს თეთრი ემიგრაცია!

გაუმარჯოს მსოფლიოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირის მშენებლობას!

გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატის კავშირს!

—:—

25 წლის იუბილე.

თელავის მეორე ცხრაწლედის შრომის სკოლის დარაჯს ამხ. დარჩო როსტომოვს 4 ივნისს ხსენებულ სკოლის პედაგოგიური საბჭო უმართავს იუბილეს. ამხ. დარჩომ ამ სკოლაში მუშაობა დაიწყო 1902 წლიდან და დღემდე განაგრძობს მუშაობას. იგი პირნათლად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას, რითაც დიდი სიყვარული დაიმსახურა მოწაფეებში. ხსენებული სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები დაუღალავ მუშაობისათვის უხდიან ამხ. როსტომოვს იუბილეს.

ა. პ.

— **გაუგებრობა.** თბილისის დეპოს საკითხველოს გამგე გაზეთების ხელისმომწერლებს ქვითარს არ აძლევს, რის გამო ხშირად ხდება გაუგებრობა.

ინგური.

რა იყო წინათ და რა არის ეხლა.

რკინისგზის მთავარი სახელოსნოები აშენებულია 1884 წელს. მოწყობილობით ის დიდი ხანია არ აკმაყოფილებს თავის დანიშნულებას. დამძველებული დაზგები, ნახევრათ ჩამონგრეული სახელოსნოები, როცა მუშებს ავდარში და სიცივეში გარეთ უხდებოდათ მუშაობა,—ყურისმგდებელი არავინ იყო, ან-და რაში ენაღვლებოდა ძველ რეჟიმს და მის სატრაპებს მუშების ჯანმრთელობა? დღე და ღამ ამუშავებდენ ისინი მუშებს და ამით ილახთ მოდიოდენ. ვერც მეწარმეებმა მიაქციეს ყურადღება თავიანთ ბატონობის დროს ამ საქმეს.—ამისთვის არ „ეცალათ“, ან კიდევ მუშების პირობების გაუმჯობესება მეორე ხარისხოვან საკითხად მიაჩნდათ.

რას ვხედავთ ეხლა?

მუშები გარედ პრიმიტიული წესით, მაზუთიან ბურბუშელათ აბურდიდ გოგრებს, ზევიდან წვიმა მოდიოდა, ქვევიდან კი მაზუთში ცურაობდნენ. ეხლა მშვენიერად გადახურულ ფარდულს ქვეშ მუშაობენ მაზუთის ფერზე სუფთად.

სამჭედლო სამქროს „ზაკლიოპკების“ მკეთებელ განყოფილებაში ძველად მუშაობა ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იყო. ღია ჰაერზე უხდებოდათ მუშაობა წვიმის და სიცხის დროს. მუშებს ზოგი ქუდებს და ზოგიც ფიცრებს იფარებდენ ზევიდან.

ეხლა ისინი ახლად აგებულ სახელოსნოში მუშაობენ.

საქვაბე სამქროს სატენდერო განყოფილების მუშებს სიზმარშიაც არ მოელანდებოდათ წინეთ, რომ მათ დახურულ შენობაში მოუხდებოდათ მუშაობა. ეხლა? ფართო ახალ სახელოსნოში მუშაობენ.

„ავტოგენიური“ სახელოსნო, რომელიც წარმოადგენდა ბნელ პატარა ოთახს (იქ მომუშავეებს არც ერთს არ ედო ადამიანის ფერი), ეხლა ნათელ და მაღალ ახალ შენობაშია მოთავსებული.

სამღებრო სამქროს მუშებს თითქმის სულ გარეთ უხდებოდათ მუშაობა და ვერც კი წარმოედგინათ, თუ როდესმე გაღირსდებოდნენ დახურულ სახელოსნოში მოუხდებოდათ მუშაობა. ეხლა კი ნათელ და სუფთად მოწყობილ სახელოსნოში მუშაობენ.

კიდევ ბევრი ახალი შენობებია გაკეთებული, რომლის აღნუსხვა შორს წაგვიყვანს. რა თქმა უნდა, ჩვენი ხელისუფლება ახალი შენობების აგებით ვერ დაკმაყოფილდება. შრომისა და ტეხნიკის მეტი რაციონალიზაციის გასატარებლად შეძენილია და დადგმულია დაზგები ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი. მაგალითად, საგოგრო სამქროში დადგმულია თვლების სახარხი ორი დაზგა, ეს დაზგები ექვსჯერ მეტს ჩარხავენ ძველ დაზგებთან შედარებით. თითო დაზგაში გადახდილია 36.000 მანეთი. იქვე დაიდგა უდიდესი „კარუსელის“ დაზგა, რომელიც ელექტრონის ენერგიით მუშაობს. ამ დაზგაზე ყველა დიდი საქმეების გაკეთება შეიძლება. ეს დაზგა ღირს 28.000 მანეთი. სახარატო სამქროში დადგმულია გასაჩარხი ცილინდრები, რომლებიც მუშაობენ ელექტრონის ენერგიით. საიარაღო სამქროში დადგმულია სამი ახალი დაზგა. ავტოგენის ცეხში დადგმულია: ელექტროსადუღებელი აპარატი. საქვაბოში—უნივერსალური მოძრავი სახვრეტი მანქანა. მილების გასაწყვეტი მანქანა და ელექტრონით „ზაკლიოპკის“ გამხურებელი მანქანა.

სამჭედლო სამქროში რკინების სახეხი მანქანა, რომელიც ელექტრონის ენერგიით მუშაობს. დადგმულია აგრეთვე ახალი მანქანები სადურგლო ცეხშიაც. წარმოებს მუშაობა და ახლო მომავალში დაიწყება აგება მილების საკეთებელი სახელოსნოსი და საქვაბო სამქრო და ამწყობ ცეხის გადაკეთება მძლავრი ორთქლმავლებისათვის.

სამუშაოების პირობებისა და მოწყობილობის გაუმჯობესება იმის თავდებია, რომ მთავარი სახელოსნოები შეასრულებენ დაკისრებულ ამოცანას. ახალი სახელოსნოები და გაუმჯობესებული ტეხნიკა უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს მუშებს იმუშაონ ტრანსპორტის განმტკიცებისათვის.

იაგორ ტორიკაშვილი.

—:—

აქტივისტ მუშათა წრე.

31 მაისს პლეხანოვის სახელობის კლუბში მოწვეულ იქნა აქტიურ მუშების კრება მთავარ სახელოსნოებიდან და თბილისის დეპოდან. კრებას დაესწრო 30-მდე ამხანაგი. კრების მიზანი იყო წრის დაარსება, რომელიც იზრუნებს კლუბთან არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გაუმჯობესებაზე და ჩაიბამს მაში რაც შეიძლება მეტ მკითხველებს. მოკლე მოხსენება ამ საკითხის შესახებ გააკეთა ამხ. ჯიოევმა. ამხ. ვარლამოვმა წაიკითხა კლუბთან არსებულ საბჭოს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც შესდგება 15 მუხლისაგან. წრის მთავარი მიზანია დააინტერესოს მასა ჟურნალ-გაზეთებით და წიგნებით. ამ მიზნისათვის ზაფხულში უნდა იქნეს გამართული წიგნების სალამოები. ყოველ შაბათობით ან კვირაობით პლეხანოვის კლუბში უნდა იწარმოოს გაზეთების ხმა-მაღლა კითხვა და წაკითხულის განმარტება. ეს მუშაობა უნდა იკისრონ აქტივისტებმა.

სხდომამ ერთხმად მიიღო გეგმის ყველა პუნქტები. ასეთი წრე პირველად არსდება თბილისში.

ვუსურვებთ მას ნაყოფიერ მუშაობას.

მუშკორი ძია-ლევან.

საყურადღებო წვრილმანი

— **რატომ ხდება ასე.** სალიანდაგო სამსახურის მესამე უბანში გასული წლის მარტიდან დაიწყო სანარდო მუშაობა. 1 მარტიდან დღემდე ბრძანება № 241-ში აღნიშნულია სანარდო სამუშაოების გასამრჯელოს გაცემა მეტაბელეებზე და არტელის უფროსებზე.

სხვა უბნებში თითქმის ყველგან ღებულობენ ამ გასამრჯელოს, მაგრამ მესამე უბანში რატომღაც ეს ასე არ არის.

ამას გარდა, რვა საათის სამუშაო დღისათვის მეანგარიშეებთან ერთად, მეტაბელეებსაც მოუმატეს 12 პროცენტი, მაგრამ მესამე უბანზე არც ეს გავრცელდა. რა მიზეზია?

ხათაბალა.

— **კედლის გაზეთმა მიიძინა.** 1924 წელს ტყავტრესტის ქარხკომმა გამოუშვა კედლის გაზეთი „წითელი მეტყავე“. ეს გაზეთი გამოუშვეს სულ 4—5 კაცმა. წელს მარტში გამოვიდა მე-60 ნომერი. მუშკორთა რიცხვი გაიზარდა 30 კაცამდე.

ამ ბოლო ხანებში არც მუშკორთა წრე და არც რედკოლეგია არ მუშაობს, გაზეთმაც მიიძინა.

რედკოლეგიის განახლება არის საჭირო.

ნაპერწკალი.

— **სპილენძმა დალუპა.** მთავარ სახელოსნოს სამჭედლო სამქროს მუშა ჩერნოივანოვი. აქტივისტი და ამ კაცს ზურგზე ერთი ფუთი და ხუთმეტი გირვანქა სპილენძი, გინდა თუ არა სახლში უნდა წაიღოო. კიდევ კარგი კარებში მცველებმა მოხსნეს ზურგზე ეს სპილენძი, თორემ საქმე ცუდად იყო. თუმცა... ამბობენ არც ეხლა არის კარგად საქმეო. სახელოსნოში ისეთ მუშას არ გააჩერებენ, რომელიც სპილენძს ზურგზე წამოიკიდებს სახლში წასაღებადო.

ხარბინელი.

პროფკავშირებში

კვალიფიციური მუშა ხელის მომზადება

ფეიქართა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ გადასწყვიტა ს. მ. უ. ს.-თან ერთად, ახალი მაუდის საქსოვ ფაბრიკისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მომზადების მიზნით მოსკოვის ფაბრიკებში გაგზავნოს 55 მუშა ერთი წლის ვადით.

კავშირის ინჟენერ-ტეხნიკურ სექციამ შეიმუშავა პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს მოსკოვში გასაგზავნი მუშები. ამ ახლო მომავალში კავშირის ც. გამგეობა ს. მ. უ. ს.-თან ერთად გამოყოფს სპეციალურ კომისიას, რომელიც ჩაატარებს მუშაობას მოსკოვში გასაგზავნ მუშების შესარჩევად.

საბჭოთა და სავაჭრო მოსამსახურეთა კავშირში

პლენუმის მოწვევა

18 ივნისს კავშირის შენობაში მოწვეულია მედსანშრომის ცენტრალური გამგეობის მე-2-ე პლენუმი; დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. საბიუჯეტო მუშაობა, ხელფასის სახელმწიფო მოწესრიგება და თანამდებობათა განაკვეთების სისტემა. 2. საფინანსო საკითხი (ხარჯთაღრიცხვის შესახებ), საწევრო დავალიანების ამოღება. 3. ურთიერთ სალაროების რეორგანიზაციის შესახებ. 4. კულტმუშაობის შედეგები და პერსპექტივები და სხვ.

მედსანშრომის კავშირში

— **ფარმაცევტები აგარაკებზე.** კავშირის დადგენილებით ფარმაცევტები აგარაკებზე გაიგზავნებიან სამუშაოდ მხოლოდ თვეობრივით.

— **კონფერენციის მოწვევა.** კავშირის ც. გამგეობა ამ მოკლე ხანში ქალაქის მაშტაბით იწვევს შემფასებელ საკონფლიქტო კომისიების თათბირს.

— **დასასვენებელ სახლებში.** მედსანშრომის კავშირის საზაფხულო პერიოდში ყველა დასასვენებელ სახლებში დაეთმო 110 ადგილი.

— **დასასვენებელ სახლის გახსნა.** მედსანშრომის კავშირის დასასვენებელ სახლის გახსნა მოხდება 15 ივნისს ახალდაბაში.

— **მაზრებს** მედსანშრომის კავშირის ც. გამგეობამ ახალდაბის დასასვენებელ სახლში დაუთმო 18 ადგილი.

პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროში

— **სტუდენტობა დასასვენებელ სახლებში.** 1 ივლისიდან პროლეტარულ სტუდენტთა ბიურო შეუდგება ავადმყოფ სტუდენტების კურორტებზე და სანატორიებში გაგზავნას.

— **ექსკურსიები.** ზაფხულის პერიოდში პროლეტარულ სტუდენტთა ბიურო აწყობს სტუდენტთა ექსკურსიებს, როგორც ადგილობრივ, ისე რუსეთში.

ბრძოლა მალარიასთან

გასულ წელს ა. კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის დაცვის სამმართველომ მალარიასთან საბრძოლველ პროფილაქტიურ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარებაზე დახარჯა 56.821 მან. და მალარიით დაავადებულთა მკურნალობაზე—271.338 მან.

ა. კ. საგზაო დამზღვევ სალარომ ამავე პერიოდში ამავე მიზნისათვის დახარჯა—477.700 მან.

ამგვარად ა. კ. რკ. გზაზე გასულ წელს მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით დაიხარჯა სულ—805.859 მან.

ა. კ. რკ. გზ. ტროპიკული მედიცინის ცენტრალური სადგურის გამოანგარიშებით, ყოველწლიურად თითეული მალარიით დაავადებულის მკურნალობა გზას უჯდება—23 მან. 83 კაპ. ყოველ დღიურად კი—2 მან. 67 კაპ. საშუალოდ ავადმყოფობა გრძელდება—8.97 დღის.

მიმდინარე წელს ამ საქმეზე განზრახული იყო 245.406 მან. დახარჯვა, მაგრამ კრედიტების შეზღუდვის გამო გზათა კომისარიატმა შესძლო მხოლოდ 50.000 მან. გაღება.

ეს თანხა საკმარისი არ არის და ამის გამო ჯანმრთელობის სამმართველო საგზაო დამზღვევ სალაროსთან ერთად ეხლა აწარმოებს მალარიასთან ბრძოლისათვის საჭირო თანხების გამოძებნას.

ქრონიკა

ქართული ცხენოსანი ლეგიონის ექვსი წლის თავი

გუშინ, შუადღის 12 საათზე ქართული ცხენოსანი ლეგიონის არსებობიდან ექვსი წლის შესრულების გამო შესდგა ალლუმი, რომელსაც დაესწრენ ამხ. ფ. მახარაძე, ს. ჯუღელი, შ. მათიკაშვილი და სხვ. ალლუმის შემდეგ მეთაურთა შემადგენლობის და წითელ არმიელებს დაურიგეს ჯილდოები.

სპეციალური კურსები

თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილება მომავალ სამოსწავლო წლიდან თბილისის ქართულ მე-2, მე-8 და მე-14 და სომხურ მე 76 და მე 86 სკოლებთან ხსნის სამწლიან სპეციალურ კურსებს. ამავე განათლების განყოფილების დადგენილებით სპეციალურ კურსებად გადაკეთებული საგარეჯოს სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

თბილისის ალმასკომში.

◆ **წყალსადენი.** ზემო-თიანეთში წყალსადენის გასაყვანად ალმასკომმა გადასდო 3000 მანეთი.

◆ **კომუნალურ მეურნეობაზე** წელს ალმასკომი სულ დახარჯავს 3.669.807 მანეთს.

◆ **კანის ავადმყოფობასთან ბრძოლის** გაძლიერების მიზნით ჯანმრთელობის სექციამ გადასწყვიტა სტერილიზაციაქმნილი ფუნჯები საპარიკმახეროებს მიაწოდოს 3 კაპეიკად, დღემდე ღირდა 5 კაპეიკი.

◆ **ადგილობრივი გადასახადის** სახით გასულ წელს 1 ოქტომბრიდან ამა წლის აპრილამდე ქალაქს შემოუვიდა 676.404 მანეთი.

◆ **ელექტრომექანიკური** სახელოსნო ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებამ გადასწყვიტა გადააკეთოს სამონტაჟო სახელოსნოდ.

◆ **ჰურჭლეულობის ქარხანა.** მაზრაში წელს განზრახულია მოეწყოს ჰურჭლეულობის ქარხანა.

◆ **მამადავითის** გორებზე, დღემდე დარგულია 3500 ძირი ელდარის ფიჭვი, 1700 ძირი კვიპაროსი და 6000 ტყის ხე.

◆ **თბ. აგარაკებზე** ოთახების ქირა შეტანილი უნდა იქნას 5 ივნისამდე. შემდეგ ოთახები გადაეცემა სხვას.

განათლების კომისარიატში.

◆ **სოფლის მასწავლებელთა** ბიუჯეტის გამოკვლევა უკვე დასრულდა.

◆ **ცენტრპარტსკოლაში** მეცადინეობა შეწყდა 25 მაისიდან. ამავე სკოლაში მოეწყო გამოფენა გასულ სასწავლო წლის მუშაობის დასახასიათებლად.

◆ **კინო გლეხებისათვის.** განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა სოფლებში მიმდინარე ზაფხულში მოაწყოს რევოლიუციონურ კინო-სურათების ჩვენება.

◆ **რადიომიმღები სადგურების** მუშაობის გასაცხოველებლად სოფლებში, განათლების კომისარიატმა აირჩია კომისია ამხ. მარიამ ორახელაშვილის თავმჯდომარეობით.

◆ **ქართულ წიგნის 300 წლისთავის** აღსანიშნავ იუბილეს ჩასატარებლად განათლების კომისარიატის მიერ გამოყოფილმა კომისიამ შეიმუშავა იუბილეს მოწყობის გეგმა, რომელიც დასამტკიცებლად გადაეცა ცაკს და სახკომსაბჭოს.

◆ **მივლინება.** სახ. უნივერსიტეტმა ზოოტექნიკურ ცდების მეთოდიკის კურსებზე ლენინგრადში მიავლინა ლაბორანტი აგრონომი პ. გეგენავა.

◆ **რომში** საციებელი საქმის კომიტეტის კონგრესზე მიწვეულია სახ. უნივერსიტეტი.

მიწადმოქმედების სახ. კომისარიატში.

◆ **მიწადმოწყობა.** კომისარიატმა მაზრებში დაგზავნა მიწისმზომელების საჭირო რაოდენობა მიწადმოწყობის ჩასატარებლად.

◆ **მატყლი.** სახ. კომისართა საბჭოს წინაშე აღძრული იქნა შუამდგომლობა მატყლზე სტანდარტის დაწესების შესახებ.

◆ **თივა.** თივის დამამზადებელ განყოფილების გამგეთ დაინიშნა პ. ნუგეშიძე.

◆ **მიმდინარე** დოღის სეზონში დღემდე ყველა პირველი ჯილდოები მიიღო საქართველოს ცხენთსაშენის ცხენებმა.

სხვადასხვა.

◆ **მოხსენება ქაღალდის ფაბრიკის შესახებ.** პარასკევს, 3 ივნისს, საღამოს 8 საათზე, მუშათა სასახლის მცირე დარბაზში ამხ. **ყოჩიაშვილი** წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „მასიური წარმოების თანამედროვე ქაღალდის ფაბრიკა".

◆ **ახალი აგრონომიული პუნქტები.** სიღნაღის მაზრაში განზრახულია ახალი აგროპუნქტების გახსნა: წნორის წყალში და კაჭრეთში.

◆ **გუთნების და სხვა იარაღების გამოცდა,** მიწსახკომის თბილისის მანქანების გამომცდელ სადგურზე ამჟამად სწარმოებს სხვადასხვაგვარ გუთნების, სეტყვის საწინაალმდეგო შუშხუნების, ვენახების სასხურების და სხვა ხელსაწყოების გამოცდა.

ხელოვნება

სიმფონიურ ორკესტრის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

ორი კვირის მოგზაურობიდან დასავლეთ საქართველოში დაბრუნდა კონსერვატორიასთან არსებული ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრი.

44 კაცისაგან შემდგარმა ორკესტრმა სახალხო არტისტ **ივანე ფალიაშვილის** ხელმძღვანელობით გამართა კონცერტები ქუთაისში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ბათომში და ოზურგეთში.

ამ კონცერტებმა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვიეს დასახელებულ ქალაქების მოსახლეობაში.

სიმფონიურ კონცერტს ჰქონდა სამი პროგრამა: პირველი—ბეთჰოვენის ნაწარმოებნი (მეხუთე სიმფონია, ფორტეპიანოს კონცერტი. ვიოლინოს კონცერტი და უვერტიურები „ეგმონტი" და „ლეონორა") მეორე—ევროპიული მუსიკა (ჩაიკოვსკი—„გედის ტბა", ვაგნერი—„ლოენგრინი", იპოლიტოვ-ივანოვი—„კავკასიური ესკიზი", სპენდიაროვი—„ყირიმის ესკიზები" და სხვ.), მესამე—ქართული მუსიკა, რომელშიაც ძველ კომპოზიტორების **ზ. ფალიაშვილის, დ. არაყიშვილის და მელ. ბალანჩივაძის** გარდა შევიდენ აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორების **ანდრია ბალანჩივაძის**—„ფერხული". გრ. კილაძის „ქართული სიუიტა". ი. ტუსკიას—„ანდანტე ხალხურ თემაზე" და შ. თაქთაქიშვილის „ოროველა".

საზოგადოება დიდის აღტაცებით ეგებებოდა იქ მყოფ ახალგაზრდა ავტორებს, სოლისტებს **ვ. ნეიმანს** და **გ. გველესიანს** და ახალგაზრდა მომღერლებს **ლ. გერმისაშვილს** და **ი. კანდელაკს**.

ს. გ-ლი.

— **კონცერტი.** შაბათს 4 ივნისს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრში გაიმართება რაჭულ-ლეჩხუმური სიმღერების დიდი კონცერტი, ფერხული ცეკვა-თამაშით, მესტვირეთა დაკვრა-ღიღინით და სიტყვა-მაირობით, რასაც შეასრულებს „მომღერალ გლეხთა გუნდი".

ხელოვნების ქრონიკა

ხელოვნების მუშაკთა კლუბში

ორშაბათს 6 ივნისს მოხდება ხელოვნების კავშირის ვანო სარაჯიშვილის სახელობის საზაფხულო ბაღის გახსნა. მოეწყობა დიდი საღამო კონცერტი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ: მომღერლები მრავალი, ელიოზაშვილი, ინაშვილი, კავსაძე, ჭუმბურიძე, დეგასი, მესხიაევი და სხვა. შემდეგ გაიმართება ბალეტი გვარამაძის, ჩიკვაიძის, სერგეევის, გულულოვის და სულხანიშვილის მონაწილეობით. დაუკრავს ხელოვნების კავშირის სიმფონიური ორკესტრი და აღმოსავლეთური მუსიკა. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ფოცხვერაშვილის და ჩავლეიშვილის გუნდები.

◆ **ჟოზეფ სიგეტის კონცერტი.** 9 მაისიდან რუსთაველის საკონცერტო დარბაზში დაიწყება სკრიპკაზე ცნობილ დამკვრელის ჟოზეფ სიგეტის კონცერტები.

◆ **„ქურთის ქალი".** კვირას, სომხური დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება პიესა: „ქურთის ქალი".

◆ **საჩვენებელი საღამო.** 4 ივნისს „ჰაიარტუნში" გაიმართება პროფ. ამირაჯიბის ვოკალური სტუდიის საჩვენებელი საღამო.

◆ **თბ. სომხური დრამა.** საგასტროლოთ მიემგზავრება როსტოვში.

◆ **„მართალი აბდულა",** მ. ჯავახიშვილის მოთხრობა „მართალი აბდულა" ა. აუშტრიანმა გადათარგმნა სომხურათ.

— **ნაძალადევის მუშფაკი.** ნაძალადევის მუსიკალურ სასწავლებელში ყველა ფაკულტეტებზე გამოცდები დაიწყება 13 ივნისიდან.

◆ **წითელარმიელთა და ფლოტის სახლის** საზაფხულო კლუბი გაიხსნა 1 ივნისს (პლეხ. გამზირი).

— **ლეო ფალიაშვილის კონცერტი.** ლეო ფალიაშვილის კონცერტი გაიმართება 8 ივნისს. კონცერტზე შესრულებულ იქნება ადგილები ოპერა „ვეფხის ტყაოსნიდან".

— **„რობინ გუდ".** კვირას დილით (5 ივნისს) რუსთაველის თეატრში გაიმართება წარმოდგენა ბავშვთათვის. იდგმება „რობინ გუდ".

— **ახვლედიანის სურათების გამოფენა.** პარიზიდან ახლად დაბრუნებულ მხატვარ ქალის ახვლედიანის სურათების გამოფენა გაიხსნება 5 ივნისს.

— **„ამოკი" ქართულ ენაზე.** ლელი ჯაფარიძემ სთარგმნა ქართულ ენაზე ცვეიგის რომანი „ამოკი".

— **სამხატვრო აკადემიაში.** სტუდენტთა ნამუშევარის გამოფენა დაიხურება კვირას 5 ივნისს.

— **შეღავათიანი ბილეთები კლუბებში.** საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაადგინა: საზაფხულო კლუბებში კავშირის წევრთათვის შემოიღოს შეღავათიანი ბილეთები.

— **კლუბის გახსნა.** კვირას 5 ივნისს დილის 12 საათზე მოხდება საბჭოთა და სავაჭროთა კავშირის საზაფხულო კლუბის გახსნა.

აბრეშუმის პარკის ფასები

საბჭოთა კომისიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან დამტკიცებულია სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მიერ აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 1927 წლის მოსავლისათვის. ამ გეგმის თანახმად საბჭოთა კავშირში დამზადებული უნდა იქნეს სულ 427.000 ფუთი აბრეშუმის პარკი. ამიერ-კავკასიაში მთავარ დამამზადებელ ორგანიზაციებად დამტკიცებული არიან: „საქართველოს აბრეშუმი", კოოპერატ. ამხანაგობა „აბრეშუმი", „აბსოიუზი", „კეიბირლიგი" და „აიგიუხკოოპი". საშუალო სადირექტივო ფასებად ნედლ აბრეშუმის პარკის ყოველ ფუთზე აზერბეიჯანისთვის დაწესებულია 23 მანეთი, ხოლო საქართველოს და სომხეთისათვის—24 მანეთი, ხმელი პარკის ყოველ ფუთზე აზერბეიჯანისთვის —78 მან. 50 კაპიკი, ხოლო საქართველოს და სომხეთისათვის 82 მან. 50 კაპიკი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებს ენიჭებათ უფლება ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით პარკის ფასები გაადიდონ ან შეამცირონ 10 პროცენტის ფარგლებში. ხოლო ფასებს ნახევრად ხმელ პარკზე აწესებენ რესპუბლიკების ვაჭრობის კომისარიატები.

ბარიტი

ბარიტის წარმოების საქმეში ამიერ-კავკასიას მთელ საბჭოთა კავშირში უჭირავს პირველი ადგილი. უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელი მოპოვებული ბარიტის 80 პროცენტი ამოღებული ყოფილა საქართველოსა და აზერბეიჯანში, ურალის მთებში—14 პროცენტი, ხოლო შუა აზიაში—6 პროც.

1923 წელს საქართველოში ამოღებულია 1.015 ტონა, 1924 წ.—2.195 ტონა, 1925 წ.—4.481 ტონა, 1926 წ.—9.828 ტონა. ბარიტის მოპოების ასეთი სწრაფი ტემპით ზრდა აიხსნება იმ გარემოებით, რომ საკავშირო მრეწველობა ამჟამად საჭიროებს დიდძალ ბარიტის ნაწარმოებს. ამიტომ მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბარიტის წარმოების გაფართოებას და რეკონსტრუქციას. მიმდინარე წლისათვის ბარიტის წარმოების გასაფართოებლად საქართველოსათვის გადადებულია 250.000 მან., ხოლო აზერბეიჯანში—160.000 მანეთი. გადაწყვეტილია, რომ ბარიტის მოპოება ჩვენში კუსტარული წარმოების ხასიათიდან გადაყვანილ იქნეს უმაღლეს ტეხნიკურ საფუძვლებზე. მთავარი ყურადღება მიექცევა მაღაროებიდან ბარიტის ამოღების მექანიზაციას და ბარიტის წესიერი დამუშავების ორგანიზაციას.

ჩაი

კონფერენცია ჩაის მეურნეობის შესახებ.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ტეხნიკურმა საბჭომ გადასწყვიტა მიმდინარე წლის შემოდგომაზე მოიწვიოს სპეციალისტთა კონფერენცია ჩაის მეურნეობის და სხვა სუბტროპიკული მცენარეთა შესახებ. კონფერენცია მოწვეულ იქნება ჩაქვში სექტემბრის შუა რიცხვებში. კონფერენციაზე მთავარი ყურადღება მიექცევა ჩაის კულტურისა და ჩაის მცენარის დამუშავების საკითხებს. სხვა სუბტროპიკული მცენარეთა საკითხი განხილული იქნება იმდენად, რამდენადაც მათ ექნებათ სამრეწველო ხასიათი. სპეციალისტების გარდა, განზრახულია კონფერენციაზე მოწვეული იქნენ საბჭოთა კავშირის ცენტრ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის, კოოპერატივთა ცენტრალური კავშირის—„ცენტროსოიუზ"-ის, პრაქტიკული ბოტანიკის სრულიად საკავშირო ინსტიტუტის, საბჭოთა რუსეთის მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის, თავდაცვის ხელისშემწყობ საზოგადოება—ავიაქიმის და სხვა სამეცნიერო-სამრეწველო ორგანიზაციათა წარმომადგენლნი.

ნავთსადგურებში

ბათომის ნავთსადგურში.

ნავთსადგურების განყოფილებამ დაამთავრა მთელი რიგი სამუშაოებისა საქართველოს ნავთსადგურებში. ბათომის ნავთსადგურში დასრულებულია ღრმაფსკერიანი გემების მეხუთე მისადგომი, რომელშიაც უკვე სწარმოებს დიდი გემების მიმოსვლა.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მესამე ღრმაფსკერიანი გემთმისადგომის ასაგებათ, რომელიც დამთავრდება ამ რამოდენიმე დღის განმავლობაში.

ფოთის ნავთსადგურში.

ფოთის ნავთსადგურში შეკეთებულია ყველა გემის მისადგომები. დამთავრებულია აგრეთვე გემთშესაკეთებელი სამუშაოები. კაპიტალური რემონტი გაუკეთდა გემს „საბჭოთა საქართველო"-ს, რომელიც უკვე შეუდგა მუშაობას. მაისის დამლევს დამთავრდა მიწისამოსაღები მანქანის შეკეთება. ამ დღეებში ამ მანქანით დაიწყება მუშაობა ნავთსადგურებზე მისასვლელი არხების გასაღრმავებლად და გასაფართოვებლად.

სოხუმის ნავთსადგურში.

სოხუმის ნავთსადგურში მიმდინარეობს გემთმისადგომების და ნავთსაყუდების კაპიტალური შეკეთება, რომელიც დამთავრდება ამ ზაფხულზე.

რკინისგზებზე

ინჟენერთა ყრილობა

გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა აცნობა რკინის გზების სამმართველოს, რომ 1927 წლის 20 ივნისისათვის მოსკოვში მოწვეულია საბჭოთა კავშირის რკინის გზათა ქსელის წევის დარგის ინჟენერთა მორიგი სათათბირო ყრილობა. ამ ყრილობაზე ა.-კ. რკინის გზის ქსელიც გზავნის თავის წარმომადგენელს.

რკინის გზის ახალი ბაქანი

იონეთის შესაჩერებელი პუნქტი, რომელიც სამტრედიის ახლოს მდებარეობს, გადაკეთებულია რკინის გზის ბაქანათ, სადაც იწარმოებს კომერციული მუშაობაც.

შპალების გაჟღენთა

ახლად მოწყობილ გორის ქარხანაში დაიწყო შპალების გაჟღენთა კრეაზოტით.

კრეოზოტით ქარხნის რეგულიარულად მომარაგების მიზნით გამოყოფილია ცისტერნების სპეციალური პარკი—კრეოზოტის გადასახადათ.

ხელფასის გადიდება

გზათა კომისარიატის განკარგულებით ყველა დისპეჩერების უბნებზე მოძრაობის ხელმძღვანელები გადმოყვანილ არიან ტრანსპორტზე არსებულ სატარიფო ცხრილის მაღალ თანრიგში.

ეს დისპეჩერებს უდიდებს ხელფასს 5 მანეთით.

ნავთის გადაზიდვა

სპარსეთში ნავთის პროდუქტების გაძლიერებული გაზიდვის გამო, ა.-კ. რკ.-გზ. გამგეობამ ბაქოში გააძლიერა ნავთის ცისტერნების პარკი.

მატარებლების დაჯახება

ორ ივნისს დილით, დერბენტის რაიონში სადგურ ხურდოლანზე მოხდა მატარებლების დაჯახება. სადგურმა ერთ და იმავ დროს ორი მოპირდაპირე მიმართულებიდან მიიღო მატარებლები № 22 და № 399. მატარებელმა ნომერ 22 სადგურში შესვლის დროს ვერ შეაკავა თავისი შემადგენლობა და შეიჭრა მატარებელ № 395 - ის გვერდში. დაჯახების დროს დამსხვრა რვა ცარიელი ვაგონი. რომელნიც აცდენ ლიანდაგს. ნამსხვრევებით დაკავებულია მესამე და მეოთხე გზა. ბალაჯარიდან გაიგზავნა დამხმარე მატარებელი. მატარებელ № 395 ის კოოზე მიბმული სამი ვაგონი, მათ შორის, სათოქლმავლო ბრიგადის დასასვენებელი ვაგონი, უვნებლად გადარჩა. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. მატარებლის მიმოსვლა არ შეჩერებულა.

სასამართლო

მ. მარიამიძის საქმე.

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს პროკურატურაში შემოვიდა **მიხეილ მარიამიძის** საქმე.

მარიამიძე წ. წ. 21 ოქტომბერს ირიცხებოდა საქართველოს პასუხისმგებელ შრომის არტელის წევრად. მას დავალებული ჰქონდა ხაშურიდან ზესტაფონის ხაზამდე თანამშრომლებისათვის ჯამაგირების დარიგება. ერთხელ მარიამიძემ თბილისიდან მიიღო 111.400 მანეთი. სადგურ ხაშურში მას აღმოაჩნდა 1000 მანეთის დანაკლისი.

მარიამიძე დაპატიმრებულია.

ბოროტმოქმედება სატრანსპორტო კოოპერაციაში.

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **პ. ბურკაძის** თავმჯდომარეობით, დაიწყო „ზაკტპო"-ს მეხუთე მაღაზიის ყოფილ პასუხისმგებელ ნოქრების: **ივანე სარქისიანცის** და **ივანე ნაზაროვის** და ვაჭარ **მიხეილ როიტენბერგის** საქმის გარჩევა.

საქმის შინაარსი ასეთია:

მიუხედავად იმისა, რომ „ზაკტპო" უკანასკნელ ხანებში საკმაო რაოდენობით იღებდა ფართლეულობას, მუშები—კოოპერატივის წევრები — საყვედურს აცხადებდენ იმის გამო, რომ პირველ ხარისხოვანი საქონელი ხშირად ხელში უვარდებოდა სპეკულიანტებს.

ამ საქმის გამო დაპატიმრებული იქნა ვაჭარი მ. როიტენბერგი. მან განაცხადა, რომ იგი შეთანხმებული იყო „ზაკტპო"-ს მეხუთე მაღაზიის ნოქრებთან—სარქისიანთან და ნაზაროვთან, აძლევდა მათ ერთგვარ „გასამრჯელოს" და საშუალება ჰქონდა შეეძინა კოოპერატივიდან საუკეთესო საქონელი, რომელსაც შემდეგ გადიდებულ ფასებში ჰყიდდა კერძო ვაჭრებზე.

დაპირდაპირების დროს სარქისიანცი და ნაზაროვი გამოტყდენ დანაშაულში.

ელექტრონის მომწესრიგებელ სამმართველოს თანამშრომელთა პროცესი.

გუშინდელ სხდომაზე დასრულდა მხარეთა კამათი. დღეს უკანასკნელი სიტყვა მიეცემა ბრალდებულებს და საღამოს 7 საათზე გამოტანილი იქნება განაჩენი.

მოკვლის განზრახვა.

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოში ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით, სახალხო მსაჯულების: **მეზურნოვის** და **უმბრიევის** მონაწილეობით გაირჩა **გარნიკ ბაზშეციანცის** საქმე.

ბრალს სდებდა პროკურორი **ლ. ჯანჯღავა**, ბრალდებულს იცავდა დამცველთა კოლეგიის წევრი **შ. ნუცუბიძე**.

როგორც ვწერდით, ბრალდებულმა ბაზშეციანცმა მოკვლის განზრახვით 15 ჭრილობა მიაყენა დანით **ლონჩინსკაიას** ქალს.

სასამართლომ ბაზშეციანცი დამნაშავედ სცნო წარდგენილ ბრალდებაში და მიუსაჯა მას რვა წლით თავისუფლების აღკვეთა სასტრიქი იზოლიაციით.

გაფლანგვა რუსთაველის თეატრში.

გუშინ პირველი უბნის სახალხო სასამართლოში ამხ. **გ. სარდლაშვილის** თავმჯდომარეობით დაიწყო რუსთაველის თეატრის ყოფილ მთავარ მოლარის **დიმიტრი ჩიკვაიძის** საქმის გარჩევა.

ბრალს სდებს პროკურორი **ს. გრიგოლია**, ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **საყვარელიძე**, სამოქალაქო მოსარჩლის მხარეს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **ხუხუნი**.

გასულ წელს თეატრის მოლარეს **თამარ გიორგის ასულ ჭავჭავაძეს** სალაროში დააკლდა 600 მანეთი. ჭავჭავაძის ქალმა განაცხადა, რომ აღნიშნული თანხა მან უხელწერილოდ გადასცა მთავარ მოლარე ჩიკვაიძეს. მოხდა რევიზია; რევიზიის დროს თ. ჭავჭავაძეს სალაროში აღმოაჩნდა დავალიანება 1944 მანეთის რაოდენობით. ეს დავალიანება მან, 600 მანეთის გარდა, დაფარა და გადაჭრით განაცხადა, რომ 600 მან. გადაცემული აქვს ჩიკვაიძისათვის. დაკითხულ იქნა მთელი რიგი მოწმეები, რომლებმაც დაადასტურეს, რომ 600 მანეთი ჭავჭავაძის ქალმა გადასცა ჩიკვაიძეს. ამის გამო ჩიკვაიძე პასუხისგებაში მისცეს.

სასამართლოში ბრალდებულმა ჩიკვაიძემ თავი არ სცნო დამნაშავედ 600 მანეთის გაფლანგვაში და განაცხადა. რომ ჭავჭავაძის ქალს ფულების მიღების დროს ყოველთვის აძლევდა ხელწერილს.

გუშინ სწარმოებდა მოწმეების დაკითხვა.

ბოროტმოქმედება ა.-კ. ვაჭრობის ბანკის განყოფილებაში.

პროკურატურამ დაამთავრა კვლევა-ძიება ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის ბანკის განყოფილებაში მომხდარ ბოროტმოქმედების შესახებ. ბრალი ედებათ განყოფილების გამგეს **კენანს** და საწყობების გამგეს—**ალა ალიევს**. კვლევა-ძიებით დამტკიცდა, რომ საიმპორტო საქონელი, რომელიც უმაღლეს ორგანოების დირექტივების თანახმად მიყიდული უნდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებზე. იყიდებოდა კერძო ბაზარზე, მაშინ, როცა ამ საქონლის დიდ ნაკლებობას განიცდიდენ სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანოები. კერძო პირებს საქონელი ეძლეოდათ კრედიტით და დიდი შეღავათით. ვიღაც **ალი ხასანოვს** კენანისაგან მიუღია 13.000 მანეთის საქონელი, აქედან ხასანოვს მიუთვისებია 5.500 მანეთი. საქონელი კერძო პირებს ეძლეოდათ ყოველგვარ გარანტიის გარეშე, რის გამოც ღია ანგარიშების მიხედვით მიყენებული ზარალი 114.248 მანეთს უდრის, ხოლო მთელი ზარალი, რომელიც კენანისა და ალიევის „მოღვაწეობამ" მიაყენა სახელმწიფოს, აღემატება 207.500 მანეთს. კვლევა-ძიებით გამოირკვა აგრეთვე, რომ ალიევი არის ცნობილი კონტრ-რევოლიუციონერი. რომელიც მონაწილეობას ღებულობდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ კონტრ-დაზვერვაში მუსავატელების დროს.

საქმის გარჩევა დაიწყება ამ მოკლე ხანში.

საქმე მიწის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ქობულეთის მაზრაში

ბათომი, 2 ივნისი. აჭარისტანის უზენაესი სასამართლოს გამსვლელმა სესიამ ქობულეთში გაარჩია საქმე მიწის ყიდვა - გაყიდვის შესახებ ქობულეთის მაზრაში. პროცესმა მიიზიდა დიდძალი ადგილობრივი გლეხობა.

ბრალდებულის სკამზე სხედან: ქობულეთის სამაზრო აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე **დურსუნ ტაბიძე**, სამაზრო პარტკომის მდივანი **მეჯიდ კაკალაძე**, მილიციის უფროსის ყოფილი მოადგილე **რიზა ბეჟანიძე** და მაზრის ყოფილი მეტყევე **მამედ თხილაიშვილი**; მათ ბრალად ედებათ მიწის გაყიდვა. მათთან ერთად პასუხისგებაში არიან მიცემული მიწის მყიდველნი—**ანანიძე, შიშიტაშვილი, კაკალ-ოღლი და ჰუსეინ შარაშიძე.**

ბრალდებულმა ხასან თხილაიშვილმა, რომელსაც ორი სახლი ქონდა ქობულეთში, მიიღო საფონდო მიწა, რომელზედაც ააშენა მესამე სახლი, თავისი საკუთარი მიწა კი მიჰყიდა წითელი ნახევარ მთვარის თავმჯდომარის ყოფილ მოადგილეს **ჰუსეინ შარაშიძეს. დურსუნ ტაბიძემ** სხვადასხვა გვარი მახინაციების საშუალებით მიღებული საფონდო მიწა მიჰყიდა კულაკს. ამგვარივე ბრალდებები აქვთ წარდგენილი დანარჩენ ბრალდებულებსაც.

სასამართლომ ბოროტმოქმედება დამტკიცებულად სცნო და მიწის გამყიდველებს მიუსაჯა თითო წლის ციხე; ანანიძეს, შოშიტაშვილს და კაკალ-ოღლის მიუსაჯა ოთხ-ოთხი თვის ციხე; ჰუსეინ შარაშიძეს ერთი წლის ციხე. გაყიდული მიწა ჩამორთმეულ იქნა.

ქუთაისი

ზესტაფონის „კოოპერატორები"

ზესტაფონის კოოპერატივ „განათლება"-ში მოხდა ისე, როგორც „დედა-ენაშია" ნაწინასწარმეტყველევი:

— მოდი, ვნახოთ ნავთი, რამ შეჭამა ნავთი?

მიველ. ვნახე ნავთი...

მაგრამ. უკაცრავად, მისვლით მართლაც მივი- მაგრამ სწორედ ეს ნავთი ვერ ნახა სარევიზიო კომისიამ და ვერც გამოარკვია:

— რამ შეჭამა ნავთი!

ვენახი რომ ყოფილიყო, კიდევ—ჰო, თხა მაინც შეჭამდა, თუ არ შეჭამდა—შეაჭმევდენ, „რამეთუ თხა" ხატრიანი ცხოველია.

მაგრამ ნავთი?

მერე რა ნავთი:

— „ავ თვალს არ ენახებოდა"!

და ასეთი ნავთი აღარ დახვდა სარევიზიო კომისიას!

ვისთან მისულიყვენ, ვისთვის ეკითხათ?

მივიდენ საწყობის გამგე **მოსე გელაშვილთან** და მიუმღერეს:

— მოსე, მოსე შენსა მზესა
სად წავიდა ნავთი დღესა?

მოსეს არ ყვარებია გრძელი „არიები" და მოკლეთ მოუჭრა კომისიას:

— **დაიღვარა!**

ან ჩვენ რატომ გავაგრძელოთ სიტყვა? რაკი მოსე ბრძანებს „დაიღვარაო"—ჩვენც უნდა ვერწმუნოთ, რომ ნავთი მართლაც დაიღვარა და, ალბათ, მანვე წალეკა ის 222 მანეთი ჩერვონცებით, რომელიც მოსეს უნდა წარედგინა ცეკავშირში.

ასე იცის ზესტაფონურმა „განათლებამ".

აქ ნავთსა და სხვა საკოოპერაციო საქონელს საკმაოდ აქვს ფასი დაკარგული, თორემ გამგეები და ნოქრები სწორეთ ძველებურათ, ჩვენებურათ ფასდებიან, აი, ისე, როგორც ნათქვამია:

— ათასად კაცი დაფასდა, ათიათასათ ზრდილობაო!

მართალია, საცალო ფასების დაკლების შემდეგ, ყველაზე უფრო კოოპერატივ „განათლებაში" ზრდილობა გაიაფდა, მაგრამ კაცი მაინც ძველებურათ ფასობს და ათასზე ნაკლები ჯერჯერობით მხოლოდ ორი ნოქარი დაუჯდათ ს. წულაია და კ. სალაძე—რომელთაგან პირველს 834 მან. 23 კაპ. შემოეჭამა (კი არ შეუჭამიათ, შემოეჭამათ!) ხოლო კ. სალაძეს—443 მან. 37 კ. რაც შეეხება მეორე მაღაზიის გამგე **ნ. ნიკაჭაძეს** მისმა ღირებულებამ 1.029 მანეთამდეც მიაღწია.

თქვენ იძლევით კითხვას:

— რამდენილა შეაფასეს გამგეობის წევრთა: შ. ყანჩაველის, პ. თაბუკაშვილისა და კ. ბარამიძის **მცონარეობა?**

— ნავთსა და მისგან წალეკილ ჩერვონცებს, ე. ი. 1,254 მან. 66 კ.+1,029 მ. 58 კ.+834 მან. 23 კ.+443 მან. 37 კ.=3,561 მან. და 84 კაპ.

ეს გახლავთ გამგეობის წევრთა მცონარეობის თვითღირებულება, რომლის შესახებაც ამ დღეებში გამოტანილ იქნება დასავლეთ საქართველოს სასამართლოს განაჩენი.

ზ.

მუშა კარაევის თავგადასავალი

— რამ ჩამოიყვანა მუშა კონსტანტინე კარაევი თავის ოჯახობით ძიროულაში?

მართალია, მანამდე მან ტყიბული და ჭიათურა მოიარა, მაგრამ მისი სულიერი სიმშვიდე სწორეთ ძიროულაში შეირყა.

რატომ, რამ შეარყია?

უბრალო რამემ:

— დაბინავდა ცოლით პეტრე გრადნოვთან და ეს დაბინავება შეიქნა მისთვის საბედისწეროც.

სწორედ დაბინავებიდან ერთი თვის შემდეგ კარაევი ამჩნევს, რომ მეუღლე მისი ისეთი ალერსით აღარ ხვდება „თავის კოსტიას", როგორც წინეთ. აღარც ეფერება. ცხვირსაც უზზუებს.

იმავე დროს...

კოსტია კარაევი გულს ებრძვის გრძნობას არ იმორჩილებს...

შეიძლება დიდხანსაც გაგრძელებულიყო ასე. მაგრამ აი, ერთ დღეს,—და ეს დღე 1926 წლის 10 ოქტომბერი იყო, კოსტია ძიროულის მაღაროებიდან ბაზრისაკენ მიემართება სანოვაგის შესაძენათ.

სანოვაგეს იძენს და ბრუნდება.

მაგრამ ცოლი, ცოლი სადღაა?

მწარე ეჭვები იპყრობს შრომით მოქანცულ კარაევს. გული ეთანაღრება. თვალებს უაზროთ აცეცებს. ეძებს ვიღაცას.

აგერ, ისიც:

— შეწითლებული და გაწეწილი თმით მორცხვათ ჩამოდის კარაევის მეუღლე სახლის ჭერიდან...

რა უნდოდა ჭერზე? რატომაა დარცხვენილი? ყოველივე ეს ელვის სისწრაფით გაუვლის თავში კოსტიას და იგი იმავე სისწრაფით ავარდება ჭერზე.

ავარდება და... პეტრე გრადნოვს მოჰკრავს თვალს.

სიჩუმე.

კოსტია სდუმს, პეტრეს რაღა აქვს საორატორო?

უხმოთ, უსიტყვოთ განშორდებიან ერთმანეთს.

მეორე დილით ანგარიშს მიიღებს კარაევი, ცოლსა და სამსახურს სტოვებს და მიდის. მიდის და თან მიაქვს მძიმე, მტანჯველი ფიქრები.

შევა კანტორაში, ბუხარს მიუჯდება და კვლავ ფიქრობს. ებრძვის მწარე ფიქრებს, თითქოს არ აძლევს მათ გასაქანს, მაგრამ როდემდის?

— განვლილ დღეთა სიტკბო, განვლილ ალერსის სითბო და მოულოდნელათ ლევდატეხილი უბედურება!

დუქნისაკენ მიეშურება.

საღამოს ჟამს უკვე მთვრალი მიაბიჯებს კარაევი კვლავ სახლისაკენ, მას ჩექმის ყელში გალესილი დანა აქვს!

მომღიმარი სახით მიუახლოვდება ცოლი:

— ჩემო ძვირფასო, მე შენ კარგი საჩუქარი მოგიტანე!

და ზედ გულზე დაჰკრავს დანას.

ქალი კვდება. კოსტიასაც მეტი არაფერი უთქვამს.

საბოლოო სიტყვას დასავლეთ საქართველოს სასამართლო იტყვის.

ზ. რიონიძე.

შემთხვევები

წონა-ზომის ლაბორატორიის გამქურდავთა დაპატიმრება.

ამ რამოდენიმე ხნის წინად მორგებული გასაღების საშუალებით გაჰქურდეს სახელმწიფო წონა-ზომის პალატის ლაბორატორია (პლეხანოვის პროსპექტი, № 117). წაიღეს 500 ცალი ტერმომეტრები, ღირებული 750 მანეთამდე.

ტერმომეტრები ეკუთვნოდა „სახმედვაჭრობის" სამმართველოს.

სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ერთი ბოროტმომქმედთაგანი. იგი აღმოჩნდა **მირიან გიორგაძე.**

გიორგაძემ გამოამჟღავნა ბოროტმოქმედების ნამდვილი სურათი.

გამოირკვა, რომ მთავარი ბოროტმომქმედი იმალება ხაშურში. გუშინწინ ხაშურში გაემგზავრა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომელი **ალ. ჯიქია**, რომელმაც დააპატიმრა ბოროტმომქმედი და ჩამოიყვანა თბილისში. ის აღმოჩნდა **ივანე (ვანიჩკა) ბეროზაშვილი.**

გამოირკვა, რომ ბეროზაშვილს 450 ტერმომეტრი გაუსაღებია ქუთაისსა და თბილისში.

ბეროზაშვილი გამოტყდა დანაშაულში.

ნაქურდალი ნივთების ნაწილი აღმოჩენილია. კვლევა-ძიება სწარმოებს.

ბავშვის დაკარგვა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადეს, რომ უგზო-უკვლოდ დაიკარგა 13 წლის **ცოლაკ აპრესიანი** (ტატიანის ქ., № 6).

გეოდეზიური ხელსაწყოების აღმოჩენა.

გუშინ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლებმა კერძო ბინაზე აღმოაჩინეს გეოდეზიური ხელსაწყოები: არიფმომეტრი, კომპასი, პანტომეტრი, ნიველირი, ტელეფონის ნაწილები, ახალტიპიური სასწორები, პლანიმეტრი, [illegible] და სხვა.

აღნიშნული ხელსაწყოები ჩამორთმეული იქნა. დაწესებულებას სთხოვენ ხელსაწყოების გამოსაცნობად გამოგზავნონ სპეციალისტები, რომლებიც უნდა გამოცხადდენ ს. ს. მილიციაში, ოთახი № 15, **ბ. ბარკალაიასთან.**

სახლის დანგრევა.

გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზე, მოსკოვის ქუჩაზე დაინგრა სახლი № 11 შენობის ერთი მხარე. საჩქაროდ გამოძახებულმა ცეცხლისმქრობელმა რაზმმა დაანგრია შენობის დანარჩენი კედლები.

ამ ერთი თვის წინედ ქალაქის აღმასკომის განკარგულებით შენობა განთავისუფლებულ იქნა მცხოვრებთაგან.

მსხვერპლი არ ყოფილა.

◆ **მორგებული** გასაღების საშუალებით ლენინის ქ. № 31 ლავრენტი ჩხენკელის ბინიდან მოიპარეს 300 მ. ნივთები.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** ჯიბგირობისათვის 1 ივნისს დააპატიმრეს მცირეწლოვანი ვართან ვართანიანცი.

◆ **მარცხი.** ღამით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონს შეახტა 8 წლის ბავშვი ბორის მატუშენკო, რომელიც გადმოხტომისას დაეცა და მძიმედ დაშავდა. საავადმყოფოში გამოირკვა, რომ ბავშვს ტვინი შერყევია.

◆ **მარტყოფის** სამილიციო რაიონში სხვადასხვა ბოროტმოქმედებისათვის შეიპყრეს დათიკო ესტატეს ძე კანდელაკი.

◆ **ქურდობისათვის** 1 ივნისს შეიპყრეს ალექსანდრე გიორგის ძე ოქროპირიძე.

— ამავე დღეს პაპიროსებით მოვაჭრე მარიამ ეგანოვისათვის ფულის გამოტაცებისათვის დააპატიმრეს ლევან ტერ-დავითიანცი და ეფრემ არამიანცი.

◆ **ფეხის გადაჭრა.** 27 მაისს თბილისიდან მიმავალმა მატარებელ № 20-მა ფეხი გადასჭრა ზაჰესის მუშას გიორგი გოდერძიშვილს.

◆ **თავდასხმა.** 29 მაისს სოფ. გიორგიწმინდაში (საგარეჯოს თემი. თბ. მაზრა) ბოროტგანმზრახველები სოლომონ ხოზარაშვილი და დიმიტრი მეგოკიშვილი თავს დაესხენ ამავე სოფლის ხარაზ გიორგის, რომელსაც წაართვეს 100 მანეთი და გააუპატიურეს 14—15 წლის ქალიშვილი. მილიციის მიერ მიღებული ზომებით ბოროტგანმზრახველები შეპყრობილ იქნენ.

ბიბლიოგრაფია

ტყის დღე

კრებული მეორე. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამოცემა.
თბილისი 1927. გვ. 186. ფასი 1 მ. 20 კაპ.

საქართველოს ტყეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ იგი ჩვენი ქვეყნის ერთი უძლიერესი სამეურნეო დარგთაგანია, მისი დაცვით და განსაკუთრებით **საკურორტო** მნიშვნელობა მას საქვეყნო ყურადღების საგნად ხდის. ამისათვის დიდი სიფრთხილეა საჭირო მისი დაცვისათვის. ამ მიზნით უკვე მეორე წელია, რაც საგანგებო ტყის დღეები ეწყობა ჩვენში, ტყის მნიშვნელობის, მისი დაცვის და მოვლის საჭიროების მასსიურად შესაგნებლად. კრებულის რედაქცია წინასიტყვაობაში განმარტავს ამ დღის მნიშვნელობას: „ტყის დღე" არის არა მარტო საზეიმო, არამედ იგი არის დღე შრომისა, სატყეო მეურნეობის გადასარჩენად, ეს დღეა—გამმაგრებელი ჩვენი სახალხო მეურნეობისა".

აღსანიშნავია. რომ ამ მეორე კრებულს ემჩნევა დიდი გაუმჯობესება პირველ წიგნთან შედარებით. წიგნში მოცემულია მდიდარი მასალა ტყის მნიშვნელობაზე, მისი დაცვისა და სატყეო მეურნეობის გონიერად წარმართვის შესახებ. შესავალში მოცემულია ხელმძღვანელ პარტიულ და სამეურნეო ორგანოების ცირკულიარები ქვემდებარე ორგანოებისადმი, რომლის შემდეგ წიგნი გაყოფილია სამ განყოფილებათ; ხელისუფლების პასუხისმგებელ პირების წერილები ტყის დღეზე, მეცნიერული წერილები სატყეო მეურნეობის შესახებ და მხატვრული განყოფილება.

ამხ. მ. ცხაკაია. ა. გეგეჭკორი. ს. თოდრია, კ. ხომერიკი, ერთხმად აღნიშნავენ ტყისადმი დიდი სიფრთხილით მოპყრობის აუცილებლობას, ტყის მეურნეობის გონიერად წარმოებას და მისი მოვლით, ჩვენი ქვეყნის ამ უდიდეს სიმდიდრეზე ზრუნვას. მეორე განყოფილებაში აღსანიშნავია ს. ბაქრაძის პატარა წერილი, რომელშიაც ორიგინალური აზრებია გამოთქმული და პროფ. ს. ქურდიანის ორი დიდი წერილი: „ტყის ჭრა და ტყის გაშენება" და „ბუნების ძეგლები, მათი გამოყოფა და დაცვა". პროფ. ს. ქურდიანი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტყის მეურნეობა მხოლოდ მაშინ შეიძლება გონიერად იქნას წარმართული, როდესაც ტყის მოჭრასთან ერთად, ტყის აღმოცენება იქნება დაკავშირებული. ტყის გაჩეხვა მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ სამაგიეროდ ხელს შეუწყობთ ახალი ტყის გაშენებას, მის ხელახლად გაზრდას, რაც ასე ადვილია სატყეო მეურნეობაში, თუ გონიერ ხელმძღვანელობას ექნება ადგილი.

საკითხის მნიშვნელობა, მდიდარი შინაარსი და ლამაზი გამოცემა, წიგნს ჩვენი გლეხური ბიბლიოთეკის ერთს საუკეთესო წიგნად გახდის.

წრფელად ვუსურვებთ ამ ძვირფას წიგნს ფართედ გავრცელებას.

ვ. მ—ა.

ქართული ხალხური პოეზია

(კრიტიკული მიმოხილვა)
ვლადიმერ ბოკერიასი
გვერდი 32, ფასი 60 კაპ. 1927 წ.

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ქართული ზეპირსიტყვიერება საერთოდ საფუძვლიანად შესწავლილი არ არის. ქართული ხალხური პოეზიის დღემდე არსებული კრიტიკა თანამედროვე მკითხველისათვის თითქმის მიუღებელია.

ასეთ პირობებში მოქ. ვლ. ბოკერიას აღნიშნული წიგნაკი, საყურადღებოა: წინასიტყვაობაში ავტორი გამოსთქვამს აზრს, თუ რა მნიშვნელობისაა ხალხური პოეზია და გვპირდება მასალის გაშუქებას მარქსისტული თვალთახედვით—დიალექტიური მეთოდით.

შემდეგ მიდის თავი „ხალხური პოეზია და მისი პერიოდებად დაყოფა".

ავტორი იწყებს იმით, რომ ყველაფერი ცვალებადია, ცვალებადობას ის უკავშირებს არსებობისათვის ბრძოლას, შრომას და საზოგადოებრივი ცხოვრებას. ეხება მეტყველების წარმოშობას, ვადადის მეტყველება-აზროვნება და პოეზიის კლასიურობაზე, მოყავს ამისათვის ლიტერატურული საბუთები და ასკვნის, რომ პოეზია-აზროვნება—ზედნაშენია ეკონომიკის. ეკონომიკა—მეურნეობის ისტორია ავტორს მიაჩნია გასაღებად კულტურულ ისტორიისათვის და ამიტომ ხალხურ პოეზიას ყოფს ორ ხანად: ქართული ხალხური პოეზია პირველყოფილ პრიმიტ. მეურნეობის ხანაში და ქართული ხალხური პოეზია ნატურ. ფეოდალურ მეურნეობის ხანაში.

წიგნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

1) ქართული ხალხური სიტყვიერება უნდა დაყოფილიყო არა ორად, არამედ სამ ხანად: ა) პირველყოფილ პრიმიტ. მეურნეობის, ბ) ნატურალურ-ფეოდალურ მეურნეობის და გ) კაპიტალისტური მეურნეობის ხანად.

2) ამირანი, როგორც „მოხეტიალე სული" არის აღმოსავლეთში. დასავლეთში კი პრომეთეა. ამის შესახებ წიგნში არაფერია ნათქვამი.

3) წიგნი კონსპექტიურადაა შედგენილი. საჭირო მომავლისათვის მეტი მასალების მოყვანა და აქრიგად საკითხის გაღრმავება, გაფართოება ისე, რომ ამოწურული იყოს „ქარ. ხალხ. პოეზია" მთლიანად.

პლ. ნადარაია.

მეცნიერება და ტეხნიკა

ხის გაჟღენთა გოგირდით

შეერთებულ შტატებში წარმატებით დასრულდა ცდები ხის გაჟღენთისა გოგირდით. ამ ცდებმა ისეთი მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღეს, რომ უცხოეთის გაზეთების ცნობით, ხის დამამუშავებელ მრეწველობაში იწყება სრულიად ახალი ხანა.

გოგირდი არა მარტო იცავს ხეს დალპობისაგან, არამედ, აგრეთვე, ამაგრებს მას და აშძიმებს, უბრალო ჯიშის ხეებიც, გოგირდით გაჟღენთის შემდეგ, სამჯერ უფრო გამძლე აღმოჩნდენ, ვიდრე გაჟღენთამდე და საუკეთესო საამშენებლო მასალად გადაიქცენ.

გოგირდს ათბობენ 140—160 გრადუსამდე, შემდეგ ტემპერატურას უკლებენ 120 გრადუსამდე და ამ მდგომარეობაში სტოვებენ ხის გაჟღენთის პროცესის დასრულებამდე, ე. ი. 5-6 საათს. ხე ისრუტავს გოგირდის დიდ რაოდენობას —თავისი წონის 40—60 პროცენტს, ნაძვი კი—75 პროცენტსაც.

რენტგენის სხივების გავლენა ნათესებზე

დღემდე ითვლიდინ, რომ ნათესებს განათება რენტგენის სხივებით მათზე ცუდ გავლენას ახდენს. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამერიკელმა მცენარეთა ფიზიოლოგმა **იაკობსონმა** ქ. კემდენში (ნიუ-ჯერსის შტატი) გამოარკვია, რომ რენტგენის ზომიერი სხივების გამოყენება სასოფლო მეურნეობაში შედარებით კარგ შედეგებს იძლევა.

წინანდელი ცდების უარყოფითი შედეგებს იაკობსონი ხსნის იმით, რომ სარგებლობდენ მაგარი სხივებით და განათებასაც ხანგრძლივი ხასიათი ჰქონდა.

იაკობსონმა მოახდინა ცდები სათბურებში და დარწმუნდა, რომ რენტგენის სხივებით განათების დროს ბოსტნეული იზრდებოდა უფრო ჩქარა, ვიდრე გაუნათებელ სივრცეზე, ჰკნებოდა 2—3 კვირით ადრე და ადრევე იძლეოდა ნაყოფსაც. მოსავალი 150—170 პროცენტით მეტი იყო, ვიდრე ნორმალურ პირობებში.

რბილი რენტგენის სხივების დადებითი გავლენა შენიშნეს ქართველობაზეც. რომელიც იძლეოდა 35 პროც., 107 პროც. და 170 პროცენტით მეტ მოსავალს, ვიდრე გაუნათებელ სივრცეზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივი სინათლე უარყოფით გავლენას ახდენდა რენტგენის სხივებით განათებულ ქართობილზე.

ნარევი

ესტონეთი — გადაგვარების გზაზე

საფრანგეთის პრესა გულს იმშვიდებს აღმოჩენით, რომ მარტო საფრანგეთი არ ადგია გადაგვარების გზას. როგორც ჟურნალი „ლანდატურ" იუწყება, ამ მხრივ საფრანგეთს „სერიოზულ მეტოქეობას" უწევს პატარა ესტონეთი. უკანასკნელი აღწერის მიხედვით, ესტონეთი ყველაზე არამჭიდროთ დასახლებული ქვეყანაა ევროპაში: იქ ერთ კვ. კილომეტრზე მოდის მხოლოდ 23 მცხოვრები. დაბადებათა რიცხვი ძლიერ მცირეა და ყოველწლიურად კლებულობს. 1912 წ. თითეულ 1.000 მცხოვრებზე მოდიოდა 25 ახალშობილი, 1922 — მხოლოდ 19. ძლიერ დიდია ესტონეთში სიკვდილიანობის პროცენტი, რომელიც შეუჩერებლივ იზრდება და სჭარბობს დაბადებათა პროცენტს.

ქონდრის კაცების ახალი მოდგმის აღმოჩენა

ამერიკულმა სამეცნიერო ექსპედიციამ **სტირლინგის** მეთაურობით ახალ გვინეაში აღმოაჩინა ქონდრის კაცების (კარლიკების) დღემდი სრულიად უცნობი მოდგმა. მათი სიმაღლე არ აღემატება 135 სანტიმეტრს. მთელი მათი „ტანსაცმელი" შესდგება პატარა წელსაკრავიდან და ბადედან. რომელსაც თავზე იხურავენ. საჭმელად ისინი უმთავრესად ხმარობენ ბოსტნეულს, აქვთ კარგი ბაღები, მოჰყავთ თამბაქოც, რომელსაც 4 წლის ბავშვებიც კი ეწევიან. ქოხებში არაჩვეულებრივი სისუფთავე აქვთ დაცული, დიდ მზრუნველობას იჩენენ ბავშვების მიმართ. დღემდე სარგებლობენ ქვის იარაღებით.

ამ ქონდრის კაცებს ორიგინალური ჩვეულება აქვთ. მაგ., მამაკაცმა, რომელიც ქალს ირთავს, წინასწარ უნდა დაამტკიცოს თავისი „ვაჟკაცობა". ნიშნავენ ორ კაცს, რომლებმაც მას ისრები უნდა ესროლონ. ნიშანში ამოღებულმა ისე უნდა აიცილოს ეს ისრები, რომ ადგილიდან არ დაიძრას.

ქალს, რომელიც მოსცილდება თავის პირველ ქმარს, სჭრიან საჩვენებელ თითს, სახსარში. თუ ეს ქალი მეორე ქმარსაც მოსცილდება, საჩვენებელ თითს სჭრიან მეორე ხელზე.

საინტერესოა კიდევ ის, რომ თითეულ ოჯახს (გვარს) ყავს ძაღლების განსაზღვრული რაოდენობა. ძაღლებს მიკუთვნებული აქვთ განსაკუთრებული სახელები, რომლებიც მემკვიდრეობით გადაიცემა. ამ ძაღლებს აქვს მოკლე ბალანი და, ექსპედიციის აზრით, მოკლებული უნდა იყონ ყეფის უნარს.

მესტამბეები და გამომცემლები შეერთ. შტატების კონგრესში

გამომცემლები და სტამბების პატრონები დიდი გავლენით სარგებლობენ შეერთებულ შტატებში. კონგრესის (სენატი და წარმომადგენელთა პალატა) 534 წევრიდან 260 მესტამბე და გამომცემელია. კონგრესში მათ აქვთ საკუთარი ბიურო და პრეზიდიუმი.

იურიდიული დახმარება

ქალაქის განაპირა უბნებში აღმშენებლობის შესახებ

რკინის გზელ კოზმა კოხ-იძეს

პასუხი

ქალაქის განაპირა უბანში შენობის აგების მსურველმა უნდა წარადგინოს თბილისის აღმასკომის კეთილ მოწყობის ქვე განყოფილებაში სათანადო პროექტი ორ ცალად და უძრავ ქონებათა სამმართველოს მიერ შენობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის მიცემის შესახებ მოწმობის ასლი. თვით პროექტი უნდა შეიცავდეს შემდეგ ნახაზებს (ცნობებს):

1) გენერალურ (საერთო) გეგმას ზომთსადარით—1/500.
2) შენობათა გეგმას ზომთსადარით—1/1000.
3) „ჭრილებს" და „წინამოებს"—1/50.
4) საწარმოო ზომთსადარში ზომა აღნიშნული უნდა იქნეს მეტრებით.

თვითნებობით კი, როგორც ეს დღემდე ხდებოდა) ქალაქის განაპირა უბნებში (გარეშე ზემო ჩამოთვლილ წესებისა) არ დაიშვება აგება არავითარი (არც მუდმივი და არც დროებით ხასიათის) შენობებისა და ამ წესების დამრღვევნი დაჯარიმებული იქნებიან ასი (100) მანეთით ან და დაპატიმრებული სამი თვის ვადით.

ასეთი წესები, ამხანაგო, იმიტომაა გამომუშავებული და სამოქმედოდ შემოღებული, რომ განაპირა უბნებში არ ექნეს ადგილი შენობების უაზრო, უშნო აგებას. ქუჩების და მოედნების მოწყობას უგეგმოდ, უწესოდ მიზანშეუწონლად და ულამაზოდ.

მიზანშეწონილ ლამაზ და გეგმიან აღმშენებლობას კი აღმასკომი ხელს უწყობს ყოველმხრივ. (იხ. თბილისის აღმასკომის 1927 წ. 29 აპრილის დადგენილება № 115. გამოქვეყნებულია თბილისის საბჭოს „მოამბე"-ში გვ. 99 1927 წ. აპრილში).

შვებულების ხანგრძლივობის შესახებ

ს. მ. უ. ს.-ის ტყის მრეწველობის ტრესტების ბათომის განყოფილების თანამშრომლებს დ. კუნჭულიას და დათა ჩხაიძეს

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 114-ისა, ადმინისტრაციისათვის სავალდებულო მორიგი შვებულების მიცემა მხოლოდ ორი კვირის ხანგრძლივობით საკალენდრო წლის განმავლობაში (ერთხელ). თუ კი კოლექტიურ ხელშეკრულებაშია ან და ადმინისტრაციასთან პირად შეთანხმებაში შვებულება არ არის გაგრძელებული კიდევ ორი კვირით, ან მეტი ხნით.

თუ მუშა მოსამსახურემ ჩვეულებრივ (ჯანმრთელობისათვის არა საზიანო) სამუშაოზე განუწყვეტლივ იმუშავა ხუთ-ნახევარ თვის განმავლობაში, მას აქვს უფლება მიიღოს მორიგი შვებულება ორი კვირის ხანგრძლივობით. ამაზე ნაკლები ხნით მორიგი შვებულების გაცემა კანონით არ დაიშვება.

გენერალურ კოლხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნეს ზოგადი ცვლილებანი (თუ კი ისინი არ ეწინააღმდეგებიან მომქმედ შრომის კანონმდებლობას) ადგილობრივად—წარმოების ხასიათის. მისი ფინანსიური შესაძლებლობა და შრომის პირობების მიხედვით.

მოწაფეთ ფურცხვანიძეს და გ. კაპანაძეს

პასუხი

თუ კი თქვენ ჩასახლდით ბინაში სახლის მმართველობასთან შეუთანხმებლად ვალდებული ხართ დასცალოთ ბინა ადმინისტრატიული წესით გამოსახლების რიდით და დროზე მოძებნოთ სხვა ბინა.

პარტიული კალენდარი

შაბათს, 4 ივნისს, საღამოს 5 საათზე, საქ. ახალგ. ლენინური კომკავშირის პოლიტგანათლების კაბინეტში (რუსთაველის პრ., № 21, შესავალი ეზოდან [illegible]) **შესდგება ქალაქის რაიონის [illegible] მეორე რაიონული კონფერენცია.**

ყველა [illegible] დასწრება სავალდებულოა.

— თბილისის კომიტეტის **საკლუბო საბჭოს სხდომა** შესდგება შაბათს, 4 ივნისს, დილის 9 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

— პარასკევს, 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, მე-5 პროფსკოლის შენობაში (პლეხანოვის პრ., № 166) **შესდგება განათლების მუშაკთა კავშირის ლენრაიონში არსებული კომუჯრედის (№ 24) დახურული კრება.**

თათბირი პიონერთა საბანაკო შეკრების შესახებ მოწვეულია საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ შაბათს, 4 ივნისს, შუადღის 1 საათზე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპმუშაკის ცენტრალურ კაბინეტში (რუსთაველის თეატრის შენობა, შესავალი ეზოდან, მესამე სართული).

აუცილებელია შემდეგ წარმომადგენელთა დასწრება: საქართველოს პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოდან. საქართველოს ცაკთან არსებულ ბავშვთა კომისიიდან, წითელი ჯვარიდან, ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებიდან, განათლების სახ. კომისარიატიდან, ქართული დივიზიის პოლიტსამმართველოს ქვეგანყოფილებიდან, ფიზკულტურის თბილისის საბჭოდან, საქ. ახალგ. ლენ. კომკავშირის თბ. კომიტეტიდან, თბილისის დამზღვევ სალაროდან, ამიერ-კავკასიის რკინისგზების ჯანმრთელობის განყოფილებიდან, თბილისის განათლების განყოფილებიდან; თათბირს უნდა დაესწრონ აგრეთვე ნორჩ პიონერთა რაიბიუროების წარმომადგენლები.

სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული კომუჯრედთა ბიურო იტყობინება, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია კომპარტიის და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებული კრება.

დასწრება სავალდებულოა.

შაბათს 4 ივნისს, დილის 10 საათზე მოწვეულია სახ. უნივ. **პედაგოგიური ფაკ. კომუჯრედის** ბიუროს სხდომა.

სხდომაზე უნდა გამოცხადდენ ხარატიშვილი გიორგი, თორდია პელაგია და ცახავა გრიგოლი.

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ალექსი ალექსანდრეს ძე ლომაძეს და ვასილ ნიკოლოზის ძე ფანცულაიას. რომ ორი დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას საალრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **ლიცინოვთან.**

გაუბედურებულნი და ყოველ ნუგეშს მოკლებულნი მშობლები ანეტა და სერგო გოლოგრენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ მათი ერთი ვაჟის

ლეონიდე (გუხული)
გალოგრეს

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას 5 ივნისს, დღის 4 საათზე ქალ. ოზურგეთში. 1—1. ნ. 1274

მუდამ მწუხარებაში მყოფნი მშობლები ბარბარე ივანეს ასული და ვასილი ილარიონის-ძე შვილებით: ოლიათი და ილარიონით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 5 ივნისს მათთვის უდროოთ დაკარგულ ძვირფას და დაუვიწყარ

თამარა (თამრიკო)
გვრიტიშვილის

გარდაცვალების წლის თავზე გადახდილი იქნება პანაშვიდი წმ. ნინოს სასაფლაოზე. 1—1. 2914

ღრმად დამწუხრებულნი: მამა ნიკოლოზ გიგოს-ძე, ძმები: კირილე, სამსონ, გიორგი და რძალი ვარვარა, ბიძები: კონსტანტინე და პეტრე, ბიცოლები: ეფროსინე და სოფიო, ბიძაშვილები: მირიან თავის მეუღლე თამარათი, ელისაბედ, ქსენია, პარმენ, ელენე, ნინა, ვალოდია, ნადია და შალიკო ურუშაძეები უდიდეს მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, ნაცნობთ, რომ მათთვის ძვირფასი და უდროოდ დაკარგული ექიმის თანაშემწე

რომანოზ ნიკოლოზის-ძე
ურუშაძის

მოსაგონათ ორმოცი დღის თავზე წირვა დანიშნულია ქალ. ლანჩხუთში შაბათს 4 ივნისს, დღის 12 საათზე. 1—1. 2913

აპოლლო
ტელ. 7—61.
არფასტო
ტელ. № 19—22.
სოლეი
ტელ. 20—44.
დარბაზი
ტელ. 14—03.
0—20 ნ. 1094

საუკეთესო ტრიუკისტი ლუჩიანო ალბერტინი
შესანიშნავ „კაცი. კომეტაზე" სურათში
გრანდიოზული დადგმა. თავბრუდამხვევი ტრიუკები

სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო სურათი
„სამთა სიყვარული"
რეჟ. ა. როომის დადგმა.
საერთოდ „სამთა სიყვარული" მოწმობს ჩვენი კინემატოგრაფიის ზრდას. ის უსწორდება, ფორმალური ღირსებით ბევრად წინ უსწრებს ამერიკის საუკეთესო ხელოვანთა ნაწარმოებებს.—„ლენინგრადსკაია პრავდა" 23-III-27 წ.

ამერიკული საუკეთესო სურათი
„ნიუ-იორკის საიდუმლოება"
უკანასკნელი 5 და 6 სერია პირლ უაიტის მონაწილ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სამთო მრეწველობის **ტრესტი**

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 1 ივნისიდან თბილისში ტრესტის საღებავების ქარხანაში დამზადებულ მშრალ საღებავებზე დაწესებულია 20 პროც. დაკლებული შემდეგი საბითუმო ფასები:

სურინჯი რკინის ცენტნერი	8 მ. 80 კ.	კასრებითურთ ქარხნის ფრანკო-საწყობი
ოხრა (ყვითელი, მოთეთრო და ოქროს ფერი)	9 მ. 50 კ.	
მუმია	11 მ. 00 კ.	

უმაღლესი ხარისხის, წმინდათ დაფქვილი საღებავები.

დაკვეთებისათვის მიმართეთ ტრესტის სამმართველოს—პუშკინის ქუჩა, № 3. ტელეფონი: ა—23 და 12—76.

საწყობი მოთავსებულია საღებავების ქარხანასთან: თბილისი, აბასთუმანის ქ. № 2, ტელეფონი: 22—20. 1—1 ნ. 1276

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში, თბილისის ქუჩაზე, სახლი № 13, დანიშნულია 10 ივნისს 1927 წ. დღით 12 საათზე **საჯარო ვაჭრობა** დავით ნიკოლოზის-ძე სოხაძის ქვიტკირის შენობის, რომელიც შესდგება: ექვსი საცხოვრებელ ოთახისაგან, სამი სამზარეულოსაგან და ორი თვალი საწყობისაგან, შეფასებული 6100 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს და სხვების პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ, ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული 311 მუხ. სამ. საპ. კოდ. და შენობის შეფასების 10 პროც. საწინდარი.

1—1 ნ. 1275

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი **ჯალალოვი**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ეგლის მახლობლად 25—21

ქ. თბილ. მე-3 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი
კ. ძამოევი

ამით აცხადებს, რომ ის 6 ივნისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 11 ალაზნის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლევან არუთინოვის უძრავ ქონებას: სახლს „მერკურკრედიტის" ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ტფილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 23 დეკემბერს 1926 წ. თარიღით, № 2967 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

ვაჭრობა დაიწყება შეძლეულ შეფასებიდან. ვაჭრობა მოხდება დაცვით 310, 321, 312, 313 და 314 მუხ. სამოქ. სამმართ. საპროც. კოდექსის. 1—1. 2917

ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი
ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში ზდანოვიჩის ქუჩაზე სახლი № 37, დანიშნულია 13 ივნისს 1927 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** გერმანე სულაბერიძის ქონების: ტახტის, მაგიდების, შკაფების, სარკის, კედლის ხალის და სხვ., შეფასებულის 175 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებულ თანხიდან, ქონება გაიყიდება ყარაის მშრომელ არტელის „თივა"-ს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. ნ. 1275

ქ. ქუთაისის 1-ლი უბნის სასამართლოს აღმასრულებელი ს. გოჭორიშვილი

ამით აცხადებს, რომ ქ. ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩაზე, სახლი № 56 დანიშნულია 8 ივნისს 1927 წ. დილის 11 საათზე **საჯარო ვაჭრობა** მეიერ მოშიაშვილის ქონების: კამოდის, სარკის, ნოხის, სამოვრის და სხვ., შეფასებულის 54 მან.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან სახ. მეურ. უმაღ. საბჭოს პრეტენზიის დასაკმაყოფილებლათ. 1—1 ნ. 1275

ექიმი
ვ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავადმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე.
ელისაბედის ქუჩა, №3. 25—1

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 158809 გაცემული ქუთ. მეტყავეთა პროფ. კავშირიდან მირონ გიორგიძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1275

დავკარგე ატესტატი № 1271, გაცემული 1926 წ. 11 სექტემბერს მე-6 9 წლიან შრომის სკოლის მიერ, გრიგოლ ტარასის-ძე კუჭუხიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1275

დაკარგულია მეტრიკული ამონაწერი № 2726, გაცემული ცენტრო მაზრის მიერ შალვა გიორგის-ძე ამბოკაძის სახელზე, ჩ. გ. 2915

დავკარგე სამხედრო აღრიცხვის ნუსხა, მოცემული ხობის რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ ნესტორ დათასძე მალანიას სახელზე, ჩ. გ. 2912

დაიკარგა: სამხედრო აღრიცხვის ნუსხა დიმიტრი დომენტის-ძე კვირკველიას სახელზე, ჩ. გ. 2912

დავკარგე პირადობის მოწმობა № 704 და მე-3 ხარ. სარეწავი მოწმობა № 1365 ნიკო ბასილაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1277

დავკარგე პროფკავშირის წიგნაკი № 18943 და მონდობილობა ქუთაისის მუშკოოპის გამგეობისაგან, გატარებული ქუთაისის მე-2 უბნის ნატარიუსთან რეესტრის № 2686 მოცემული 10 სექტემბერს 1926 წ. რაჟდენ ვლ. კაკაბაძის სახელზე, ჩ. გ. 2916

დავკარგე ლომბარდის მიერ გაცემული გირაოს ქვითარი № 57255 რაჟდენ სვანიძის სახელზე, ჩ. გ. 2918

ალმასკომის სტამბა. კამოს ქ. 68